"მემარჯვენე ოპოზიციის" 10 შეკითხვა ხელისუფლებას A2

ყოფილ რექტორს ქონება დაუყადაღეს A7

რკინას შეჭიდებული ოლიმპიური ჩემპიონი B6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 7 სექტემბერი, 2004 წელი. №212 (761)

ფასი 50 თეთრი

რუსეთი ებრძვის თავისუფლებას

"რუსთავაი-2"-ის ჟურნალისტების დაკავებასთან დაკავშირებით გამართული საპროტესტო აქცია რუსეთის ფედერაციის საელჩოსთან.

გიგიტა ბუსაიძის ფოტო

ვერიკო თევზაძე

"რუსეთის ხელისუფლება იმას აკეთებს, რაც შეუძლია: მას შეუძლია დაიჭიროს ჟურნალისტები, ბიზნესმენები, სამაგიეროდ, არ შეუძლია აღკვეთოს ტერორისტთა ქმედება. მთლიანად "კაგებეშნიკების" ხელისუფლებას ტერორიზმის "პროფილაქტიკა" არ შეუძლია... რუსეთი ებრძვის თავისუფალ ადამიანებს, მას ეს შეუძლია," - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას რადიო "თავისუფლების" ჟურნალისტმა დავით პაიჭაძემ. გუშინ ტელეკომპანია "რუსთავი-2"-ის გადამღები ჯგუფის დაპატიმრების გამო, რუსეთის საელჩოს წინ მოეწყო საპროტესტო აქცია, რომელშიც, "რუსთავი-2"-ის თანამშრომლების გარდა, მონაწილეობდა ქართული მასმედიის მრავალი ჟურნალისტი, პოლიტიკოსები, უბრალოდ - მოქალაქეები...

აქციის მონაწილეები, რომლებმაც ქართველი ჟურნალისტების დაპატიმრება შეაფასეს, როგორც პოლიტიკური აქტი, აცხადებდნენ, რომ ჟურნალისტ ნანა ლეჟავას და ოპერატორ ლევან თეთვაძის სახით იცავენ სიტყვის თავისუფლებას, თავისუფალ მედიას, თავისუფლებას.

საპროტესტო აქციის ორგანიზატორთა აზრით, რუსეთს ქართველი ჟურნალისტების დასაპატიმრებლად ორმაგი საფუძველი ჰქონდა: ისინი ხომ თავისუფალი ჟურნალისტები არიან და ისინი ხომ ქართველები არიან. **"ისინი დაპატიმრებულნი არიან იმისთვის, რათა ჩვენ არ მოგვეცეს საშუალება, სიმართლე დავინახოთ. ეს ცალსახად პოლიტიკური აქტია. თვით რუსული მედიაც არ მალავს, რომ ქართველი ჟურნალისტების დაპატიმრების მიზეზი იყო პროფესიული აქტიურობა და მათი მხრიდან ობიექტური ინფორმაციის გავრცელების მცდელობა,"** - ამგვარია ჟურნალისტ რეზო საყევარიშვილის პოზიცია.

გაგრძელება A2 გვერდზე

წინასწარი პატიმრობა ობიექტური რეპორტაჟისთვის

ინა ალავიძე

მოლოდინი, რომ ტელეკომპანია "რუსთავი-2"-ის გადამღებ ჯგუფს გუშინ გაათავისუფლებდნენ, არ გამართლდა. ბესლანში განვითარებული ტერორისტული მოვლენების ობიექტურად გაშუქების გამო დაკავებული ჟურნალისტისა და ოპერატორის მიმართ, ჩრდილოეთ ოსეთის სამართალდამცველებმა სისხლის სამართლის საქმე საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისა და სავიზო რეჟიმის დარღვევის მუხლით აღძრეს.

რუსეთის სპეცსამსახურების მიერ უმიზეზოდ დაკავებული ჟურნალისტის ნანა ლეჟავასა და ოპერატორის ლევან თეთვაძის გათავისუფლებისთვის საქართველოს ხელისუფლების მიერ მიღებულ პოლიტიკურ ზომებს არანაირი შედეგი არ მოჰყოლია. მეტიც, მიუხედავად რუსეთის საგარეო უწყების, ჩრდილოეთ ოსეთის სამართალდამცველი სტრუქტურებისა და რუსეთის მთავრობის წევრთა დაპირებისა, რომ ქართულ გადამღებ ჯგუფს დაუყოვნებლივ გაათავისუფლებდნენ, ქართველი ჟურნალისტების მიმართ მკაცრი ზომები გამოიყენეს - მათი დაკავება გუშინ სანქცირებული გახდა.

გაგრძელება A7 გვერდზე

რუსული ცინიზმი კანონმდებლობაში და დიპლომატიაში

ლელა მჭედლიძე

ვლადიკავკაზში დაკავებეულ ტელეკომპანია "რუსთავი-2"-ის თანამშრომლებს ნანა ლეჟავას და ლევან თეთვაძეს სასამართლომ წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, პატიმრობაში ისინი მანამ დარჩებიან, სანამ "რუსთავი-2"-ის გადამღები ჯგუფის მიერ საზღვრის გადაკვეთის კანონიერებას რუსეთის სასაზღვრო უწყებაში არ დაადგენენ. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის მერაბ ანთაძის ცნობით კი, ამისათვის სასაზღვრო უწყებას კანონით, სულ მცირე, ორი თვის ვადა აქვს...

გაგრძელება A2 გვერდზე

ნინო ბურჯანაძე ეუთო-ს ელჩებთან რუსეთის არასწორ აქცენტებზე საუბრობს

გიორგი ასანიშვილი

კონფლიქტების მოგვარების საკითხში ყველაზე მეტ დახმარებას საქართველოს ხელისუფლება, როგორც ჩანს, ეუთო-სგან ელის. ასეთი ვარაუდის გამოთქმის უფლებას ამ ორგანიზაციასთან ოფიციალური თბილისის გახშირებული კონტაქტები იძლევა. გუშინაც, პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ ეუთო-ს 23 ელჩი მიიღო. დახურულ შეხვედრაზე, რომელიც საათზე მეტხანს გაგრძელდა, სპიკერმა კიდევ ერთხელ გამოთქვა კონფლიქტის ზონაში ეუთო-ს მისიის გაფართოების სურვილი.

გაგრძელება A2 გვერდზე

ბესლანის ტრაგედია

რუსეთის მარცხი თუ ტერორისტების კარგად ორგანიზებული ოპერაცია

ხათუნა გაბიევი

3 სექტემბერს ბესლანში საშუალო სკოლის შტურმით აღების შემდეგ რუსეთი ფრიად არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდა. ჯერ ერთი, ხელისუფლების მიერ კრიზისის დაძლევის ასეთ ფორმას მსხვერპლად უამრავი უდანაშაულო ადამიანი შეეწირა, რომელთა უმრავლესობასაც ბავშვები შეადგენდნენ და მეორეც, ამ რთულ მდგომარეობას, როდესაც ხელისუფლების მოქმედებით თავად ხალხია უკმაყოფილო, ისიც ემატება, რომ კრიტიკისგან არც დასავლეთი იკავებს თავს.

მართალია, დასავლური სახელმწიფოები შეფასებებისას ერთნაირად მკაცრნი არ არიან, მაგრამ ვითარებას ეს მაინც არ ამარტივებს. ნაცვლად იმისა, რომ ტერორიზმთან ბრძოლისთვის რუსეთს მოქმედებები მოუწონონ და თანაც კვერი დაუკრან, "რას იზამ, სხვა გზას არ გიტოვებენო", დასავლეთი ანგარიშს საბჭოთა იმპერიის მემკვიდრეს სთხოვს. თავის მართლება კი, როგორც ჩანს, რუსეთის პრეზიდენტს მაინცადამაინც არც ეხერხება და, სამწუხაროდ, არც არავითარი სურვილი გააჩნია. მასობრივი სასაკლაოს მეორე დღეს რუსეთის პრეზიდენტის მიმართვა უფრო იმპერიალისტური ზრახვებისა და წარსული რეჟიმისადმი დაუფარავი სიმპათიის გამოაშკარავება იყო, ვიდრე თანადგომისა და გულისტკივილის გამოხატვა. "რუსეთის ისტორიაში მრავლად იყო ტრაგიკული ფურცელი და მძიმე გამოცდა. დღეს ჩვენ ვცხოვრობთ იმ პირობებში, რომელიც ჩამოყალიბდა უზარმაზარი სახელმწიფოს ნგრევის შემდეგ. სახელმწიფო, სამწუხაროდ, სიცოცხლისუნარიანი ვერ აღმოჩნდა სწრაფად ცვალებად სამყაროში. თუმცა, მიუხედავად ამისა, ჩვენ შევძელით ამ გიგანტის - საბჭოთა კავშირის ბირთვის შენარჩუნება. და ჩვენ ახალ სახელმწიფოს რუსეთის ფედერაცია ვუწოდეთ. ჩვენ დღეს გვიწევს ცხოვრება შიდა კონფლიქტურ და ეთნოსებს შორის დაპირისპირების ეპოქაში, რომელიც ადრე სახელმწიფო იდეოლოგიით იოლად ითრგუნებოდა. ჩვენ აღარ ვუთმობთ საკმარის ყურადღებას თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებს, ნება მივეცით კორუფციას, შეეღწია სასამართლო და სამართალდამცავ სფეროებში. თანაც ჩვენი ქვეყანა ერთდროულად დაუცველი აღმოჩნდა როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის მხრიდან. ჩვენ სისუსტე გამოვავლინეთ, სუსტებს კი ურტყამენ. ზოგს ჩვენგან "ნოყიერი" ლუკმის გამორჩენა სურს, სხვები კი მათ ამაში ეხმარებიან. ეხმარებიან, რადგან იციან, რომ რუსეთი ერთ-ერთი ბირთვული სახელმწიფოა და შეიძლება ვინმესთვის საფრთხესაც კი წარმოადგენდეს. ამიტომ საჭიროა ამ საფრთხის გაუვნებელყოფა. ტერორიზმი კი მიზნის მიღწევის ერთ-ერთი საშუალებაა. ტერორისტების მოქმედება არ იყო მიმართული მხოლოდ პრეზიდენტზე, ან პარლამენტზე, ეს იყო გამოწვევა, გამოწვევა მთელი რუსეთისა". თუმცა, მიუხედავად პუტინის ესოდენ პატრიოტული გრძნობებისა, ფაქტი ფაქტად რჩება, გაწირულია მთელი თაობა.

გაგრძელება A5 გვერდზე

მთავარი თემა

ლარი ისევ მყარდება

ახალი ხელისუფლება ახალ რეალობასთან ადაპტირებას ვერ ახდენს

გასული კვირა ლარის კურსის სწრაფი და საკმაოდ მკვეთრი გამყარებით აღინიშნა. გუშინ ეს ტენდენცია კვლავ გაგრძელდა - ეროვნული ვალუტა 1,71 ნიშნულზე მხოლოდ ეროვნული ბანკის აქტიურმა ჩარევამ "დაიჭირა" - გავრცელებული ინფორმაციით, ეროვნული ბანკი ბაზარზე ერთადერთი იყო, ვინც უცხოური ვალუტა შეიძინა, ანუ ვინც თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ლარი გამოიტანა. მიუხედავად ხელისუფლების მხრიდან "დამამშვიდებელი" განცხადებებისა, ფაქტია, რომ ეროვნული ვალუტის ისეთი მკვეთრი რყევები, როგორიც მიმდინარე წელს განხორციელდა, ქვეყნის ეკონომიკისთვის დადებითი ეფექტის მომტანი არ არის - უფრო პირიქით.

თამარ ხორბალაძე

მართალია, ხელისუფლება აცხადებს, რომ ამ გზით "ახერხებს" ფასების ზრდის შეჩერებას, მათ შორის ისეთ მნიშვნელოვან პროდუქტზე, როგორიც ნავთობია, რისი წყალობითაც ლარში მიღებული შემოსავლის მსყიდველუნარიანობა, გარკვეულწილად, შენარჩუნებულია და მიუხედავად გაიაფებული საგარეო მომსახურებისა, იმ საერთო ნეგატიურ ფონზე, რაც ლარის გამყარებას ახლავს თან, ეს არგუმენტები საკმაოდ სუსტად გამოიყურება.

ფაქტია, რომ ლარის კურსის საკმაოდ მკვეთრმა რყევებმა ბოლო პერიოდში საქართველოში ისევ წარმოქმნეს არასტაბილური სავალუტო სიტუაციის სინდრომი, რაც მოსახლეობის განწყობასაც ეტყობა და სავალუტო ჯიხურებსაც, სადაც ხან დოლარის ყიდვაა გაძნელებული, ხან - პირიქით.

გაგრძელება A3 გვერდზე



ეკონომიკა

რა ხდება კოპიტნარის აეროპორტში?

გუშინ გიორგი კოდუამ ქუთაისის აეროპორტის განვითარების დეტალური გეგმა საგანგებო პრესკონფერენციაზე წარმოადგინა.

A4

უცხოეთი

ჟურნალისტური ეთიკის "მკაცრი სტანდარტები" რუსეთში

A5

საზოგადოება

"რუსებია მთავარი!"

სოფელ მიტარბის ქვედა უბანში ჩასულ ჟურნალისტებს სამი იასამნისფერ-ყვითელ ფერებში შეღებილი სახლი გვეგულებოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ის სახლები ვლადიკავკაზიდან ჩამოსულებისა იყო.

A6

სამართალი

მხატვრის სახლის თაობაზე დაწყებული სამართლებრივი დავა კვლავ გრძელდება

დაზარალებული და შეურაცხყოფილი მხატვრები დახმარებისთვის პრეზიდენტს მიმართავენ.

A4

ამინდი

	7/9	8/9
თბილისი	18	27
ქუთაისი	23	26
ბათუმი	21	21
სოხუმი	21	22
ფოთი	21	23
თელავი	17	24
ზუგდიდი	24	25
გორი	17	23
ახმეტა	17	25
ჭიათურა	21	25
გაგრა	19	21
სამტრედია	23	26

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.7100
ევრო	2.0616
გირვანქა სტერლ.	3.0395
რუბლი	0.0585

"მემარჯვენე ოპოზიციის" 10 შეკითხვა ხელისუფლებას

სოფო ბაკია

საპარლამენტო ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიციას" ხელისუფლებასთან ათი კითხვა დაუგროვდა, რომელთა შინაარსი გუშინ ფრაქციის ლიდერმა დავით გამყრელიძემ საგანგებოდ მოწვეულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს გაანდო.

რამდენი ადამიანი დაიღუპა კონფლიქტის ზონაში, რატომ მალავს ხელისუფლება მათ რიცხვს და ვინ არის პასუხისმგებელი მსხვერპლზე?

რა მიზნით მოხდა კონფლიქტის ესკალაცია?

რატომ გადაეცათ აღებული საცეცხლე სიმაღლეები რუს სამშვიდოებს?

რა მივიღეთ ხელისუფლების მოქმედების შედეგად - კონფლიქტის ზონაში ქარული მოსახლეობა დღეს უკეთესად გრძნობს თავს?

რა დაუჯდა სახელმწიფო ბიუჯეტს ცხინვალის რეგიონში განხორციელებული კამპანია? რამდენად იმოქმედა კონფლიქტის გამწვავებამ საინვესტიციო გარემოზე?

რატომ უნარჩუნდება რუს სამშვიდობოებს სამშვიდობო სტატუსი მაშინ, როცა საქართველოს პარლამენტმა რუსეთი კონფლიქტის მონაწილე მხარედ აღიარა?

ვინ აწარმოებდა ძირითად სამხედრო ოპერაციებს - საქართველოს შინაგანი ჯარი თუ არმია; თუ არმია, საჭირო იყო თუ არა ამაზე პარლამენტის თანხმობა, ხოლო თუ შინაგანი ჯარი - რატომ გადატყდა ჯოხი გენერალური შტაბის უფროსზე გივი იუკურიძეზე?

იყო თუ არა კონფლიქტის ზონაში ჩვენი მოქმედების გეგმა შეთანხმებული ჩვენს სტრატეგიულ მოკავშირესთან აშშ-სთან?

ყოველივე ამის შემდგომ, დღეს რა სტრატეგია გააჩნია საქართველოს ხელისუფლებას ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად?

არის კიდევ ერთი შეკითხვა, რომელიც, ალბათ, უფრო რიტორიკის სფეროს განეკუთვნება - როდის ამბობდა ხელისუფლება სიმართლეს, როდესაც ჯარების შეყვანის საჭიროებაში გვარწმუნებდა, თუ როდესაც მათი გამოყვანის აუცილებლობას გვიმტკიცებს? - ამ და სხვა კითხვებზე პასუხის გაცემა ხელისუფლებას პირველივე საშემოდგომო სესიაზე მოუწევს, თუ, რა თქმა უნდა, ამის სურვილი ექნება. ყოველ შემთხვევაში, "მემარჯვენე ოპოზიცია" პირველივე საშემოდგომო სესიაზე სამხრეთ ოსეთის თემისადმი მიძღვნილი პოლიტიკური დებატების მოწყობის ინიციატივით გამოდის. თავად "მემარჯვენეები" დებატებისთვის უკვე მომზადებულები არიან და ამის საშუალებას ხელისუფლებასაც მისცემენ.

"აღნიშნულ კითხვარს "მემარჯვენე ოპოზიცია" საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს გადასცემს და ხელისუფლებას შესაძლებლობა ექნება, პასუხი მოამზადოს," - დიდსულოვნად აღნიშნა გუშინ გამყრელიძემ.

საშემოდგომო სესია, სავარაუდოდ, დღეს დანიშნულ ბიუროს სხდომაზე გაიხსნება, ხოლო პარლამენტის პირველ სხდომას, ალბათ, მომავალ კვირას ჩაატარებენ. ასე რომ, ხელისუფლებას ამ კითხვებზე პასუხების მოსაფიქრებლად საკმაო დრო აქვს, თანაც წინ შაბათ-კვირაა, მშვიდად დასხდებიან და მოიფიქრებენ. ე.წ. "შპარგალეკების" გამოყენებაც შეიძლება, ამის უფლებას თავად "მემარჯვენე ოპოზიციის" ლიდერი იძლევა.

ნანა ლეჟავას დაპატიმრება - პოლიტიკური აქცია

"მემარჯვენე ოპოზიციის" ლიდერი დავით გამყრელიძე მიიჩნევს, რომ ტელეკომპანია "რუსთავი-2"-ის გადამღები ჯგუფის ბესლანში დაკავებას პოლიტიკური საფუძველი აქვს.

"ბესლანში ჟურნალისტ ნანა ლეჟავას დაკავება წმინდა წყლის პოლიტიკური აქციაა, რომელსაც არანაირი კავშირი არ აქვს კანონდარღვევებთან. რუსეთის ხელისუფლებას არ აწყობს, რომ ბესლანში მიმდინარე მოვლენებს ნებისმიერი მედიასაშუალება ობიექტურად აშუქებდეს," - განაცხადა მან.

რაც შეეხება თავად ბესლანის ტერაქტს, დავით გამყრელიძის შეფასებით, რუსეთის ხელისუფლების მოქმედებას არანაირი გამართლება არ აქვს. მან გაიხსენა, რომ ერთერთი ტერაქტის დროს პერუს ხელისუფლება 4 თვის განმავლობაში აწარმოებდა მოლაპარაკებას ტერორისტებთან, რათა მძევლები გადაერჩინა.

"რაც ბესლანში მოხდა, იმ პოლიტიკის შედეგია, რომელსაც რუსეთის ხელისუფლება კავკასიურ ქვეყნებთან აწარმოებდა," - დასძინა მან.

24 საათი

საზღვრის დაცვა კიდევ უფრო გაძლიერდება

სასაზღვრო უწყების შტაბის ინფორმაციით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზღვრის დაცვის დეპარტამენტმა საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩრდილოეთ ოსეთის მონაკვეთზე საზღვრის დაცვის რეჟიმი გააძლიერა.

"ბესლანის მოვლენებთან დაკავშირებით და ახალი ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე მიღებულია გადაწყვეტილება სახელმწიფო საზღვრის აღნიშნულ მონაკვეთზე ყველა არსებული საშუალებით დაცვის გაძლიერების შესახებ," - აცხადებენ საზღვრის დაცვის დეპარტამენტში.

24 საათი

პროკურატურის რეორგანიზაცია არ დასრულებულა

მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურის სისტემაში მიმდინარე რეორგანიზაცია, დაახლოებით, სამი კვირის წინ დასრულებულად გამოცხადდა და რეფორმის დასრულებას ხელიც მოეწერა, საკადრო ცვლილებები ამ უწყებაში ჯერ კიდევ მიმდინარეობს.

73 რაიონული პროკურატურა 26-მდე შემცირდა, 10 საოლქო პროკურატურიდან მხოლოდ 8 დარჩა. ამჯერად პროკურატურების მდებარეობის შერჩევასა და საკადრო ცვლილებებზე მუშაობა გრძელდება.

როგორც ცნობილი გახდა, პროკურატურის თანამშრომელთა რიცხვი, საბოლოოდ 500-ით შემცირდება და 980 თანამშრომლით განისაზღვრება.

პროკურატურის სტრუქტურაში შემცირებაში მოყოლილი თანამშრომლების უმრავლესობას სხვა სამსახურს შესთავაზებენ, მრავალწლიანი სტაჟის მქონე, პროკურატურის ყოფილ თანამშრომლებს კი, როგორც ამბობენ, საკმაოდ მაღალი პენსია დაენიშნებათ.

24 საათი

რუსეთი ებრძვის თავისუფლებას

პირველი გვერდიდან

აქციის მონაწილენი, პროტესტის პარალელურად, ბესლანში დაღუპულთა ოჯახებს ასეთი ფორმით უცხადებდნენ სამძიმარს.

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

ქართველი საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა უმრავლესობის აზრით, "რუსთავი 2"-ის ჟურნალისტების დაპატიმრების ნამდვილი მიზეზი რუსეთ-საქართველოს გართულებულ ურთიერთობაში, ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის იმპერიულ ზრახვებში უნდა ვეძებოთ. **"გერმანელ ჟურნალისტებსაც ჰქონდათ მსგავსი პრობლემა, მაგრამ ისინი მალე გაათავისუფლეს. ქართველებთან დაკავშირებით ეს პროცესი გაჭიანურდა, რაც საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში დაძაბული ვითარებით აიხსნება,"** - განუცხადა "24 საათს" ტელეკომპანია "იმედის" თანამშრომელმა გიორგი თარგამაძემ. გუშინდელ აქციაზე არაერთგზის გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ უნდა შეიცვალოს საზოგადოების დამოკიდებულება რუსეთისადმი, ჩამოყალიბდეს სწორი საზოგადოებრივი აზრი: **"ქართველმა ხალხმა ილუზიების გარეშე უნდა დაინახოს, რას წარმოადგენს რუსეთი. საქართველოში უნდა მოისპოს ქართველების და რუსეთის ერთმორწმუნეობის ილუზია. თუ ჩვენ ვაღიარებთ, რომ ამ იმპერიას არავითარი კეთილი ურთიერთობა არ შეიძლება ჰქონდეს საქართველოსთან, სწორი პოლიტიკის განსაზღვრა გაგვიადვილდება,"** - თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენლის მერაბ ბასილაიას დამოკიდებულება რუსეთის მიმართ ცალსახა და რადიკალურია. მსგავს მოსაზრებას ავითარებს "რუსთავი-2"-ის ჟურნალისტი თენგიზ გოგოტიშვილი, რომლის თქმით, უნდა შეიცვალოს საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულება რუსეთის მიმართ. **"თუ დათვი არ ჩერდება, მას დათვურად უნდა მოექცე, უნდა მიახვედრო, რომ ადეკვატური პასუხის გაცემა შეგიძლია".**

"რუსეთისგან რა უნდა გაგიკვირდეს... ეს ყველაფერი იმის მაუწყებელია, რომ ჩვენი მეზობელი აგონიაშია. ძალიან ჭკვიანი კაცი იყო რეიგანი, რომელმაც რუსეთს ბოროტების იმპერია უწოდა. ეს იმპერია აუცილებლად დაიშლება," - აღნიშნა ჩვენთან საუბრისას მხატვარმა გია ბუღაძემ.

"რუსეთი არადემოკრატიული სახელმწიფოა, იგი მუდმივად მტრულად არის განწყობილი საქართველოსადმი... საერთოდ, აღშფოთებული ვარ, როგორ ხუჭავს დასავლეთი თვალს იმაზე, რასაც რუსეთი ჩეჩნეთში აკეთებს. რუსეთი ჩეჩნეთში ტერორისტულ ომს აწარმოებს და იმკის, სამწუხაროდ, იმას, რასაც თვითონ თესავს. როდესაც ბესლანში დაღუპულ ბავშვებზე ლაპარაკობენ, არასოდეს არ უნდა დაავიწყდეთ ათიათასობით მოკლული ბავშვი ჩეჩნეთში," - განუცხადა ლაშა ბაქრაძემ "24 საათს" და მომხდართან დაკავშირებით, აუცილებლად მიიჩნია საქართველოს მიერ პროცესებში საერთაშორისო საზოგადოების ჩართვა.

თუ ქართველ ჟურნალისტებს არ გაათავისუფლებენ, მასმედიის წარმომადგენლები პროტესტის უფრო მძაფრ ფორმას მიმართავენ. მათ დანარჩენი საზოგადოების წარმომადგენლებიც აქტიურ მხარდაჭერას ჰპირდებიან.

ნინო ბურჯანაძე ეუთო-ს ელჩებთან რუსეთის არასწორ აქცენტებზე საუბრობს

პირველი გვერდიდან

ეუთო-ში რუსეთის მისიის ხელმძღვანელს ალექსეი ბოროდავკინს პარლამენტის თავმჯდომარემ ქართველი ჟურნალისტების საქმეში გარკვევა მოსთხოვა.

იური ლოგოდინის ფოტო

ნინო ბურჯანაძის თქმით, ელჩებთან საუბრის დროს, ისინი ყველა იმ საკითხს შეეხნენ, რომელიც საქართველოსთვის მნიშვნელოვანია. **"ეუთო-ს წარმომადგენლებს არგუმენტირებულად ავუხსენი, თუ რატომ ვართ პრინციპულად დაინტერესებულნი საზღვრის მონიტორინგის გაფართოებით. ეს, პირველ რიგში, საჭიროა როკის გვირაბის გასაკონტროლებლად, რათა იქიდან არ შემოვიდეს იარაღი და ის პირები, ვისაც ნებისმიერი უბედურების პროვოცირება შეუძლია,"** - განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრის დროს ნინო ბურჯანაძემ. მისივე თქმით, სექტემბერში დაგეგმილ ეუთო-ს მინისტრების შეკრებამდე, საქართველოს ხელისუფლება მოამზადებს კონკრეტულ წინადადებებს ეუთო-ს მისიის მიერ როკის გვირაბის გაკონტროლების თაობაზე.

პარლამენტის სპიკერი, აგრეთვე, აცხადებს, რომ ამ პრობლემებთან დაკავშირებით, ეუთო-ს ელჩები კარგად არიან ინფორმირებულნი და მტყუანმართლის გარჩევა არ უჭირთ. სპიკერი კმაყოფილია, რომ მასთან შეხვედრისას, ეუთო-ს წარმომადგენლებმა გამოხატეს მზადყოფნა, გადადგან ის ნაბიჯები, რომლებიც საქართველოს ხელისუფლებას პრობლემების გადაწყვეტაში დაეხმარება.

გუშინვე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ სამძიმარი გამოუცხადა ჩრდილოეთ ოსეთის მოსახლეობას ბესლანში დატრიალებული ტრაგედიის გამო და კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ტერორიზმის ნებისმიერ გამოვლინებასთან ბრძოლა შეურიგებელი იქნება.

ამავე დროს, ეუთო-ს ელჩებთან საუბრისას, ნინო ბურჯანაძემ აღშფოთება გამოთქვა ბესლანში "რუსთავი-2"-ის გადამღები ჯგუფის დაკავების გამო. მან საგანგებოდ მიმართა ეუთო-ში რუსეთის მისიის ხელმძღვანელს ალექსეი ბოროდავკინს, რომ ქართველი ჟურნალისტების ბედით დაინტერესდეს და მათი გათავისუფლების საქმეში პირადად ჩაერთოს.

"მიუხედავად იმისა, რომ "რუსთავი-2"-ის ჟურნალისტების შესახებ ყველანაირი ინფორმაცია გაიგზავნა მოსკოვსა და ვლადიკავკაზში, მათ გათავისუფლებას აქამდე არ დაადგა საშველი," - სინანულით აღნიშნავს პარლამენტის სპიკერი. მისივე განცხადებით, ბესლანში დატრიალებული ტრაგედიის გამო, დღეს რუსეთი ძალიან მძიმე მდგომარეობაშია და ამიტომ, არ სურს მკვეთრი კომენტარის გაკეთება, თუმცა, სპიკერმა მაინც აღნიშნა, რომ **"უმჯობესი იქნებოდა, ნანა ლეჟავას ნაცვლად, მოსკოვს აქცენტი სხვა პირების დაკავებაზე გადაეტანა".**

რუსული ცენზურა კანონმდებლობაში და დიპლომატიაში

პირველი გვერდიდან

საქართველოს საგარეო უწყებამ რუსულ მხარეს უკვე გაუგზავნა საპროტესტო ნოტა, რომელშიც კონკრეტული სამართლებრივი არგუმენტები წარმოადგინა იმის დასამტკიცებლად, რომ ჩვენი მედიის წარმომადგენლები უკანონოდ არიან დაკავებული. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ანთაძის განმარტებით, **"საქართველო-რუსეთს შორის საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებით გაფორმებული ოქმით, ყაზბეგის რაიონში ჩაწერილ საქართველოს მოქალაქეს, ისევე როგორც ჩრდილოეთ ოსეთის მოქალაქეს, პასპორტში ჩადებული ბარათის საფუძველზე, რომელიც ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გაიცემა, უფლება ეძლევა, ვიზის გარეშე გადაკვეთოს საზღვარი. მეტიც, 10 დღის ვადაში ყაზბეგის მცხოვრებლებს ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე, ოსეთის მცხოვრებლებს კი ყაზბეგის ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება აქვთ. შესაბამისი აღნიშვნები როგორც ქართველი, ისე რუსი მესაზღვრეების მიერ ლეჟავასა და თეთვაძის პასპორტებში გაკეთებულია. საზღვარი მათ 1 სექტემბერს საღამოს 6 საათზე გადაკვეთეს."**

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ყურადღებას ამახვილებს ერთ კონკრეტულ დარღვევაზეც, რომელსაც რუსეთის მხრიდან სიმრთლის დადგენას ასე მოწყურებული უწყებები არ ერიდებიან. როგორც ანთაძე განმარტავს, **"ვენის კონვენციის 36-ე მუხლის თანახმად, ჩვენს კონსულს რუსეთის ფედერაციაში ჩვენს მოქალაქეებთან შეხვედრის უფლება აქვს. მთელი ამ ხნის განმავლობაში, ჩვენს კონსულს ამის უფლება არ მიეცა".**

საქართველოს დროებითი რწმუნებული თემურ გამცემლიძე ამ და სხვა საკითხების თაობაზე მოლაპარაკებებს აწარმოებდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილესთან ვალერი ლოშინინთან, რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის პირველ პირებთან. მოლაპარაკებებზე ლეჟავასთან და თეთვაძესთან კონსულის უახლოეს ხანში დაშვების შესახებ იყო საუბარი. რუსი დიპლომატები ამას გარკვეულ გაუგებრობად მიიჩნევდნენ, რომელიც უახლოეს მომავალში უნდა მოგვარებულიყო. დაპირებების მიუხედავად, ჟურნალისტებთან კონსულის შეხვედრა ვერ მოხერხდა. მეტიც, გუშინდელ სასამართლოზე არ დაუშვეს, ასევე, პირველ ეტაპზე ქართული მხარის მიერ აყვანილი ადვოკატები და ლეჟავას და თეთვაძის ინტერესების დაცვა სახაზინო ადვოკატებს მიანდეს.

ვენის კონვენციის 36-ე მუხლის დაღვევასთან დაკავშირებით, საქართველომ უკვე შეიტანა საჩივარი რუსეთის პროკურატურაში.

ტელეკომპანია "რუსთავი 2-ის" ხელმძღვანელობა, თავისი თანამშრომლების დასაცავად, გამოცდილი ადვოკატების აყვანას გეგმავს. ანთაძის ხელთ არსებული ინფორმაციით, რომელიც მას რუსი ჟურნალისტებისგან აქვს, წინასწარ პატიმრობაში მყოფ ქართველ ჟურნალისტებს ნორმალურად ეპყრობიან.

პენიტენციარული სისტემის ტრენერების მომზადება დაიწყო

იუსტიციის სასწავლო ცენტრისა და იუსტიციის მინისტრის ორგანიზებით საქართველოში პენიტენციარული სისტემის ტრენერების მომზადება დაიწყო. სემინარი უტარდებათ სასჯელაღსრულების სისტემისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს, რომლებიც მომავალში სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლებს სწავლებას თავად ჩაუტარებენ. სასჯელაღსრულების სისტემის ტრენერთა მომზადების მიზნით, სემინარი საქართველოში პირველად ტარდება, ამდენად, ღონისძიების მონაწილეები მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ. როგორც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სოციალური სამსახურის უფროსი მაია ხასია აცხადებს, მომავალში უკვე მომზადებული ქართველი სპეციალისტები პენიტენციარული სისტემის პერსონალს თავად გადაამზადებენ. გარდა ამისა, სასჯელაღსრულებითი სისტემის ტრენერთა მომზადების შემდეგ, 13 სექტემბრიდან ეუთოს მისიის ორგანიზებით სასჯელაღსრულებით სისტემაში მომუშავე უსაფრთხოების სამსახურის პერსონალის მოსამზადებელი ტრენინგებიც ჩატარდება, რომელშიც მონაწილეობას უცხოელ ექსპერტებთან ერთად ოთხი ქართველი სპეციალისტიც მიიღებს.

24 საათი

ორი სიტყვით

თბილისი. საქართველოს დევნილთა და განსახლების სამინისტროში ჩეჩენ დევნილთა დამატებითი რეგისტრაცია გრძელდება. პანკისის ხეობაში ჩატარებული რეგისტრაციის შედეგად, სავარაუდოდ, დევნილთა სტატუსი ჩეჩნეთიდან დევნილ 1000-მდე მოქალაქეს არ გაუგრძელდება. დევნილთა და განსახლების მინისტრის მოადგილის ლელა მეტრეველის ინფორმაციით, სამინისტროში გუშინ დაწყებული, დევნილთა დამატებითი რეგისტრაცია 10 სექტემბრამდე გასტანს. რეგისტრაცია იმ კატეგორიის დევნილთათვის წარმოებს, რომლებმაც სამინისტროში რეგისტრაცია განსაზღვრულ ვადებში, დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ვერ გაიარეს. სამინისტროს გარდა, რეგისტრაცია წარმოებს დევნილთა ქუთაისის სამმართველოში, ზუგდიდისა და სენაკის განყოფილებებში და გორში, შიდა ქართლის დევნილთა დეპარტამენტში. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ჩრდილოეთ ოსეთის ქალაქ ბესლანში მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ დღეს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქს ალექსი მეორეს სამძიმრის წერილი გაუგზავნა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. დღეს საქართველოში, სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონაში მოქმედი შერეული სამშვიდობო ძალების ახალი სარდალი - გენერალ-მაიორი მურატ კულახმეტოვი ჩამოდის, რომელიც ამ პოსტზე გენერალ-მაიორ სვიატოსლავ ნაბზდოროვს შეცვლის. სახელმწიფო მინისტრის გოგა ხაინდრავას განცხადებით, შერეული სამშვიდობო ძალების სარდლის პოსტზე კულახმეტოვი შერეული ოთხმხრივი საკონტროლო კომისიის სხდომამ უნდა დაამტკიცოს, რომელიც, სავარაუდოდ, უახლოეს ხანებში გაიმართება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. "ინტერნიუს-საქართველო" პროტესტს გამოთქვამს რუსეთის ტერიტორიაზე ქართველი ჟურნალისტების უკანონო დაპატიმრებასთან დაკავშირებით და საერთაშორისო ორგანიზაციებს სიტყვის თავისუფლების დარღვევის ფაქტზე რეაგირებისკენ მოუწოდებს. შესაბამისი წერილი ყველა იმ საერთაშორისო ორგანიზაციას დაეგზავნება, რომელთა კომპეტენციაში სიტყვის თავისუფლებისა და დამოუკიდებელი მედიის დაცვა შედის. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თელავი. პანკისის ხეობაში მცხოვრებმა ჩეჩენმა ლტოლვილებმა გუშინ ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის დღე აღნიშნეს. ბესლანში მომხდარი ტრაგედიის გამო, ეს დღე წელს მოკრძალებულად აღინიშნა. ღონისძიება დღის 12.00 საათზე, საქართველოს და ჩეჩნეთის სახელმწიფო დროშების აღმართვით დაიწყო. ამის შემდეგ, 12-მდე მხედარი სოფელ მატანის შესასვლელიდან, სადაც ადრე პირველი ბლოკ-საგუშაგო მოქმედებდა, დუისისკენ გაემართა. ადამიანის უფლებების დაცვის ჩეჩნეთის წარმომადგენელმა ასლანბეგ აბურზაკოვმა, ჩეჩნური დიასპორის წარმომადგენელმა საქართველოში ხიზრი ალდამოვმა და დუისის საკრებულოს თავმჯდომარემ ჯარაფ ხანგოშვილმა დოღში გამარჯვებულ მხედარს საჩუქრად ჭედილა გადასცეს. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

ლარი ისევ მყარდება

პირველი გვერდიდან

აქვე უნდა ითქვას, რომ, ერთი მხრივ, თითქოს "დაჭერილი" ფასები საკმაოდ გაძვირდა იმ მომხმარებლისთვის, რომელიც შემოსავალს, ძირითადად, უცხოურ ვალუტაში იღებს - არავისთვის სიახლე არ არის, რომ მეტ-ნაკლებად სერიოზული შემოსავლები საქართველოში დღეს სწორედ უცხოური ვალუტით ან უცხოური ვალუტის ეკვივალენტებით მიიღება - საუბარია როგორც უცხოურ ორგანიზაციებში დასაქმებულებზე, ისე ქვეყნის გარედან მიღებულ გადმორიცხვებზე, რაც ჩვენი მოქალაქეების საკმაოდ დიდი ნაწილისთვის მთავარ საარსებო წყაროს წარმოადგენს.

ამას დაუმატეთ ის ფაქტი, რომ მოსახლეობის ძირითადი დანაზოგები დოლარებშია და დოლარის გაიაფებით მათი დანაზოგების მსყიდველუნარიანობა შემცირდა.

მეორე მხრივ კი - რადგან ლარის გამყარების რეალური მიზეზები ცნობილი არ არის და ექსპერტებსაც ძალიან უჭირთ გააკეთონ პროგნოზი, მაინც რა ელის მომავალში ლარს - გამყარება 1,5 ლარი 1 დოლარზე ნიშნულამდე თუ გაიაფება 1,9 ლარი - 1 დოლარზე ნიშნულამდე, ამიტომ ლარისადმი ნდობის ზრდას დოლარის კურსის დღევანდელი ვარდნა ასევე არ ემსახურება.

გარდა მოსახლეობისა, საკმაოდ რთულ სიტუაციაში არიან ბანკებიც - საგულისხმოა, რომ "24 საათს" ლარის ირგვლივ შექმნილი სიტუაციის კომენტირებაზე კომერციული ბანკების წარმომადგენელთა უმეტესობამ სხვადასხვა "ზრდილობიანი" მიზეზით უარი განუცხადა, რაც, პირველ რიგში, ხელისუფლების მიერ ამ საკითხთან დაკავშირებით წარმოებული პოლიტიკისადმი კრიტიკული მიდგომითა და ერთგვარი გაურკვევლობით უნდა იყოს განპირობებული. "24 საათამდე" მოაღწია ხმებმა კომერციული ბანკებისა და ეროვნული ბანკის გარკვეულ დაპირისპირებაზეც, რომელიც, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, გასული კვირის შუაში განსაკუთრებულად გამწვავდა და ურთიერთგარჩევებში გამოიხატა. ცხადია, ამ ინფორმაციას ოფიციალურად არავინ ადასტურებს, თუმცა, თავად ინფორმაცია საკმაოდ სანდოა. დაპირისპირების მიზეზად კი დოლარის გაუფასურების გამო ბანკების წინაშე წამოჭრილ ახალ პრობლემებს ასახელებენ, რომელიც, ასევე არაოფიციალური ინფორმაციით, დოლარებში გაცემულ კრედიტებს უკავშირდება, რომელიც მიმღებისთვის გაიაფებული დოლარის გამო შედარებით ადვილი დასაბრუნებელი გახდა, კომერციული ბანკისთვის კი - წამგებიანი. ვრცელდება ინფორმაცია იმის თაობაზეც, რომ ამ პრობლემების გამო, ბოლო პერიოდში ბანკებმა კრედიტების გაცემა შეზღუდეს. ამას, სხვათა შორის, ეროვნულ ბანკშიც არ უარყოფენ.

ირაკლი ლობჟანიძის ფოტო

ექსპერტებს ძალიან უჭირთ გააკეთონ პროგნოზი, მაინც რა ელის მომავალში ლარს - გამყარება 1.5 ლარი 1 დოლარზე ნიშნულამდე თუ გაიაფება 1,9 ლარი - 1 დოლარზე ნიშნულამდე, ამიტომ ლარისადმი ნდობის ზრდას დოლარის კურსის დღევანდელი ვარდნა ასევე არ ემსახურება.

გარდა ამისა, ფაქტია, რომ ლარის გამყარება იმპორტს "ახალისებს", ექსპორტს კი ზღუდავს, რაც ქვეყნის ეკონომიკისთვის ნამდვილად არ არის მომგებიანი. მეტიც, ექსპერტების და თავად ბიზნესმენების დიდი ნაწილი თვლის, რომ ლარის გამყარება დღეს მხოლოდ მსხვილ იმპორტიორებს აძლევს ხელს, ხოლო წვრილი იმპორტიორები და ექსპორტიორები ცალსახად წაგებულები რჩებიან იმ მარტივი მიზეზების გამო, რომ ბიზნესის დაგეგმვა, არასტაბილური კურსისა და მისი არაპროგნოზირებადობის გამო, უჭირთ.

ზარალდება ბიუჯეტიც, რადგან საბაჟოზე დოლარის კურსის სიმცირის გამო, მცირდება შემოსავლების ოდენობაც.

სიტუაციას ართულებს ის ფაქტი, რომ ლარის კურსის რყევა, ძირითადად, არალოგიკურად ხდება და, შესაბამისად, წარმოშობს ეჭვებს კურსის ხელოვნურობის შესახებ. თუმცა, ოფიციალურად ამის დამადასტურებელი ციფრები, თითქოს, არ ჩანს - ეროვნული ბანკიც ბოლო პერიოდში, ძირითადად, ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ვაჭრობაში თუ ერევა, ერევა ლარის კურსის გამყარების შესაჩერებლად - ანუ თავად გამოაქვს ლარი ბაზარზე.

კითხვაზე, რამდენად აუცილებელია და რამდენად საკმარისი ასეთი ჩარევები, ექსპერტებს არაერთგვაროვანი პასუხი აქვთ. თუმცა, ყველა რესპონდენტი ერთხმად აღიარებს, რომ საქართველოს ეროვნული ვალუტის ირგვლივ განვითარებული მოვლენები საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდით და მიღებული შემოსავლების ხარჯვის დაყოვნებით არის გამოწვეული.

ექსპერტთა დიდი ნაწილის აზრით, ახალმა ხელისუფლებამ, რომელსაც გადაჭარბებული ბიუჯეტის მართვის გამოცდილება დღემდე არ ჰქონია, ვერ ან არ მოახდინა ადაპტირება ახალ რეალობასთან, გადასახადების სახით ამოღებული ლარის მასას აყოვნებს, არ უშვებს ბაზარზე, რითიც აშკარად ხელოვნურად იქმნება ლარის დეფიციტი. ეს დეფიციტი იქმნება იმ პირობებში, როცა ლარის მასა რეალურად არსებობს როგორც ეროვნულ ბანკში, ისე ხაზინაში.

სხვათა შორის, "24 საათის" ინფორმაციით, ამ საკითხთან დაკავშირებით გარკვეული წინააღმდეგობები თავად ხელისუფლების შიგნითაც არსებობს - ფინანსთა მინისტრი ხარჯების ვერგაწევას შემოსავლების გადაჭარბებით ასაბუთებს. ანუ საუბარია იმაზე, რომ მიღებული შემოსავლების ადეკვატური ხარჯები ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული. არ არის გათვალისწინებული მიუხედავად იმისა, რომ ბიუჯეტის კორექტირება სულ სამიოდე კვირის წინ მოხდა. ამასთან, ფინანსთა სამინისტრომ, ჯერჯერობით, ვერ თუ არ მონახა გადაჭარბებული შემოსავლებით ძველი დავალიანებების დაფარვის მექანიზმი, რაც ლარის მასის დეფიციტის პრობლემას ბაზარზე ასევე მოხსნიდა. ეროვნული ბანკი კი, რომელსაც საერთაშორისო სავალუტო ფონდი სავალუტო ბაზარზე მკვეთრ ჩარევებს არ ურჩევს, საკუთარ თავზე დამატებითი პასუხისმგებლობის აღებას აშკარად ერიდება. თუმცა ბოლო დღეებში მან ლარი ბაზარზე, მართალია, არა დიდი დოზით, მაგრამ გამოუშვა. საბოლოო ჯამში, ხელისუფლების პოლიტიკის შედეგად, ვიღებთ იმ სიტუაციას, რომელიც ზემოთ უკვე აღვწერეთ და რომელზეც დღევანდელ ნომერში ასევე საუბრობენ ექსპერტები, ბიზნესმენები და ბანკირები.

ლარის კურსის ცვლილება ბიუჯეტის შესრულებაზე უარყოფით გავლენას ახდენს

ექსპერტთა ერთი ნაწილი შიშობს, რომ ლარის კურსის ასეთი გამყარება სერიოზულ გავლენას იქონიებს წლევანდელი ბიუჯეტის შესრულებაზეც. უმნიშვნელო, გარღვევა გარდაუვალია, თუკი ლარი ძველ ნიშნულს არ დაუბრუნდა - დაახლოებით, ასეთ პროგნოზს აკეთებენ კომპეტენტური პირები, რასაც ფინანსთა სამინისტრო კატეგორიულად არ ეთანხმება.

ეთერ მამულაშვილი

წლის დასაწყისში, როცა ბიუჯეტი იგეგმებოდა და მოგვიანებითაც, როცა პარლამენტმა ქვეყნის მთავარი ეკონომიკური კანონი დაამტკიცა, ეროვნული ვალუტის კურსი ამერიკულ დოლართან მიმართებაში ორ ლარზე ოდნავ მეტი იყო. შესაბამისად, ერთხმად მიღებული ბიუჯეტი 2.15 ლარზე იყო გათვლილი. სულ ახლახან, როცა ფინანსთა სამინისტროს ინიციატივით საკანონმდებლო ორგანომ ბიუჯეტში ცვლილებები შეიტანა, პარალელურად მოხდა კორექტირება ლარის კურსთან მიმართებაშიც. ახალი გაზრდილი ბიუჯეტი უკვე 1.98 ლარზე არის გათვლილი. ახალი ბიუჯეტის მიღებიდან, სულ რაღაც, ნახევარ თვეში, ეროვნული ვალუტა კიდევ დაახლოებით 20 თეთრით გამყარდა, რამაც, ეკონომისტების რწმუნებით, ბიუჯეტის შემოსავლებსა და ხარჯებს გარკვეული საფრთხე შეუქმნა. მათი ვარაუდით, შემოსავლების დიდ ნაწილში, რომელსაც სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ფინანსური ინსტიტუტებიდან გრანტებისა და კრედიტის სახით ველოდით, მნიშვნელოვანი დანაკლისია მოსალოდნელი.

2004 წლის ბიუჯეტში გრანტებისა და კრედიტების მოცულობა, დაახლოებით, 120 მილიონი ლარით განისაზღვრა, რაც დოლარის კურსის დაცემასთან ერთად მნიშვნელოვნად შემცირდა. **"შემოსავლების ის ნაწილი, სადაც კრედიტებისა და გრანტების მიღება იყო დაგეგმილი, ცოტა ფულს მივიღებთ. შესაბამისად, ის ხარჯები, რომლის გაწევასაც ხელისუფლება ზემოთ ხსენებული შემოსავლებიდან გეგმავდა, მნიშვნელოვნად შემცირდება და დანაკლისი შესაძლოა სერიოზული გვქონდეს,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს ეკონომიკურმა ექსპერტმა კახა უგულავამ. ამ აზრს დამოუკიდებელ ექსპერტთა დიდი ნაწილი იზიარებს, რასაც ფინანსთა სამინისტრო ცალსახად არ ეთანხმება. სამინისტროს ფინანსური პოლიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი კახა დამენია ირწმუნება, რომ კრედიტებისა და გრანტების ნაწილში მიღებულ დანაკლისს შემცირებული საგარეო ვალის მომსახურება დააბალანსებს. **"ჩვენ ბიუჯეტში გვაქვს დოლარებში შემოდინებაც და გადინებაც. მათი ოდენობა კი, ფაქტობრივად, თანაბარია, რაც პრინციპში ერთმანეთს აბალანსებს. იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ საგარეო ვალს დოლარებში ვემსახურებით, ამერიკული ვალუტის გაიაფება იმის საშუალებას გვაძლევს, რომ ბიუჯეტიდან დაგეგმილზე ნაკლები ხარჯი გავწიოთ. ამიტომაც ლარის კურსის ასეთი ცვლილებაც კი ბიუჯეტის შესრულებაზე გავლენას ვერ იქონიებს. ასე რომ, წმიდა ფისკალურ ეფექტს ამისგან არ უნდა ველოდოთ,"** - გვარწმუნებს დამენია.





იმას, რომ ლარის კურსის ასეთი დონით გამყარება საგარეო ვალის მომსახურებას მნიშვნელოვნად აიაფებს, ექსპერტებიც აღიარებენ, თუმცა, მათი მტკიცებით, ამ შემთხვევაშიც კი, ბიუჯეტში დისბალანსი აშკარად შესამჩნევი იქნება, რადგან წელს შემოსავლები გრანტებისა და კრედიტების სახით ბევრად მეტია, ვიდრე საგარეო ვალის მომსახურებისთვის ბიუჯეტში გათვალისწინებული ასიგნებები. **"არა მგონია, რომ ამან გრანტებისა და კრედიტებისგან მიღებული დანაკარგი მნიშვნელოვნად აანაზღაუროს. წელს ფინანსთა სამინისტრო საგარეო ვალის დაახლოებით 100 მილიონი ლარით შემცირებას გეგმავს. ამაზე მეტ ხარჯს, საშუალება რომც ჰქონდეს, ვერ გასწევს, რადგან ამისთვის მთელი რიგი პროცედურების გავლა დასჭირდება. პირველ რიგში - კიდევ ერთხელ ცვლილებების შეტანა ბიუჯეტში, რაც საბოლოოდ პარლამენტის გადასაწყვეტია,"** - ამბობს ექსპერტი.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: კახა უგულავას ინფორმაციით, დოლარის გაიაფებამ და, შესაბამისად, ლარის გაძვირებამ საბაჟო შემოსავლებზე გარკვეული გავლენა უკვე იქონია. ეკონომიკური ექსპერტის გათვლებით, ბიუჯეტის დანაკლისი ამ ნაწილში ყოველთვიურად დაახლოებით 15 მილიონი ლარია. **"საბაჟო გადასახადი იმპორტიორებისთვის დაფიქსირებულია უცხოურ ვალუტაში, შესაბამისად, როცა იმპორტიორი იხდის განბაჟების თანხას, ეს დანაკლისი პირდაპირ ბიუჯეტს აწვება. ჩვენი დათვლით, დღეს საბაჟოზე 15 მილიონით ნაკლები იკრიბება, იმის გამო, რომ დოლარის კურსი ასეთი დაბალია,"** - ამბობს უგულავა.

საგულისხმოა, რომ იგივე პოზიციას იზიარებენ სხვა დამოუკიდებელი ექსპერტებიც, რომლებიც ამბობენ, რომ მიუხედავად საბაჟოს მიერ დეკლარირებული გადაჭარბებული შემოსავლებისა, რეალურად ეს შემოსავლები გაცილებით დიდი უნდა ყოფილიყო.

ექსპერტების მოსაზრება

ირაკლი იაშვილი:

ვფიქრობ, რომ დღეს ლარის კურსის ხელოვნურად გამყარება ხდება. პრაქტიკულად, ეროვნული ბანკი ამას არც უარყოფს. რაც შეეხება იმას, რომ მთავრობა ამ პროცესით საგარეო ვალის მომსახურებას აიაფებს, უბრალოდ, ეს ყველაფერი გამომდინარეობს აქედან.

როგორც ვხედავთ, ფასები ბაზარზე მაინც იზრდება, რაც ეკონომიკის განვითარებას რეალურად ხელს უშლის. დღეს ჩვენი სავაჭრო ბალანსი უარყოფითია, ამასთან, იმპორტი სამჯერ მეტია ექსპორტზე. გაკეთებულია მარტივი გათვლა - რადგანაც ქვეყანა ამ მომენტში იმპორტზეა ორიენტირებული, მოხდა კურსის დაბლა დაგდება. იმის გამო, რომ საგარეო ბაზრებზე ფასების ზრდა ხდება, ჩვენთან არის მცდელობა, რომ ფასები "დაიჭირონ", მაგრამ ეს ეფექტი რეალურად არ მუშაობს.

უნდა აღვნიშნო, რომ ეროვნული ბანკი თავის საქმეს კარგად აკეთებს. მთავრობის ეკონომიკურ გუნდს კი სტრატეგიული ხედვა უნდა ჰქონდეს და სხვა გადაწყვეტილებები მიიღოს, ამ საკითხში ნომინინტი მთავრობა უნდა იყოს.

ხელოვნურად კურსის დაწევა ნამდვილად არ არის კარგი. წარმოიდგინეთ, ჩვენს ქვეყანაში ინვესტიციებზე და მოგებაზე ვლაპარაკობთ, ინვესტორისთვის საქართველოში მომგებიანი კი ექსპორტია. ასეთ პირობებში, როცა ლარი მყარდება, ჩვენ უნდა დავივიწყოთ ინვესტიციების ქვეყანაში შემოტანა, რადგან ჩვენი ფინანსური გარემო მათთვის არამიმზიდველი ხდება. მთავრობამ ვალუტის გამყარებას ხელი არ უნდა შეუწყოს. მან ლარს თავი უნდა დაანებოს, ხოლო საწვავის და სხვათა ფასებს აქციზების დაწევით ებრძოლოს. გადასახადები ხომ ფასების შენარჩუნების ყველაზე ქმედითი ბერკეტია.

არა მგონია, რომ ლარი სამომავლოდ კიდევ გამყარდეს, რადგან გარკვეული ფულის მასები, რომლებიც ბიუჯეტის დამტკიცებამდე გაჩერებული იყო ეროვნული ბანკის დეპოზიტებზე, დაიხარჯება და დოლარის კურსის გამყარებაც დაიწყება. ალბათ, ერთ-ერთი მიზეზი ესეც არის - სპეციალურად დაბლა დააგდეს ლარი, რომ შემდეგ დოლარის ბუნებრივი გამყარება მომხდარიყო. ვფიქრობ, დაახლოებით თვე-ნახევარში ლარის კურსი 1,9-მდე უნდა დაბრუნდეს.

ვახტანგ ხომეზურაშვილი (თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟა):

ლარის გამყარება, ბუნებრივია, ეკონომიკისთვის პოზიტიურ როლს არ თამაშობს, იმდენად, რამდენადაც ექსპორტიორები ზარალდებიან. საფინანსო ბაზრები შესაბამის დონეზე რომ იყოს, ფულის მასის ბრუნვის სიჩქარე გაიზრდებოდა და ამდენი აღარ იქნებოდა საჭირო. მაგრამ, რამდენადაც ეს ბერკეტი ჩვენთან განუვითარებელია, ეკონომიკა დამატებით ფულად მასებს საჭიროებს.

თუ იქიდან გამომდინარე ვიმსჯელებთ, რომ საქართველოში ფასთა ინდექსი არ შეცვლილა და პირიქით, გაიზარდა კიდეც, მაშინ ასეთ სიტუაციაში ლარის ხელოვნური გამყარება არარეალურად მიმაჩნია. საერთოდ, გამყარება ცუდია ნებისმიერი ვალუტისთვის. ზუსტად ასეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა ერთ დროს ევრო და დოლარი. მთავარი ის არის, რომ ვალუტის რეგულირება იმ დიაპაზონში იყოს, რა დიაპაზონიც მისაღებია ამ ეტაპისათვის. რაც შეეხება საგარეო ვალებს, ცნობილია, რომ ვალუტის გამყარება მასთან დაკავშირებით პოზიტიურ როლს თამაშობს.

დღევანდელ დღეს ეროვნული ბანკი მხოლოდ ცალმხრივ ემისიებს ახორციელებს - ყიდულობს დოლარს და უშვებს ლარს. ვფიქრობ, რომ უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, გარკვეული ლიმიტების ფარგლებში დოლარიც გაეყიდათ, რაც არსებულ სიტუაციას დაარეგულირებდა. და ბოლოს, სახეზეა ფულის მასის გაზრდის აუცილებლობა.

თენგო შერგელაშვილი:

ვფიქრობ, რომ კურსის გამყარება ქვეყნის ეკონომიკის სიჯანსაღეზე ნამდვილად არ მეტყველებს. ლარის გამყარების ტენდენცია წლის დასაწყისში დაიწყო. პირველი, რამაც ამ ფაქტზე იქონია გავლენა, გადასახადების ამოღების დაწყება იყო, ეს აქტივები კი დოლარებში იყო. მაშინ ბიუჯეტი დამტკიცებული არ იყო, შესაბამისად, ხარჯების გაწევა დიდი მასშტაბებით არ ხდებოდა. ამან კი ლარზე მოთხოვნა გაზარდა.

ხდება თუ არა ლარის ხელოვნურად გამყარება, ძნელი სათქმელია. ეროვნული ბანკი კურსის შესანარჩუნებლად მსგავს ქმედებებს არ ახორციელებს, ყოველ შემთხვევაში, ღიად არ აჩვენებს ამას.

ის, რომ რაც უფრო მყარია ლარი, მით უფრო იაფი უჯდება საქართველოს მთავრობას საგარეო ვალის მომსახურება, ფაქტია. გამყარება ხელოვნური იქნება თუ ბუნებრივი, ორივე შემთხვევაში ასე იქნება. მეორე მხრივ კი, მთავრობას ხელს არ აძლევს, როცა შემოსავლები უცხოურ ვალუტაშია.

ადგილობრივ ვაჭრობას რაც შეეხება, აქ, ძირითადად, ლარებში მიდის ურთიერთობა. მიუხედავად იმისა, რომ კურსი გაიზარდა, ფასები მაინც არ შემცირებულა და საბოლოოდ იმპორტიორების შემოსავლები გაიზარდა.

ვფიქრობ, მთავრობა ამ მიმართულებით რაიმე სერიოზულ ნაბიჯებს ვერ გადადგამს, ეს ეროვნული ბანკის პრეროგატივაა. არანაირი სერიოზული ნაბიჯების გადადგმა არ ღირს მისი მხრიდან, მთავრობის რაიმე სახის ინტერვენცია ამ სფეროში მიზანშეწონილად არ მიმაჩნია. ლარის მკვეთრი მოძრაობები, წესით და რიგით, მოსალოდნელი არ უნდა იყოს.

ირაკლი კოვზანაძე:

დღეს საქართველოს მოსახლეობაში დაგროვების საშუალება მაინც დოლარია. დეპოზიტებში დოლარიზაცია 80 პროცენტია. ეს ორი მონაცემი ყველაფერზე გვაძლევს დასკვნის გაკეთების საშუალებას.

პირველი, რამაც ლარის კურსის გამყარებაზე გავლენა მოახდინა, ჩრდილოვანი სექტორის ლეგალიზაცია იყო, რაც ავტომატურად ნიშნავს ვალუტაზე მოთხოვნილების გაზრდას. მეორე მომენტი ის არის, რომ ბიუჯეტის ბრუნვითი შემოსავლები იზრდება. უფრო მეტი თანხების მობილიზება ხდება ფინანსთა სამინისტროს ანგარიშზე ეროვნულ ბანკში.

ვერ ვიტყოდი, რომ ლარის კურსი ხელოვნურადაა გამყარებული. ასეთ პერიოდში ყოველთვის იყო ლარის კურსის გამყარება დამახასიათებელი და ხელოვნურობისგან ეს პროცესი, ალბათ, შორსაა. მეორე საკითხია, თუ რამდენად ადეკვატურია ახლა ეს პროცესი.

თუ დავაკვირდებით, ერთი წლის განმავლობაში ვალუტის კურსის ოცი პუნქტით აწევა მოხდა, ეს კი მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობაზე ძალიან დიდ გავლენას ახდენს. მოსახლეობის იმ ფენას ვგულისხმობ, რომელსაც თანხა დოლარებში ჰქონდა. საბანკო დეპოზიტების დოლარიზაცია 80 და 82 პროცენტს შორისაა. ანაბრები წლის დასაწყისის მონაცემებით 760 მილიონი ლარის ფარგლებში იყო, სადაც დოლარიზაცია 85 პროცენტი იყო.

ლარის კურსის გამყარება გაზრდის ვალის გასტუმრების მაჩვენებელს, მაგრამ ბიუჯეტისთვის ეს მნიშვნელოვან გავლენას ვერ იქონიებს.

ლარის კურსის გამყარება გავლენას იქონიებს ადგილობრივ ბაზარზეც. პირველ რიგში კი, იმათზე, ვისაც შემოსავლები დოლარებში აქვს. ასევე, იმოქმედებს იმათზეც, ვისი ნათესავებიც უცხოეთში არიან ემიგრირებული და საიდანაც, სწრაფი გზავნილების დახმარებით, საკმაო შემოსავლებს იღებენ უცხოურ ვალუტაში. ისინი ბოლო პერიოდში ყოველ ას დოლარზე ოცი ლარით ნაკლებ თანხას იღებენ. ასე რომ, საქართველოს მოსახლეობაზე ეს მნიშვნელოვან გავლენას ახდენს.

რაც შეეხება საფინანსო ბაზარს, მათი შემოსავლების მნიშვნელოვანი შემცირება ხდება. არსებული მდგომარეობა გავლენას მოახდენს ყველა საფინანსო-საბანკო დაწესებულებაზე. ერთი სიტყვით, ლარის კურსის გამყარება დამატებით პრობლემებს შეუქმნის საქართველოს ეკონომიკას. ეროვნულმა ბანკმა ხელი უნდა შეუწყოს, რომ ვალუტებთან დაკავშირებული გადაცვლები არ იყოს ისეთი მკვეთრი, როგორც ბოლო დღეებში. კურსი შესაძლოა შემცირებულიყო, მაგრამ მისი შენარჩუნება შესაძლებელი იყო 1,8 და 1,85 შორის. ცენტრალური ბანკის ფუნქცია აქ გადამწყვეტია. მას აქვს შესაძლებლობა, უფრო აქტიურად ჩაერთოს სავალუტო ბაზრის რეგულირებაში და კურსი უმნიშვნელო ცვლილებებით გაამყაროს და საათობრივ ან დღეებზე ეს ფასი ოდნავ ეცოცოცოს. ასეთ ფონზე, ეროვნული ბანკი ამ ფასს ოდნავ ეცოცოცოს. ეს ეფექტი, ალბათ, ეროვნული ბანკის ინტერვენციის ეფექტი.

თბილისის გაზმომარაგების საკითხი გაურკვეველი რჩება

თბილისის გაზმომარაგების საკითხი კვლავ გაურკვეველი რჩება. გუშინ "გაზპრომის" ხელმძღვანელებთან შესახვედრად მოსკოვში გამგზავრებას საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური და "თბილგაზის" გენერალური დირექტორი დავით მორჩილაძე გეგმავდნენ, თუმცა ვიზიტი გადაიდო. სავარაუდოდ, "თბილგაზის" მიერ დაგროვილი ვალების რესტრუქტურიზაციაზე საუბარი მოსკოვში კვირის ბოლოს გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ თბილისის გაზმომარაგების სრულად აღდგენის საკითხის წამოწევას ქართული მხარე მხოლოდ მას შემდეგ შეძლებს, რაც "გაზექსპორტის" მიმართ დაგროვილი 13 მილიონდოლარიანი დავალიანება ნაწილობრივ მაინც დაიფარება.

24 საათი

საქართველოს დაცული ტერიტორიები ვიზიტორების მისაღებად ემზადებიან

დასრულდა ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაციაში მიმდინარე სამდღიანი მარკეტინგის სემინარი, რომლის მიზანსაც ლაგოდეხის, ახმეტისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ე.წ. მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება წარმოადგენდა. უახლოეს მომავალში, აღნიშნული დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციები თავიანთი უმთავრესი მიზნის - ნაკრძალებისა და ეროვნული პარკების დაცვის პარალელურად, ადგილობრივი და საერთაშორისო ვიზიტორების მოზიდვას თავად შეძლებენ.

სემინარში, რომელსაც დაცული ტერიტორიების განვითარების ცენტრი მასპინძლობდა, დაცული ტერიტორიების სახელმწიფო დეპარტამენტის, ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის, ბორჯომ-ხარაგაულის და კოლხეთის ეროვნული პარკების ხელმძღვანელები მონაწილეობდნენ.

აღსანიშნავია, რომ სემინარზე შემუშავდა სტრატეგია, რომელიც საქართველოს დაცული ტერიტორიების, ანუ ქვეყნის უნიკალური კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის მონახულებით დაინტერესებულ ადგილობრივ და უცხოელ სტუმრებს ყოველი ტერიტორიისათვის ინდივიდუალურად დამახასიათებელ და სპეციფიურ სერვისს შესთავაზებენ.

24 საათი

რა ხდება კოპიტნარის აეროპორტში?

"ნაციონალური ავიახაზები" მზადაა, ქუთაისის აეროპორტის მგზავრთა უსაფრთხოებისთვის 3-4 მილიონი დოლარი დახარჯოს

მარიამ ჯაჭვაძე

ავიაკომპანიის წარმომადგენლები დამატებით აღნიშნავენ, რომ ქუთაისის აეროპორტში შექმნილი საგანგაშო მდგომარეობა სერიოზულ საფრთხეს უქმნის როგორც ქვეყნის, ასევე მგზავრთა და ავიაკომპანიის უსაფრთხოებას. "ნაციონალური ავიახაზების" პრეზიდენტი გიორგი კოდუა ირწმუნება, რომ დაახლოებით 30 წელია, რაც აეროპორტის ადმინისტრაციულ შენობაში არ ჩატარებულა რემონტი და გადაიარაღება, რის გამოც მწყობრიდან არის გამოსული ყველა სახის ტექნიკა-დანადგარები. მეტიც, ავიაკომპანიის წარმომადგენლების მტკიცებით, საჰაერო ხომალდების ასაფრენ-დასაფრენი ბილიკებიც სავალალო დღეშია.

გიორგი კოდუა, რომლის ავიაკომპანიაც ქუთაისი-მოსკოვის და ქუთაისი-კიევის რეისებს ასრულებს, მიიჩნევს, რომ ქუთაისის აეროპორტიდან თვითმფრინავების მოძრაობა არცთუ ისე საიმედოა. მისივე ინფორმაციით, აეროპორტის ტერიტორიაზე ელექტროენერგიის გამორთვები ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, ელექტროენერგიის დამატებითი წყაროები კი გაუმართავია. **"არ ხდება ბარგის, ტვირთისა და მგზავრთა შემოწმება, არ ფუნქციონირებს სტაციონარული მეტალო-დეტექტორი და შემოწმების რენტგენული მოწყობილობა, დაუცველია აეროპორტის პერიმეტრი. ეს იმ ფონზე, როცა მთელს მსოფლიოში, ტერორისტული აქტების საშიშროების გამო, უსაფრთხოების ზომები გამკაცრებულია,"** - განაცხადა კოდუამ. მისივე ინფორმაციით, ავიაკომპანიამ საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანს, უშიშროების მინისტრსა და სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციას შესაბამისი მიმართვები გაუგზავნა და აეროპორტში არსებული მდგომარეობის ერთობლივი ძალისხმევით გამოსწორება შესთავაზა.

გუშინ გიორგი კოდუამ ქუთაისის აეროპორტის განვითარების დეტალური გეგმა საგანგებო პრესკონფერენციაზე წარმოადგინა.

გოგიჩა ბუხაიძის ფოტო

ამჟამად "ნაციონალური ავიახაზები" მზად არის, ქუთაისის, იგივე კოპიტნარის აეროპორტში 3-4 მილიონი დოლარის ღირებულების ინვესტიცია განახორციელოს და ის საერთაშორისო სტანდარტებს მიუახლოვოს, რის შემდეგაც იგი თბილისის აეროპორტისთვის სარეზერვო აეროპორტის ფუნქციასაც შეასრულებს (ამ ფუნქციას ამჟამად ბაქოს და ერევნის აეროპორტები ასრულებენ). ამის სანაცვლოდ, ავიაკომპანია შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურებისგან აეროპორტის შესყიდვას ან 50-წლიანი იჯარით გადაცემას ითხოვს. ავიაკომპანიამ აეროპორტის განვითარებისა და რეკონსტრუქციის გეგმა უკვე შეიმუშავა, რომელსაც უახლოეს მომავალში ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წარუდგენს. ბიზნეს-გეგმის პრეზენტაცია ჟურნალისტებისთვის "ნაციონალურმა ავიახაზებმა" საკუთარ ოფისში გუშინ გამართა, რომლის მიხედვითაც აეროპორტის დღევანდელი ადმინისტრაციული შენობა მთლიანად დასანგრევია. რაც შეეხება ახალ, თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობის მქონე აეროპორტს, მისი მშენებლობა, კოდუას გათვლებით, დაახლოებით სამ-ოთხ თვეში დასრულდება, თუკი ავიაკომპანიის წინადადებას აეროპორტის შესყიდვის თაობაზე ეკონომიკური განვითარების სამინისტრო დროულად და დადებითად გადაწყვეტს.

"ჩვენ შევიმუშავეთ აეროპორტის განვითარების ისეთი ფართო გეგმა, რომელიც არა მარტო ჩვენს კომპანიას, არამედ სახელმწიფოს მოუტანს დიდ შემოსავალს. ყოველ შემთხვევაში, იმაზე მეტს, ვიდრე დღეს ბიუჯეტი ამ აეროპორტიდან იღებს. ჩვენი გეგმის მიხედვით, ქუთაისის აეროპორტი, საკუთარი მდებარეობის წყალობით, ტრანსკონტინენტურ გადაზიდვებში ერთ-ერთი მთავარი ღერძი გახდება," - პირობას დებენ ავიაკომპანიის წარმომადგენლები.

მინისტრ კახა ბენდუქიძის მიერ გამოქვეყნებულ გრძელ საპრივატიზაციო ნუსხაში ქუთაისის აეროპორტი არ მოხვედრილა. ეს მაშინ, როცა ამავე სიაში ბათუმისა და ფოთის აეროვაგზლების გვერდით, თბილისის საერთაშორისო სტატუსის მქონე აეროპორტი უკვე გამოჩნდა. ეკონომიკური განვითარების სამინისტროში აცხადებენ, რომ ამ დროისთვის ქუთაისის აეროპორტთან დაკავშირებით არსებულ ვითარებას დეტალურად ეცნობიან. შესაბამისად, არ არის გამორიცხული, რომ უახლოეს მომავალში საპრივატიზებო ობიექტთა გრძელ ნუსხაში კოპიტნარის აეროპორტიც აღმოჩნდეს.

ორი სიტყვით

თბილისი. "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის ქვემო ქართლის რეგიონალური ფილიალი" დმანისის, თეთრიწყაროს, მანგლისის და ბოლნისის მოსახლეობას აფრთხილებს, რომ თუ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს 20 სექტემბრამდე არ გადაიხდიან, დენის მინოდება შეუწყდებათ. ამ რაიონებში მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღების პროცენტული მაჩვენებელი ძალიან დაბალია: მანგლისი - 15 პროცენტი, თეთრიწყარო - 27,8 პროცენტი; დმანისი - 40 პროცენტი; ბოლნისი - 13 პროცენტი. "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" ქვემო ქართლის ფილიალის მენეჯერი რევაზ ღლიღვაშვილი თხოვნით მიმართავს აღნიშნული რაიონების მოსახლეობას, სასწრაფოდ დაიწყონ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდა. **24 საათი**

■ ■ ■

ბაქო. "რეგნუმის" ცნობით, "აზერიგაზმა" და "გაზექსპორტმა" 2004 წლის ბოლომდე გაზის მიწოდების 20 პროცენტით გაზრდის თაობაზე მოილაპარაკეს. ამიერიდან, აზერბაიჯანი "გაზექსპორტისგან" 18 მილიონი კუბური მეტრ გაზს მიიღებს, ვიდრე აქამდე იღებდა. "აზერიგაზის" ხელმძღვანელის ალიხან მელიქოვის განცხადების თანახმად, აქამდე აზერბაიჯანი 15 მილიონ კუბურ მეტრ გაზს იღებდა რუსეთიდან. მაგრამ, მოზდოკი-გაზიმაგომედის გაზსადენზე მომხდარი ავარიების გამო მოწოდება რამდენიმეჯერ შეწყდა. ახლა "გაზექსპორტმა" გადაწყვიტა, რაც შეიძლება მალე გაზარდოს მიწოდება, რათა ავარიებით გამოწვეული დანაკლისი წლის ბოლომდე როგორმე დაფაროს. **24 საათი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ რიკოთის გვირაბი ოთხი დღით დაიხურა. საავტომობილო გზების დეპარტამენტის ცნობით, სარემონტო სამუშაოები, რომელიც 9 სექტემბრის საღამოს რვა საათამდე გაგრძელდება, გზის სავალი ნაწილის აღდგენა-შეკეთებას, სავენტილაციო სისტემის პროფილაქტიკას, განათების და თვალამრეკლების დამონტაჟებას ითვალისწინებს. ოთხი დღის განმავლობაში ყველა სახის ავტოტრანსპორტი შემოვლითი გზით იმოძრავებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. "თბილწყალკანალმა" დიდი დიღმის სამ ექსპერიმენტულ კორპუსში გარეცხილების შეკეთებითი სამუშაო დაიწყო. წყლის დანაკარგის აღმოსაფხვრელად მიმდინარეობს დიდი დიღმის I კვარტლის მე-15 და მე-16ა კორპუსების შიდა ქსელების შეკეთება. დიდი დიღმის I კვარტლის 13-ე კორპუსში იგეგმება ინდივიდუალური გამრიცხველიანება, თუმცა შესაძლოა კორპუსის შეცვლა, რადგან მე-13 კორპუსის მობინადრეები ექსპერიმენტის წინააღმდეგნი არიან. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში დსთ-ს ქვეყნების ფინანსური კონტროლის უმაღლესი ორგანოების ხელმძღვანელთა ყოველწლიურ შეხვედრაზე ხელი მოეწერა დოკუმენტს - "ფინანსური კონტროლის ორგანოების საქმიანობის გამჭვირვალობის შესახებ". ამ დოკუმენტით რეკომენდირებულია, მაკონტროლებელი ორგანიზაციების საქმიანობა საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი იყოს, თუმცა იქვე აღნიშნულია: "გარდა საიდუმლო გრიფით კოდირებული, ან ქვეყნის უსაფრთხოების დარღვევის წინააღმდეგ მიმართული ინფორმაციებისა". საქართველოს დელეგაციის წინადადებით, დეკლარაციაში ხაზგასმულია, რომ აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის რეკომენდაციების გაცემის კუთხით უნდა გაიზარდოს მაკონტროლებელი ორგანიზაციების როლი. **მედია-ნიუსი**

საბიუჯეტო მონიტორინგი

EPRC
Economic Policy and Research Center
ეკონომიკური პოლიტიკისა და კვლევის ცენტრი

ბიუჯეტის შესრულებას აგვისტოში 7,13 მილიონი ლარი დააკლდა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო დეპარტამენტის მონაცემებით, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა 147,2 მილიონი ლარი შეადგინა. ანუ, ფინანსთა სამინისტროს აგვისტოს თვის საპროგნოზო მაჩვენებლის (154,33 მილიონი ლარის) შესრულებას 7,13 მილიონი ლარი დააკლდა.

საყურადღებოა, რომ ივლისის თვის პროგნოზთან შედარებით (171,43 მილიონი ლარი), რომლის შესრულებასაც 25,6 მილიონი ლარი დააკლდა, აგვისტოს თვის საპროგნოზო მაჩვენებელი 17 მილიონი ლარით ნაკლები იყო, მაგრამ მაინც ვერ შესრულდა.

ჩვენი გათვლებით, საჭიროა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები თვეში საშუალოდ 159,6 მილიონი ლარი იყოს, რათა წლის ბოლოსათვის სახელმწიფო ბიუჯეტს კორექტირება არ დასჭირდეს.

თუ წინა სამი თვის სტატისტიკას გავითვალისწინებთ, ამ პერიოდში, თვეში ბიუჯეტში საშუალოდ 143 მილიონი ლარის მობილიზება ხდებოდა, რაც, დაგვეთანხმებით, წლის ბოლომდე ბიუჯეტის შესრულებისათვის არასასურველი ტენდენცია იქნებოდა.

თუ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების სტრუქტურას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ რვა თვის განმავლობაში როგორც საბაჟო, ისე საგადასახადო სამსახურებმა სახელმწიფო ბიუჯეტში 69-70 პროცენტის მობილიზება შეძლეს. მათი საპროგნოზო მაჩვენებლებზე გასვლისთვის ამ ტემპების შენარჩუნება სავსებით საკმარისი იქნება.

არასახარბიელო მდგომარეობაა არასაგადასახადო შემოსავლების კუთხით. ბიუჯეტში მობილიზებული უნდა იქნეს წლიური გეგმის ნახევარზე მეტი. რაც შეეხება გრანტებს, აქ შესრულებულია წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის მხოლოდ 20 პროცენტი. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ერთიანი სახელმწიფო საგზაო ფონდის შემოსავლების რვა თვის გეგმა 107 პროცენტითაა შესრულებული, ხოლო ხარჯები დაფინანსებულია მხოლოდ 58 პროცენტით.

ასევე, ცუდი მდგომარეობაა სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ხარჯვით ნაწილში. მიუხედავად შემოსავლების 103 პროცენტით შესრულებისა, ხარჯვითი ნაწილი დაფინანსებულია მხოლოდ 80 პროცენტით. დაფინანსებულ ხარჯებს შორის აღსანიშნავია პენსიონერთა პენსიები, რომელიც დაფინანსებულია 82 პროცენტით, უმწეოთა სოციალური დახმარებები, რომელიც დაფინანსებულია 76 პროცენტით, წინა პერიოდის დავალიანებების დაფარვა, რომელიც დაფინანსებულია 71 პროცენტით და უმუშევრობის სოციალური დაცვის პროგრამა, რომელიც დაფინანსებულია 27 პროცენტით.



აქვე გვინდა მოვიყვანოთ სტატისტიკა სავალუტო კურსთან დაკავშირებით და გავაანალიზოთ, თუ რა გავლენა ექნება სავალუტო კურსის ცვლილებას სახელმწიფო ბიუჯეტთან მიმართებაში.

როგორც ყველა მოვლენას, დადებითი და უარყოფითი მხარეები ამ მოვლენასაც გააჩნია: დადებით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ სახელმწიფო საგარეო ვალის მომსახურება უფრო იაფი დაჯდება. ანუ, თუ ჩავთლით, რომ ლარი გაძვირებულია 20 პროცენტით, ვალის მომსახურება (2004 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული 200 მილიონი ლარის გადახდა) სახელმწიფოს 40 მილიონი ლარით იაფი დაუჯდება.

ასევე, აღსანიშნავია, რომ დიპლომატიური კორპუსის მომსახურებისათვის განკუთვნილი 25 მილიონი ლარი და საერთაშორისო ორგანიზაციებში გადასახდელი საწევრო გადასახადები (2,5 მილიონი ლარი), ფაქტობრივად, დაგეგმილზე 20 პროცენტით მეტი იქნება, რაც დროული შეღავათი იქნება ქართული დიპლომატიური კორპუსისათვის.

უარყოფით მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ლარის გამყარება უარყოფითად იმოქმედებს საბაჟო შემოსავლებზე. იმპორტის საგადასახადო ტვირთი 20 პროცენტით შემცირდება. შესაბამისად, შემცირდება საგადასახადო შემოსავლები საბაჟოს კუთხით და, 5 თვის მონაცემებით, საშუალოდ 40 მილიონი ლარი იქნება.

ასევე გასათვალისწინებელია, რომ მისაღებია 96 მილიონი ლარის გრანტები. იმის გამო, რომ ამ გრანტების ოდენობა დაფიქსირებულია უცხოურ ვალუტაში, მისაღები თანხები, ფაქტობრივად, 20 პროცენტით ნაკლები ანუ 77 მილიონი ლარი იქნება.

ასევე, არსებობს მეორე საშიშროებაც. თუ უცხოელი პარტნიორების მიერ დეფიციტის დაფინანსების საგარეო წყაროებიდან მისაღები თანხის (258 მილიონის) კორექტირება არ მოხდა, საქართველო, რეალურად, მხოლოდ 206 მილიონ ლარს მიიღებს, რაც ბიუჯეტში გარღვევას გამოიწვევს.

ლარის კურსის გამყარების დადებით და უარყოფით მხარეებს თუ დავაჯამებთ, მივიღებთ, რომ თანხობრივად ეს პროცესი ბიუჯეტზე დადებითად იმოქმედებს 45 მილიონი ლარით, უარყოფითად კი - 112 მილიონი ლარით. ამიტომაც, შემდგომი გართულებების თავიდან აცილების მიზნით, ფინანსთა სამინისტრომ და ეროვნულმა ბანკმა შესაბამისი ზომები უკვე უნდა მიიღონ.

მუნიციპალური სახელმწიფოს ბიუჯეტის შემოსავლების შესახებ

(ოპერატიული ინფორმაცია)

01.09.04

	დასახელება	შუალედ თვის შესრულება	რეგ. თვის პროგნოზი	რეგ. თვის შესრულება	%	აგვისტოს შესრულება	31 აგვისტო
	სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები	869.43	982.23	1016.64	106%	147.21	9.02
I	ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები	612.08	678.82	719.99	106%	107.91	4.92
	საგადასახადო შემოსავლები	450.28	517.50	534.74	103%	84.46	3.67
	არასაგადასახადო შემოსავლები (ცენტრალური ბიუჯეტი)	136.88	136.88	159.27	116%	22.39	0.88
	კაპიტალური შემოსავალი	2.37	2.37	2.93	124%	0.56	0.38
	გრანტები	22.54	22.08	23.06	104%	0.51	0.00
II	სოციალური დაზღვევის ერთიანი სახ. ფონდი (საგადასახადო შემოსავლები)	207.07	229.79	238.26	104%	31.19	2.92
III	საქსი ფონდი	45.00	47.70	51.65	108%	6.65	1.11
	დაფინანსების წყაროები	117.45		157.63		40.19	0.00
	ეროვნული სესხები	8.08		8.08		0.00	0.00
	სესხები საერთაშორისო ბიუჯეტებიდან ბიუჯეტის შემოსავლები	28.34		24.16		-4.18	0.00
	ეროვნული ბანკის სესხი					0.00	0.00
	მოფულო ბანკის სტრუქტურული ეკონომიკის კვლევა			44.37		44.37	0.00
	სარეზერვო ფონდები	81.02		81.02		0.00	0.00
	საგადასახადო დავალიანების სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები	418.37	465.36	479.37	103%	61.00	4.68
	სხვა დავალიანების სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები	278.06	324.07	339.21	105%	61.15	3.01
	სახელმწიფო ბიუჯეტის არასაგადასახადო შემოსავლები	142.77	143.45	166.76	116%	23.99	0.95
	სულ ტრანსფერული ბიუჯეტები	282.24	331.68	348.17	105%	65.93	3.03
	სულ საგადასახადო დავალიანები (კონსოლიდირებული)	673.90	770.01	795.95	103%	122.05	7.25
	სულ სხვა დავალიანები (კონსოლიდირებული)	301.39	343.25	366.25	107%	64.85	3.39
	სულ არასაგადასახადო შემოსავლები (კონსოლიდირებული)	147.56	150.42	171.71	114%	24.15	0.98

ჟურნალისტური ეთიკის "მკაცრი სტანდარტები" რუსეთში

გაზეთის ასეთი ფორმატის გამო დაისაჯა მთავარი რედაქტორი.

შაბათის ნომერი საბედისწერო გამოდგა.

რუსეთი მეორე დღეა, გლოვობს. ბესლანში დაღუპულებს ჯერ კიდევ მიწას აბარებენ. მთელი მსოფლიო შოკშია. მომხდარის ობიექტური შეფასებებისგან ყველა თავს იკავებს. როგორც ჩანს, საზოგადოებრივი აზრი რუსეთში არ ჩამოყალიბებულა, ან იქნებ ხელისუფლების პოზიციისაგან განსხვავებული შეხედულების გამოთქმის საშუალებას არ აძლევენ? თუმცა, არც არის გასაკვირი. თავისუფალი სიტყვა - როგორც საზოგადოების აზრის შემოქმედი, მედია, რომელმაც უნდა ასახოს სიმართლე და ტრაგედიისაგან ჯერ კიდევ დათრგუნულ მოსახლეობას მოუყვეს, რა მოხდა 3 სექტემბერს, რუსეთში თითქმის აღარ არსებობს... ის, ვინც სიმართლეს იტყვის, ან თუნდაც დააპირებს ამის გაკეთებას, ხელისუფლების სანქციების მსხვერპლი ხდება. ჯერ იყვნენ ანა პოლიტკოვსკაია და ანდრეი ბაბიცკი. შემდეგ გაჩნდა ინფორმაციები ტრაგედიის ადგილზე გადაღებული მასალების კონფისკაციის შესახებ. რეპრესირებული ჟურნალისტების სიაში "რუსთავი-2"-ის გადამღები ჯგუფიც აღმოჩნდა. გუშინ კი "პუტინის რუსეთში" კიდევ ერთ ცნობილ ჟურნალისტზე მიიტანეს იერიში.

რუსეთის ერთ-ერთი პოპულარული გაზეთის "იზვესტიას" მთავარმა რედაქტორმა რაფ შაკიროვმა, ოფიციალური ცნობით, გუშინ თანამდებობა დატოვა. თუ ვინ დაიკავებს მის ადგილს, უახლოეს მომავალში სააქციო საზოგადოება "გაზეთ "იზვესტიას" რედაქცია"-ს დირექტორთა საბჭო გადაწყვეტს. ჯერჯერობით, მთავარი რედაქტორის მოვალეობის შესრულება რედაქციის პასუხისმგებელ მდივანს, ვლადიმირ ბოროდინს დაევალა.

ინფორმაცია, რომელიც ორშაბათს დილით გავრცელდა, საკმაოდ მწირი იყო. შაკიროვის გადაწყვეტილების მიზეზებზე არაფერს იტყობინებოდნენ. თავად შაკიროვმა რადიოსადგურ "ეხო მოსკვი"-ს ეთერში კომენტარისაგან თავი შეიკავა, თუმცა აღნიშნა, რომ ეს გადაწყვეტილება მოულოდნელი იყო როგორც კოლეგებისთვის, ასევე თავად მისთვისაც. მოგვიანებით რუსული სააგენტო "როსბალტი" მომხდართან დაკავშირებით სხვა ვერსიას ავრცელებს: ამ ვერსიით შაკიროვი კი არ გადადგა, როგორც იუწყებოდნენ, არამედ აიძულეს, გადამდგარიყო, ანუ გაათავისუფლეს. "როსბალტი" წერს, რომ მთავარი რედაქტორისთვის საბედისწერო გაზეთის შაბათის ნომერი გამოდგა.

თავდაპირველად, შაკიროვი კომენტარს არ აკეთებდა. "მე შეთანხმება მავალდებულებს, უახლოეს პერიოდში კომენტარი არ გავუკეთო ჩემს გადადგომას," - აცხადებდა "იზვესტიას" ყოფილი მთავარი რედაქტორი. თუმცა, რადიოსადგურ "სვობოდას" ეთერში შაკიროვი ამბობს, რომ გაზეთის მფლობელი "პროფ-მედია" "იზვესტიას" მიერ ბესლანში მიმდინარე მოვლენების გაშუქებით იყო უკმაყოფილო. "ვდასტურებ, მე გადავდექი, - ამბობს შაკიროვი, - საქმე ეხება "იზვესტიას" შაბათის ნომერს, რომელიც ბესლანის ტრაგედიას ეძღვნებოდა. მოკლედ, ჩვენ "პროფ-მედიის" ხელმძღვანელობისგან განსხვავებული შეხედულება გვქონდა ამ ნომრის ფორმატთან დაკავშირებით. ჩათვალეს, რომ იგი ზედმეტად ემოციური და "პლაკატურია". პრინციპში, გაზეთებს ასე არ აკეთებენ. თუ თქვენ გახსოვთ, - არ ვიცი გინახავთ თუ არა შაბათის ნომერი, - იგი, სანახევროდ ბესლანში მომხდარი ტრაგედიისადმი მიძღვნილი მასალებისგან შედგება. გაზეთი მართლაც პლაკატის სახითაა მომზადებული: პირველ გვერდზე უზარმაზარი ფოტოა. მოკლედ, ჩვენ ეს გავაკეთეთ. რასაკვირველია, არა გამორჩენისთვის, არამედ იმის გათვალისწინებით, თუ რას ნიშნავდა ეს ქვეყნისთვის."

არაოფიციალური ინფორმაციით, რაფ შაკიროვის გადადგომას პრეზიდენტ პუტინის პირადი განკარგულება დაედო საფუძვლად.

არაოფიციალური ინფორმაციით, რაფ შაკიროვის გადადგომას პრეზიდენტ პუტინის პირადი განკარგულება დაედო საფუძვლად.

რუსეთის პრეზიდენტის დამოკიდებულება პრესის მიმართ უფრო ნათელი რომ გახდეს, შეგახსენებთ, თუ რა შედეგები მოჰყვა, როცა პუტინს არ მოეწონა "ნტვ"-ს ღია საინფორმაციო პოლიტიკა "ნორდ-ოსტის" ტრაგედიის გაშუქებისას. მაშინ პრეზიდენტმა ღიად განაცხადა, რომ ერთ-ერთმა ტელეარხმა შტურმამდე რამდენიმე წუთით ადრე "აჩვენა სპეცრაზმის გადაადგილება", რასაც "დიდი ტრაგედია შეიძლებოდა მოჰყოლოდა". სახელმწიფოს მეთაურმა ეს შეცდომად კი არ ჩათვალა, არამედ "ბეჭდვითი სამინისტროსა და ოპერატიული შტაბის ხელმძღვანელებთან დადებული შეთანხმების შეგნებულ იგნორირებად". პუტინის აზრით, ეს არხის რეიტინგის გაზრდისთვის, ანუ ფულის "შოვნისთვის" კეთდებოდა. სხვათა შორის, "ნეზავისიმაია გაზეტა" აღნიშნავს, რომ პარასკევსაც, ბესლანის დრამის პირველივე დღეს, კრემლში რუსული ტელეკომპანიების წარმომადგენლებს საგანგებო ინსტრუქტაჟი ჩაუტარეს და მითითება მისცეს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაეშუქებინათ ჩრდილოეთ ოსეთში მიმდინარე მოვლენები.

რაფ შაკიროვი ცნობილია, როგორც ერთ-ერთი წარმატებული მედია-მენეჯერი. იგი "იზვესტიას" 2003 წლის ოქტომბერში ჩაუდგა სათავეში. მანამდე ხელმძღვანელობდა გაზეთ "კომერსანტს", რომელიც ბორის ბერეზოვსკის მიერ სააქციო პაკეტის შეძენისთანავე დატოვა. საერთოდ, შაკიროვს რუსეთის მედია-ბაზარზე საკმაოდ დიდი პოსტები ეკავა, იგი ერთი პერიოდი "ვესტის" გენერალური დირექტორი და ყოველდღიური "გაზეტას" ხელმძღვანელიც იყო.

"ხელისუფლების ისტერიული ქმედება," - ასე აფასებს ცნობილი რუსი ჟურნალისტი სერგეი დორენკო შაკიროვის გადაყენებას. პუტინის ბიუროკრატიას ეშინოდა მძევალთა ზუსტი რაოდენობის გაცხადების, ეშინოდა თვითმფრინავების აფეთქების შესახებ სიმართლის თქმის, ახლა კი გაზეთის ფურცლებზე დაწყებული ფართო დისკუსიის აგორების შეეშინდა, - მიაჩნიათ ლიბერალ ჟურნალისტებს. რაოდენ სამწუხაროა, რომ ასეთები რუსეთში საკმაოდ ცოტანი დარჩნენ.

24 საათი

ორი სიტყვით

ერაყი. ფრანგი ჟურნალისტების გამტაცებლებმა ახალი მოთხოვნები წამოაყენეს. ერთ-ერთ ინტერნეტ-გვერდზე "ერაყის ისლამური არმიის" სახელით გამოქვეყნებულ განცხადებაში საფრანგეთის ხელისუფლებისაგან სამი მოთხოვნის შესრულებას ითხოვდნენ: უსამა ბინ ლადენის მიერ შეთავაზებული დაზავების წინადადების მიღებას, 5 მლნ დოლარის გამოსასყიდის გადახდას და ერაყის ახალ მთავრობასთან ყოველგვარი სამხედრო და ეკონომიკური ურთიერთობების შეწყვეტას. კრისტიან შენო და ჟორჟ მალბრიუნო 20 აგვისტოდან მძევლად იმყოფებიან. თავდაპირველად "ერაყის ისლამის არმია" საფრანგეთის ხელისუფლებისგან სკოლებში რელიგიური სიმბოლიკის აკრძალვის შესახებ მიღებული კანონის გაუქმებას ითხოვდა. დოკუმენტში აღნიშნული დაზავების წინადადება "ალ-ქაიდას" ლიდერის მიერ აპრილში გაჟღერებულ იდეას იმეორებს, სადაც ბინ ლადენი "მშვიდობიან გარიგებას" სთავაზობს ევროპული სახელმწიფოებისგან "მუსლიმთა დევნის შეწყვეტის სანაცვლოდ". ჯერჯერობით დადგენილი არ არის, რამდენად შეესაბამება ეს ინფორმაცია სიმართლეს. **ნიუს.რუ**

■ ■ ■

ერაყი. ერაყის პრეზიდენტმა ღაზი ალ-იავარმა ცოლად თავისი მთავრობის წევრი ნასრინ ბარვარი შეირთო. ამის შესახებ თანამგზავრული ტელეარხის "ალ-არაბიას" ინტერნეტ-საიტი იუწყება. ქალბატონ ბარვარის ერაყის დროებით მთავრობაში საზოგადოებრივი სამუშაოების მინისტრის პოსტი უკავია. სულ ერაყის მთავრობაში ამ ქვეყნის და ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში პირველად, ერთბაშად ხუთი ქალი შედის. ნასრინ ბარვარი ალ-იავარის მესამე ცოლი გახდა. ქორწინება ქალაქ არბილში, ოჯახურ წრეში აღნიშნეს. ბარვარი არბილში 1970 წელს ქურთულ ოჯახში დაიბადა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

აშშ. გუშინ ნიუ-იორკში კოლუმბიის უნივერსიტეტის კარდიოლოგიური ცენტრის ექიმებმა აშშ-ს ყოფილ პრეზიდენტ ბილ კლინტონს გულის აორტოკორონალური შუნტირების ოპერაცია ჩაუტარეს. ჰილარი როდჰემ-კლინტონის თქმით, ოპერაციამ კარგად ჩაირა და მისი მეუღლე თავს ნორმალურად გრძნობს. **რია-ნოვოსტი**

■ ■ ■

პოლონეთი. პოლონეთის პრეზიდენტმა ალექსანდრე კვასნევსკიმ უცხო ქვეყნების მოქალაქეთა მიმართ აშშ-ს პოლიტიკა გააკრიტიკა. გაზეთ "ნიუ-იორკ თაიმს"-ისთვის მიცემულ ინტერვიუში პოლონეთის ლიდერმა აღნიშნა, რომ აშშ-ის სავიზო პოლიტიკა "უფრო ღია, უფრო რბილი და უფრო თავშეკავებული" უნდა იყოს. გარდა ამისა, პოლონეთის ლიდერმა ურჩია აშშ-ს ადმინისტრაციას, თავის პოლიტიკას საფუძვლად არ დაუდოს "იზოლაციონიზმის და მთელს მსოფლიოში დომინირების" პრინციპები. "ეს მცდარი პოსტულატებია," - აღნიშნავს კვასნევსკი. ერაყში მიმდინარე საომარ მოქმედებებში პოლონეთის მონაწილეობაზე საუბრისას მან აღნიშნა, რომ ამ ქვეყანაში პოლონელი სამხედრო მოსამსახურეების გაგზავნის გადაწყვეტილება "ერთ-ერთი ყველაზე მძიმე გადაწყვეტილება იყო მის სიცოცხლეში". "თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ ეს სწორი ნაბიჯი იყო," - განაცხადა პოლონეთის პრეზიდენტმა. შეგახსენებთ, ერაყში დისლოცირებული პოლონური კონტინგენტი 2,5 ათას სამხედრო მოსამსახურეს ითვლის. **ინტერ-პრესი**

ბესლანის ტრაგედია

პირველი გვერდიდან

უდანაშაულო ბავშვების დაუნანებლად გაწირვის გამო მოურიდებელი იყო ჰოლანდიელი დიპლომატის მოთხოვნაც. ნიდერლანდების საგარეო საქმეთა მინისტრის ბენ ბოტის მიერ ევროკავშირის სახელით გაკეთებულმა განცხადებამ - "რუსეთის ხელისუფლებას ახსნა მოუწევს, თუ როგორ დაუშვა ასეთი ტრაგედია" - რუსეთის უდავო გაღიზიანება გამოიწვია. როგორც გავლენიანი ბრიტანული გაზეთი "The Financial Times" იუწყება, მას შემდეგ, რაც რუსეთმა ბრალი დასდო ბატონ ბოტს "უადგილო", "აღმაშფოთებელ" და "შეურაცხმყოფელ" განცხადებაში, მდგომარეობის გამოსწორებას ნიდერლანდების საგარეო უწყების მეთაური ყოველნაირად შეეცადა. "ჩემი სიტყვები არასწორად იქნა გაგებული," - განაცხადა მაასტრიხტში ევროკავშირის წევრი-ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის ბოლოს გამართულ პრესკონფერენციაზე ბენ ბოტმა.

ევროპელ დიპლომატებს კარგად ესმით შესაძლო განაწყენების მასშტაბები, რომელიც ამგვარმა შენიშვნებმა შეიძლება გამოიწვიოს. მით უფრო, რომ რუსეთს გამძაფრებული აქვს ნაციონალური გრძნობები. მაასტრიხტის შეხვედრაზე საგარეო საქმეთა მინისტრების უმრავლესობამ თავი შეიკავა მძევალთა გათავისუფლების რუსული მეთოდის კრიტიკისაგან. ირლანდიის საგარეო უწყების ხელმძღვანელის ბრაიან კოუენის განცხადებით, "უკიდურესად ნაადრევი და სავსებით არასწორი იქნებოდა შექმნილ მდგომარეობაში სპეცსამსახურების მოქმედების გაკრიტიკება". ბედის ირონიით, კრიტიკა მეტად არახელსაყრელ დროს დაემთხვა, კერძოდ, როცა გაცივებულია რუსეთისა და მისი დასავლელი პარტნიორების ურთიერთობები; დიდი ბრიტანეთი უარს აცხადებს აჰმედ ზაკაევის რუსეთის ხელისუფლებისთვის გადაცემაზე, რაც მოსკოვის უკმაყოფილების მიზეზი ხდება; წინა კვირას გემბანიდან იაპონიის პრემიერ-მინისტრის ძიუნიშირო კოიძუმის დაკვირვება სამხრეთ კურილიის ოთხ რუსულ კუნძულზე კიდევ უფრო აღრმავებს რუსეთ-იაპონიის ურთიერთობებში გაჩენილ ბზარს; დაბოლოს, არც აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი ინდობს რუსეთს და მკაცრად აკრიტიკებს მას ჩეჩნეთში საპრეზიდენტო არჩევნების გამო.

რაც შეეხება თავად პუტინის მიერ უსაფრთხოების რეფორმაზე გაკეთებულ აქცენტს, "The Financial Times" მიიჩნევს, რომ რუსეთის პრეზიდენტის მიერ ცოტა გადაჭარბებულია უსაფრთხოების ძალებისადმი ესოდენ დიდი რწმენა, რომელიც ბატონ პრეზიდენტს ტერორიზმთან ბრძოლის საუკეთესო საშუალებად მიაჩნია. თვით დიდი რესურსების მფლობელ აშშ-ს არ ძალუძს მოქალაქეების დაცვა მხოლოდ უსაფრთხოების სამსახურებზე დაყრდნობით. მსგავსად ახლო აღმოსავლეთისა, ტერორიზმთან ბრძოლა რუსეთშიც კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს, რაც შედეგების ანალიზთან ერთად, მიზეზების გარკვევასაც ითვალისწინებს. ვლადიმირ პუტინმა უნდა აღიაროს, რომ ჩეჩნეთში მისმა ხისტმა პოლიტიკამ ტერორისაკენ ახალგაზრდა სეპარატისტების წახალისებას დიდად შეუწყო ხელი. ამდენი დაღვრილი სისხლის მერე, ცხადია, ძნელია სეპარატისტებთან დიალოგის გამართვა, მაგრამ ეს ერთადერთი გამოსავალია შექმნილ ვითარებაში. რუსულ ოფიციოზს უყვარს ჩეჩენი ბოევიკების ახლო აღმოსავლურ დაჯგუფებებთან, მათ შორის "ალ ქაიდასთან", კავშირების გადაჭარბებით შეფასება. სურათის ამგვარად წარმოჩენა პუტინს აძლევს იმის საშუალებას, რომ ჩეჩნების წინააღმდეგ წარმოებული ომი ტერორიზმთან გლობალურ ომად გაასაღოს. მაგრამ ეს ძლიერ სახიფათო თამაშია. "ძალა ტერორიზმის წინააღმდეგ სახელმწიფოს აუცილებელი იარაღია, მაგრამ ეს იარაღი იშვიათად არის ეფექტური," - ასკვნის "The Financial Times".

ამერიკული გაზეთი "The Wall Street Journal" სტატიაში სათაურით "ტერორიზმი რუსეთში" აცხადებს, რომ ბესლანი ათვლის ახალ წერტილად იქცა. არავითარი მიზეზით, არავითარი წყენით არ შეიძლება გამართლებული იყოს ბესლანის ტრაგედია. თუმცა, ეს არ იყო პირველი და უკანასკნელი მსხვერპლი რუსეთში, მას წინ უძღოდა მოსკოვის მეტროს ერთ-ერთ სადგურთან თვითმკვლელი-ტერორისტების მიზეზით 9 ადამიანის დაღუპვა და ორი სამგზავრო თვითმფრინავის აფეთქება, რომლებზედაც პასუხისმგებლობა ჩეჩნეთში მოქმედმა და "ალ ქაიდასთან" დაკავშირებულმა დაჯგუფებამ "ისლამბულის ბრიგადებმა" აიღო. შეუძლებელია, ჩეჩნეთთან მიმართებაში პუტინს ლოიალურ დამოკიდებულებაში დასდო ბრალი. პრობლემა პუტინის რბილ ან ხისტ დამოკიდებულებაში კი არ არის, მიზეზი როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ არაეფექტურობაშია საძიებელი, - მიიჩნევს სტატიის ავტორი. ჩეჩნეთი, მთელი რუსეთის თვალწინ, "კონტრაბანდული სამოთხიდან" ტერორისტთა თავშესაფრად იქცა. ბესლანის ტრაგედია კი პუტინს თავისი მცდარი მიდგომის გადახედვის შანსს აძლევს.

ბრიტანული "The Financial Times"-ის მსგავსად, ამერიკული "The Wall Street Journal"-იც აღნიშნავს, რომ პუტინს მოსწონს ამერიკისთვის თავის შედარება, რომელიც ტერორიზმის წინააღმდეგ გლობალურ ომს ეწევა. პუტინის ამგვარი ქცევა ნაწილობრივ ამართლებს მის უხეშ, არაეფექტურ პოლიტიკას ჩეჩნეთში, მაგრამ ეს მაინც არ ცვლის საგანგაშო რეალობას, კერძოდ, იმას, რომ ჩეჩნეთი ისლამური ტერორიზმის "ექსპორტიორ" ქვეყნად იქცა. რა თქმა უნდა, არავის სურს ევროპაში გაჩნდეს თალიბების რეჟიმის დროინდელი ავღანეთის მსგავსი სახელმწიფო. ბესლანის ანალოგიური ტრაგედიის თავიდან აცილებისთვის, ჩეჩნებთან მიმართებაში მოსკოვს გაუმჯობესებულ დაზვერვაზე დაყრდნობით უფრო მოქნილი სამხედრო სტრატეგიის შემუშავება მართებს. ჩეჩნეთში მცდარი რუსული პოლიტიკა არავითარ შემთხვევაში არ გამოდგება ტერორიზმის გამართლებად, ისევე როგორც უკანასკნელი 10 დღის ტერორისტული აქტების ტალღა ვერ

გაამართლებს რესპუბლიკაში რუსეთის სისასტიკეს. და ბოლოს, ამერიკული პრესა იმედს იტოვებს, რომ პუტინი შეცვლის თავის კურსს, რაც არასტაბილურ რეგიონს შვიდობიან და უსაფრთხო პარტნიორად გარდაქმნის.

როგორც კიდევ ერთი ამერიკული გაზეთი "Time" წერს, ტერორიზმთან ბრძოლაში ვლადიმირ პუტინმა უდავო მარცხი განიცადა, რაც გაკვეთილად აშშ-საც უნდა გამოადგეს. რუსი ექსპერტები ტერაქტების უკანასკნელ ტალღას კონფლიქტის ხასიათის ხარისხობრივ ცვლილებად აფასებენ. პუტინის ხისტმა პოლიტიკამ ვერ აღმოფხვრა ნაციონალისტური ამბოხი ამ მუსლიმურ და დამოუკიდებლობის მოსურნე ტერიტორიაზე. პირიქით, ბოევიკებმა საბრძოლო ტაქტიკა შეცვალეს. ექსპერტები ასევე არანაკლებ მნიშვნელოვნად ეკონომიკურ ფაქტორსაც მიიჩნევენ. ეკონომიკურად შეჭირვებულ რეგიონში ნაღდი ანგარიშსწორება თანაბრად ხიბლავთ დაბალანაზღაურებად რუს სამხედრო მოსამსახურეებსა თუ ბოევიკებს. ჩრდილოეთ კავკასიაში დატრიალებული ტრაგედია პუტინმა თავის გამოსვლაში მთლიანად რუსეთზე თავდასხმად მონათლა და პასუხისმგებლობაც "საერთაშორისო ტერორიზმს" დააკისრა, ანუ "ალ ქაიდას". რუსეთის პრეზიდენტს არ სურს, აღიაროს, რომ ქვეყანა იმ ნაყოფს იმკის, რაც მან ხელისუფლებაში ყოფნის ხუთი წლის განმავლობაში ჩეჩნეთში დათესა. "საერთაშორისო ტერორიზმის" მოშველიებით პუტინს დასავლეთის პოლიტიკური მხარდაჭერის მოპოვება სურს. როგორც ჩანს, საფრანგეთისა და გერმანიის მხრიდან მან ასეთი მხარდაჭერა უკვე მიიღო, როცა ამ ქვეყნების ლიდერებმა სოლიდარობა და მხარდაჭერა გამოუცხადეს რუს კოლეგას.

პუტინი ხალხმა ტყუილსა თუ უსუსურობაში დაიჭირა. მან თავისი პოლიტიკური კარიერა სასწორზე დადო, როცა ჩეჩნური სეპარატისტული მოძრაობის ლიკვიდაცია აღუთქვა რუსეთის მოსახლეობას. თუმცა, როგორც რეალობა ცხადყოფს, რუსეთის პრეზიდენტმა პირობის შესრულება ვერ შეძლო. ნაციონალისტებთან პოლიტიკური დიალოგის გამორიცხვა პუტინს სამოქმედოდ ერთადერთ გზას უტოვებს, ეს გზა კი მხოლოდ სამხედრო გამარჯვებაა. გამარჯვება კი რუსეთის პრეზიდენტს ხელიდან უსხლტება.

ბრიტანული გაზეთის "Times"-ის სამხედრო ექსპერტის მაიკლ ევანსის შეფასებით, "ბესლანის სკოლაში მძევლების გათავისუფლების ოპერაცია თავიდანვე განწირული იყო მარცხისათვის. მოსკოვმა, როგორც ჩანს, სათანადოდ ვერ შეაფასა ტერორისტების მუქარა და სისასტიკე". გარდა ამისა, სპეცსამსახურების მოქმედებებში არ შეიმჩნეოდა არც კოორდინაცია და არც კარგად ორგანიზებული სამედიცინო დახმარება.

"Guardian"-ის თანახმად, ბესლანში განხორციელებული მასობრივი მკვლელობების ახსნა სამი მიზეზით შეიძლება. პირველი, დაუცველ მშვიდობიან მოსახლეობაზე თავდასხმა გაცილებით იოლია, ვიდრე სამხედრო ობიექტებსა თუ სახელმწიფო მოღვაწეებზე. მეორე, მუსლიმები თავისი მენტალიტეტით ძლიერ განსხვავდებიან სხვა ტერორისტებისაგან, მაგალითად, ირლანდიის რესპუბლიკური არმიის წევრებისაგან. დაბოლოს, გაუგონარი სისასტიკე საყოველთაო ყურადღებას იწვევს. "გვინდა თუ არა, ეს ომი, შესაძლოა, ჩეჩნურ საქმეს წაადგეს კიდეც... საფასური - სისხლიანი და მატერიალური - ჩეჩნეთის შენარჩუნებისა მაღალია და მზარდი. როგორც ჩანს, რუსეთის მოქალაქეები ისეთივე სიბრაზეს გრძნობენ საკუთარი ხელისუფლებისდმი, როგორსაც ტერორისტების მიმართ," - აცხადებს "Guardian"-ი. გარდა ამისა, რუსეთის ხელისუფლებას ესაჭიროება განტევების ვაცის მონახვა, რომელზედაც მთელ ყურადღებას გადაიტანდა. ასეთ შემთხვევაში კი, სავარაუდოდ, ყველაზე მეტად ისევ ჩეჩენი ხალხი დაზარალდება. "ოსეთში განვითარებული მოვლენები არავითარ ახსნას არ ექვემდებარება, მაგრამ ეს ჩეჩნურ ომში პუტინის გამარჯვების შანსებს არანაირად არ ზრდის."

საქრებულოს პროტესტის უკიდურესი ფორმა

თბილისის საკრებულომ რუსეთის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ქართველი ჟურნალისტების დაკავებასთან დაკავშირებით გაავრცელა სპეციალური განცხადება, რომელშიც გამოთქვამს შეშფოთებას მომხდარის გამო.

"თუ განაჩენი არ გაითვალისწინებს ჟურნალისტების დაუყოვნებლივ გათავისუფლებას, თბილისის საკრებულო იტოვებს უფლებას, მიმართოს პროტესტის უკიდურეს ზომებს", - ნათქვამია განცხადებაში. განცხადებას ხელს აწერენ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილი, ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობა - ერთიანი ფრონტის" წევრები, მემარჯვენე ოპოზიცია - მრეწველები, "ახლები", ფრაქცია "გაერთიანებული კონსერვატორები".

მედია ნიუსი

Save the Children
USA

კომპოზიტორთა კონკურსი

ბავშვთა ტოლერანტობის საგანმანათლებლო პროექტი

"Save the Children" (ფედერაცია - გადავარჩინოთ ბავშვები) აცხადებს კომპოზიტორთა კონკურსს მუსიკალური ქუდის შესაქმნელად. მუსიკალური ქუდი შეიქმნება ბავშვთა სატელევიზიო თოჯინური დადგმებისათვის, რომლებიც გათვალისწინებულია 6-9 წლის ბავშვებისათვის. პროექტის რეგიონალური ბუნებიდან გამომდინარე, შერჩეული მუსიკალური ქუდი გამოყენებული იქნება სატელევიზიო დადგმებში საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ მუსიკალური ქუდის ნიმუში, 1 წუთის ხანგრძლივობის, ფორტეპიანოთი შესრულებული. მუსიკალური ქუდის ნიმუშის შეფასების ძირითადი კრიტერიუმებია მელოდიურობა, ჰარმონიულობა და რიტმი, რომელიც უნდა იყოს მიმზიდველი 6-9 წლის ასაკის ბავშვებისათვის. კონკურსში გამარჯვებულისათვის გათვალისწინებულია ჰონორარი. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში კომპოზიტორს მოეთხოვება წარდგენილი მელოდიის დასრულებულ კომპოზიციად, მუსიკალურ ქუდად შექმნა. შერჩეული მელოდია გამოყენებული იქნება სატელევიზიო თოჯინურ დადგმებში და გახდება Save the Children-ის საკუთრება.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ წარმოადგინონ მელოდიის ნიმუშები აუდიოკასეტაზე ან კომპაქტ დისკზე. მიუთითეთ ავტორის სახელი და გვარი, საკონტაქტო ნომრები და ის მთავარი ინსტრუმენტი, რომელზეც სრულდება მელოდია.

ნიმუშების წარდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 15 სექტემბერი.

მის: "Save the Children", თბილისი, ბარათაშვილის ქ. 8, III სართ.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ ბავშვთა ტოლერანტობის საგანმანათლებლო პროექტის კოორდინატორს მარინა Uუშვერიძეს, სატელეფონო ზარები მიიღება ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, 15სთ-იდან 17სთ-მდე,

ტელ: 99 64 00; 99 54 54; 93 11 08; 99 65 48.
ელ-ფოსტა: marina@save.org.ge

"Save the Children" ახორციელებს ბავშვთა ტოლერანტობის საგანმანათლებლო პროექტს საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. პროექტის მიზანია ტოლერანტობის, ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთთანადგომის განვითარება.

ალდაგი

სიახლე „ალდაგისგან"

მათ, ვინც საზღვარგარეთ გამგზავრებას
და დაუვიწყარი ზაფხულის გატარებას აპირებს,
სადაზღვევო კომპანია „ალდაგი"
სთავაზობს ახალ მომსახურებას.
ახლა უკვე შეგიძლიათ „ალდაგის"
სამოგზაურო დაზღვევის პოლისით
ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევის გარდა,
თქვენი ბარგიც დააზღვიოთ
და დაივიწყოთ
ყოველგვარი უსიამოვნება

დაინტერესდით, დარეკეთ:
929

ალდაგი
დაზღვევა გონიერი ადამიანებისთვის!

მალე ოქტომბერიც მოვა

"მშობიარე ქალს სასწრაფო მკურნალობა ესაჭიროებოდა და მისი გადაყვანა აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების დახმარებით მოხერხდა"

კოდორის ხეობაში 23 სოფელი და 3000-ზე მეტი მოსახლეა, აქედან 700 ადამიანი აფხაზეთიდანაა ლტოლვილი. მოსახლეობა ზამთრის დადგომისთანავე, თითქმის, ცხრა თვის განმავლობაში სრულიად წყდება გარე სამყაროს. ამ პრობლემის გადაჭრა პრეზიდენტის ფონდიდან გამოყოფილი თანხებით ხდებოდა. დღეს კი ხეობა უპატრონოდ არის მიტოვებული.

ვერტმფრენი - კოდორელთა მუდმივი მოლოდინი.

ზაზა ფაჩუკაშვილის ფოტო

ნინო ბერელიძე

კოდორის ხეობის გამგებელი რევაზ კორძაია: "კოდორის ხეობის მოსახლეობა უაღრესად გაჭირვებულ მდგომარეობაშია. მოშლილია ინფრასტრუქტურა და არ არსებობს არანაირი სავაჭრო ობიექტი. ადრე, მთლიანად დამოკიდებული იყო პრეზიდენტის ჰუმანიტარულ დახმარებაზე. ყოველ წელიწადს 550 ათასი ლარი გამოიყოფოდა სურსათის შესაძენად, რაც სამყოფია ზამთრის გადასატანად. დღეს კი სავარაუდოდ, 250 ათასი უნდა გამოყოს ხელისუფლებამ, მაგრამ, ჯერჯერობით, ესეც არა ჩანს. ოქტომბრის შუა რიცხვებიდან ხეობა მთლიანად ბლოკირებულია, რადგან არ გაგვაჩნია მისასვლელი გზები. გვაქვს რამდენიმე შვეულმფრენი, მაგრამ უამინდობის დროს გამოუსადეგარი ხდება. ახლავე თუ არ მიიღო ზომები პირადად პრეზიდენტმა მერე აღარაფერი გვეშველება და ხეობა მოსახლეობისაგან დაიცლება. სამუდამოდ დაიკარგება სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტი. იმედი გვქონდა ახალი პრეზიდენტის, მან კი სიტყვაც არ გვაღირსა. წინა ხელისუფლება ხშირად ჩამოდიოდა და მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა კოდორის მოსახლეობასთან. ჩვენს მდგომარეობას კარგად ხედავენ აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლები და კონტაქტის დამყარებას აქტიურად ცდილობენ."

კოდორის მოსახლეობას ბევრი გადაუჭრელი პრობლემა დაუგროვდა. ცდილობენ, პასუხი მიიღონ უამრავ კითხვაზე, თუ რატომ არავის აინტერესებს მათი მდგომარეობა, რატომაა, რომ ყველა გაზრდილ ბიუჯეტზე საუბრობს, ისინი კი ულუკმაპუროდ რჩებიან. კოდორის ხეობის პრეზიდენტის რწმუნებულის საინფორმაციო სამსახურის უფროსი ლელა ჭელიძე: "ხელისუფლება ყურადღებას არ გვაქცევს. ჩვენთვის მათი არსებობის კვალიც არ იგრძნობა, არათუ ზრუნვა. ხეობაში ათი სამედიცინო პუნქტი და ერთი საავადმყოფოა, რომელსაც სათანადო აპარატურა აკლია. პირველად დახმარებას ადგილზე ვუწევთ პაციენტს, მაგრამ გართულების შემთხვევაში ტრანსპორტირება გვიჭირს. იყო ასეთი შემთხვევა, როდესაც მშობიარე ქალს სასწრაფო მკურნალობა ესაჭიროებოდა და მისი გადაყვანა აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების დახმარებით მოხერხდა, მაგრამ ტყუპი ბავშვები მაინც დაიღუპნენ. პრობლემებია განათლების სფეროშიც. სამი საშუალო სკოლიდან მხოლოდ ერთია შედარებით ვარგისი. თუ სასწრაფოდ რაიმე არ იღონა ხელისუფლებამ, ხალხი მეტს ვეღარ აიტანს და საავალო შედეგებამდე მივალთ. კიდევ ვიტოვებთ იმედს, რომ პრეზიდენტ საკაშვილს არ დაავიწყდება კოდორი და დააფასებს იმ გმირობას, რასაც საქართველოს ტერიტორიის შენარჩუნება ჰქვია."

ინფორმაცია ბურახისა და თევზის მოყვარულთათვის

ნანა ქადაგიძვილი

ქალაქის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციაში წინა უფროსის დავით მესხიშვილის მიერ დაწყებულ რეორგანიზაციას ახალი უფროსი, კახა ნაჭყებია ამ კვირის ბოლოს დაასრულებს. ნაჭყებია სამსახურის უფროსად ორი კვირის წინათ დაინიშნა. თუმცა, თითქმის ერთი თვით უფროსის გარეშე დარჩენილ ინსპექციას საქმიანობა არ შეუწყვეტია. ახალი უფროსის ხელში კი სამსახურის თანამშრომლებმა ორი მნიშვნელოვანი რეიდი ჩაატარეს. ამ რეიდის შედეგები, განსაკუთრებით, ბურახისა და თევზის მოყვარული მოქალაქეებისთვის აღმოჩნდა საყურადღებო. როგორც "24 საათი" წერდა, ორი კვირის წინათ, რესპუბლიკის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციამ თბილისში ბურახით მოვაჭრე ყველა წერტილი და რუსთავში ამ სასმელის მწარმოებელი შპს "ჩიკო" დახურა. მალფუჭებადი პროდუქტით მოვაჭრე ობიექტების შემოწმებისას ინსპექციის თანამშრომლებმა შემთხვევით ბურახიც შეამოწმეს და ჯანმრთელობისთვის არასასურველი ჩხირები აღმოაჩინეს. ბურახით მოვაჭრე წვრილ-წვრილი წერტილების მეშვეობით კი ინსპექციამ სასმელის მსხვილ წყაროსაც მიაგნო და დახურა კიდეც, რადგან როგორც ინსპექციის ხელმძღვანელი დავით მესხიშვილი აცხადებს, რუსთავში მდებარე ბურახის ჩამოსასხმელი საწარმო "ჩიკო" სათანადო სანიტარულ ნორმებს ვერ აკმაყოფილებდა. თუმცა, ბურახის მუდმივი მუშტრისა და მოვაჭრეების გასახარად, თბილისში მოქმედი საწარმო "ლაღი" სრულ მზადყოფნაში აღმოჩნდა. **"ეს საწარმო ყველა საჭირო ნორმას აკმაყოფილებს. სავაჭრო წერტილებში კასრებიც გაიწმინდა. ასე რომ, თბილისში ბურახის ყიდვა საშიში აღარ არის,"** - აცხადებენ ქალაქის სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურში.

რაც შეეხება თევზს, მის მოყვარულებს სიფრთხილე არ აწყენდათ. გასულ კვირას სანიტარიულმა და ვეტერინარულმა სამსახურებმა მეტრო "სამგორის" ამოსასვლელთან მოვაჭრეს 282 ცალი კუსტარულად დამზადებული თევზი ჩამოართვეს, რომელსაც თავმოყვარე ადამიანი არათუ იყიდდა, არ გაყიდდა. თევზებს მძაფრი სუნი ასდიოდა და ლორწოვანი იყოო, გვითხრეს სანიტარიული სამსახურის თანამშრომლებმა.

სხვათა შორის, დიდი ხანია, ამ ადგილას საკვებით გარე მოვაჭრეები აღარ გამოჩენილან. შესაბამისი სამსახურები სიტუაციას რამდენიმე თვის განმავლობაში აკონტროლებდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, პრობლემა ისევ განახლდა.

რეგიონი

"რუსეთია მთავარი!"

სოფელ მიტარბის ქვედა უბანში ჩასულ ჟურნალისტებს იასამნისფერ-ყვითელ ფერებში შეღებილი სამი სახლი გვეგულებოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ის სახლები ვლადიკავკაზიდან ჩამოსულებისა იყო. სოფლის ღელეზე მშვიდობიანად გადავედით და ცოტა ხანში მშვენიერ ორსართულიან სახლს მივადექით. დაძახებაზე მასპინძელი უმალ გამოგვეხმაურა. გავეცანით და ჩვენი მოულოდნელი სტუმრობით ოდნავ შემცბარი, საუბარზეც დავითანხმეთ. ლილი ფილიევამ იქვე, ეზოში აშენებულ ფიცრულში მიგვიპატიჟა და თავისი თავგადასავალიც გვიამბო.

მარცხნიდან: ნორა, ლილი, ელზა და მანია.

თინა მოსიაგვილის ფოტო

ლელა მარგიანი

"ეს ხმაურობა სულ არ გვინდოდა, არ გვეგონა, თუ ასეთი ამბავი მოჰყვებოდა ჩვენს აქ ჩამოსვლას", - გვითხრა გაღიზიანებულმა მასპინძელმა.

ქალბატონი ლილი ფილიევი საქართველოში ორ ქალიშვილთან ერთად ჩამოვიდა, გოგონები ამჟამად 13 და 14 წლისანი არიან. იმ ავადსახსენებელ 91 წელს კი სულ პატარები იყვნენ. მას მცირეწლოვან ბავშვებთან ერთად მოუწია მშობლიური სოფლის დატოვება. წვალებით ძლივს ჩაუღწევიათ ვლადიკავკაზამდე, გზაში ბავშვები ავად გამხდარან და ჩრდილოეთ ოსეთში გადასვლისთანავე, საავადმყოფოში მოხვედრილან. მერე სანატორიუმში გადაუყვანიათ. **"მთელმა მსოფლიომ მოგვხედა. ზოგს მიწა მისცეს, ზოგს-ფული და დაასახლეს იქ",** - იგონებს ფილიევა.

ქალბატონი ლილი ამდენი წლის მერეც განცდების გარეშე ვერ იგონებს წარსულს. მომხდარში ქართველ ხალხს არ ადანაშაულებს: **"საუკუნეებით განმტკიცებული მეგობრობა გვქონდა ოსებსა და ქართველებს! აქ, სხვის მიწაზე, ჩვენი ენა შევინარჩუნეთ, ვლადიკავკაზელმა ოსებმა კი ოსური არც კი იციან! რძალი მყავს ვლადიკავკაზელი ოსი და საერთოდ ვერ ლაპარაკობს ოსურად. ქართველი ხალხი არაფერ შუაშია, ყველაფერი ბანდიტების ბრალია! ბანდიტების ხელში იყო მთავრობა. ბანდიტს კი არ აინტერესებს, შენ ქართველი ხარ, თუ - ოსი. არავითარი საქმე არ გვქონდა უდანაშაულო ქართველებთან. ვლადიკავკაზში ახლაც 20 ათასამდე ქართველი ცხოვრობს, მაგრამ მათთვის არავის ხმა არ გაუცია! არავის არ უფიქრია, ამათზე ჯავრი ვიყაროთო. ქართული სკოლაც არის ვლადიკავკაზში. რუსებია მთავარი! ოსებსაც "უნთებენ" და ქართველებსაც! ჩვენ არავის საქმეში არ ვერევითო და სინამდვილეში რას აკეთებენ?! ამბობენ, კაზაკები გვეომებიანო, ცხინვალში".**

ასეთი განცხადებების მიუხედავად, მაინც ქართველ ნათესაობაზე სწყდება გული, რომ ვერავინ შეძლო მათი დაცვა: **"ბაკურიანში იყვნენ ქართველი ნათესავები, ჩემი მეუღლეც ქართველია, გვარად ცერცვაძე, მაგრამ ისინიც კი არ გამოგვსარჩლებიან, რადგან ეშინოდათ".**

რაც შეეხება მომავალს, ჯერ ვერ გადაუწყვეტია, დარჩება თუ არა თავისი გოგონებით მიტარბში. **"ჩვენ არ ვიცით, დავრჩებით თუ არა აქ. უკვე ძალიან ძნელია იქაურობის მიტოვება. ჯერ გაბრუებულებივითა ვართ. როცა ჩამოვედით, მეზობლები ძალიან კარგად დაგვხვდნენ, სუფრაც გაგვიშალეს. მთელი სოფელი იყო მოგროვებული. მთავრობამაც ჩვენი სახლები გარემონტებული დაგვახვედრა, რომ იტყვიან, ნემსი და ძაფიც კი დაგვახვედრეს. რა თქმა უნდა, ამით ძალიან კმაყოფილები ვართ, მაგრამ იქ, ქალაქში ცხოვრებასაც მივეჩვიეთ, თან გოგონები სკოლაში დადიან. აქ კი აღარც სკოლაა, აღარც მაღაზია, არც სამუშაო. მიტოვებული და გამოყრუებულია აქაურობა. როგორ უნდა ვიცხოვროთ?! არავინ არ არის სოფელში! ამიტომ ვერ დავრჩებით, თორემ რა მნიშვნელობა აქვს, სად ვიცხოვრებთ, გინდა რუსეთი იყოს, გინდა - საქართველო! სადაც კარგი პირობები იქნება, იქ ვიცხოვრებთ!".**

ვლადიკავკაზელების განწყობაც არ დაუმალავს. თურმე, იქაურებსაც კარგად ესმით, ხალხი რომ არაფერ შუაშია და რომ ახალი მთავრობა ცდილობს, ოსების უკან დაბრუნებას, მაგრამ ამ მთავრობის მერე ისევ ვინმეს რომ მოუნდეს ჩვენი გაყრა, მერე რა ვქნათო?! მიწა ქართველებისაა, ჩვენ რა უფლება გვაქვსო, მაგრამ 50 წლის შემდეგ იგივე რომ განმეორდეს, ჩვენ შვილიშვილებს ამ საფრთხეში ისევ ვერ ჩავაგდებთო, - ასე ფიქრობს, თურმე, ჩრდილოეთში გადასულ ოსთა უმეტესობა.

კონფლიქტთან თავისი დამოკიდებულება ქალბატონმა ლილიმ კი მშვენივრად გამოხატა სიტყვებში: **"მიწა საქართველოსია! აგერ ჩემი "ზაბორია". აბა, მეზობელმა ერთ ნაბიჯზე გადამიწიოს თავისკენ, რა გავუკეთო?!**

ჩვენი შემდეგი მიტარბელი მასპინძელი მანია დიაკვნიშვილი აღმოჩნდა.

მარტოხელა მოხუცი ასაკის მიუხედავად ყოჩაღად გამოიყურება.

"81 წლისა ვარ. მე დიაკონაშვილი ვარ, ქმარი მყავდა-ქუმარიტაშვილი, სამამულო ომის ინვალიდი. ათი წელია, რაც გარდაიცვალა. შვილი არ გვყოლია. დაძმები ბევრი მყავდა, ყველანი ბაკურიანში ცხოვრობდნენ. დედა-ჩემიც აქაური იყო, ბაბოჩემიც აქაური იყო, მამიდაშვილებიც. ზოგი ქართველია, ზოგი-ოსი, ზოგი-რუსი. სამი ძმა, ჩემზე უმცროსები, მომიკვდნენ, თავიანთი სიკვდილით. მტრის ხელით არავინ არ მომკვდარა," - გვითხრა მოხუცმა.

ჩვენს შეკითხვაზე, სხვების მსგავსად წავიდა თუ არა მაშინ საქართველოდან, მან გვითხრა, რომ ერთ-ერთმა დისშვილმა სულ ძალით წაიყვანა, თორემ თავად არაფრის ეშინოდა და არც სოფლის დატოვება უნდოდა.

"დისშვილმა "ბრმა მეჩონგურესავით" წამიყვანა რუსეთში და პატარა ბავშვივით სტავროპოლში ჩამიყვანა მეორე დისშვილთან. რამდენიმე თვე ძლივს გავძელი იქ. სულ ვიხვეწებოდი-წამიყვანეთ ჩემს სახლში, წამიყვანეთ-მეთქი! სად მიდიხარ, იქ აღარავინ აღარ არისო, მეუბნებოდნენ. მე მაინც არ ვეშვებოდი, ჩემს სახლში ყოფნა მინდოდა. სხვა რა გზა ჰქონდათ. ორჯონიკიძემდე იმ დისშვილმა ჩამომიყვანა, იქ ბაკურიანელი დისშვილი დაგვხვდა და 1992 წელს, წასვლიდან ერთ წელში, უკან დავბრუნდი. მას მერე აქ ვარ, ჩემს სახლში. წასვლისას, წაღებით ცოტა რაღაცები წავიღე, ტყუილს არ ვიტყვი. როცა ჩამოვედი, სახლი ცარიელი დამხვდა. ახლა რაც მაქვს, ნათესავებმა მამცეს. მაძლიეს და მაძლიეს. ზოგმა ქვაბი მამცა, ზოგმა-ადეალა, ზოგმა-ჭურჭელი," - გვიყვებოდა მანია ბებო.

მოხუცი მხოლოდ ერთს წუხს, რომ ძველებურად მუშაობა აღარ შეუძლია. ფეხზე "აპერაცია" ჰქონია გაკეთებული, ამიტომ სკამზე ასვლა ეშინია, ამბობს, ფანჯრები ვერ გამიწმენდია, ჩემი ფანჯრებიდან შუქი აღარ მოდის, ჭუჭყიანიაო, ჩამოვვარდები, არც მოვკვდები და არც გადავრჩებიო. უწინ თურმე კარტოფილსაც თესავდა, ძროხას ინახავდა. მე თვითონ სხვებსაც ვეხმარებოდი, ახლა უკვე დავბერდიო, შემოგვჩივლა...

მანია ბებოსთან ჩვენი მისვლისას სტუმრად იმყოფებოდა ვლადიკავკაზიდან 11 აგვისტოს ჩამოსული კიდევ ერთი პიროვნება - ქალბატონი ნორა. ცოტა ხანში ლილი ფილიევაც შემოგვიერთდა და საუბარი, რა თქმა უნდა, კვლავ მათ დარჩენას შეეხო.

ქალბატონი ნორაც დაახლოებით იმავეს ამბობდა, რაც ცოტა ადრე, ლილი ფილიევასგან მოვისმინეთ. რაც შეეხება მიტრაბში დარჩენას, მასაც ჯერ არა აქვს გადაწყვეტილი: **"ჩვენ ახალგაზრდობა ორჯონიკიძეში გავატარეთ. იქ შუქიც გვქონდა, წყალიც. უკვე თერთმეტი დღეა, აქა ვარ და ღამე შუქი რო ქრება, იცი, როგორ ვწუხდები?! ერთი სული მაქვს, აქედან გავიქცე. მაგრამ ვერ გავიქცევი, ამხელა სახლს ვერ დავტოვებ! რა თქმა უნდა, მოგვეწონა აქაურობა, როგორი პირობებიც შეგვიქმნეს. ყველაფერი საუკეთესო დაგვახვედრეს, სახლები გაგვირემონტეს, შეღებეს, ახალი სახურავებით გადახურეს, ოჯახისთვის საჭირო ყველა ნივთი დაგვახვედრეს. გზაც შეაკეთეს, დაგვპირდნენ, ასფალტს დავაგებთ, მარშრუტკასაც დაგინიშნავთო, სკოლაც გაიხსნებაო... ყველაფერი კარგია, მაგრამ მაინც ძალიან ძნელია იქაურობის მიტოვება. ჩვენ ჯერ არა ვრჩებით, ასე უცბად ვერ გადავწყვეტთ. წამოსვლისას სიტყვა მოგვცეს, რომ სანახავად წამოგვიყვანეს. რამდენიმე დღეში უკან დავბრუნდებით. იქ ხალხი გველოდება, ჩვენ რა პასუხს ჩავიტანთ აქედან, იმის მიხედვით გადაწყვეტენ, თანახმა იქნებიან თუ არა დაბრუნებაზე! იქა "დვარეცები" აქვთ ხალხს გაშენებული, კარგად ცხოვრობენ. 14 წელიწადი პატარა დრო არ არის. იქ ხალხი უკვე შეეჩვია".**

ასლან აბაშიძეს და მის სანათესაოს 100 მილიონ ლარად შეფასებული ქონება ჩამოერთვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის გიორგი პაპუაშვილის სარჩელი დაკმაყოფილებულია - რეგიონის უმაღლესმა სასამართლომ, სარჩელის რამდენიმედღიანი განხილვის ბოლოს, ავტონომიის ყოფილი მეთაურის, მისი ქალ-ვაჟისა და აბაშიძეების ნათესავებისთვის უკანონოდ შეძენილი და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსთვის გადაცემის გადაწყვეტილება მიიღო.

რამდენიმედღიანი სასამართლო პროცესი, როგორც თავიდანვე მოსალოდნელი იყო, ხალხმრავლობით გამოირჩეოდა. ასლან აბაშიძის ნათესავები ცალ-ცალკე ცდილობდნენ, მართლმსაჯულებისთვის დაემტკიცებინათ, რომ პროკურორის მიერ სასარჩელო განცხადებაში მითითებული ქონება მათ კანონიერად ჰქონდათ შეძენილი და რომ ამ ქონებას ავტონომიის ყოფილ მეთაურთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა.

ამის დამტკიცება მხოლოდ ასლან აბაშიძის ორმა ნათესავმა - ხათუნა კომახიძემ და ირაკლი აბაშიძემ შეძლო. აჭარის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, მათ ქონება შეუნარჩუნდათ.

რაც შეეხება ასლან აბაშიძის სხვა ნათესავებს, რომელთა სიაც საკმაოდ ვრცელი იყო, ისევე, როგორც ასლან, დიანა და გიორგი აბაშიძეებს, სასამართლოს გადაწყვეტილებით, ავტონომიის პროკურორის მიერ სარჩელში ჩამოთვლილი ქონება სრულად ჩამოერთვათ.

შეგახსენებთ, რომ პროცესზე 30 მოპასუხეს მოუწია საკუთარი პოზიციების დაცვა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის მიერ სასამართლოში შეტანილ სარჩელში 30-კაციანი სია იყო მითითებული, რომელთა ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემასაც ბრალდება ითხოვდა.

საქმე ეხება ასლან აბაშიძის, მისი ოჯახის წევრებისა და ნათესავების საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს, საცხოვრებელ სახლებს, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს, საბანკო ანგარიშებს, შენობა-ნაგებობებს, უამრავ არასაცხოვრებელ ფართს. ეს ყველაფერი კი 100 მილიონ ლარად შეფასდა.

"ამ ქონების კანონიერი გზით დაგროვება შეუძლებელი და წარმოუდგენელია, რადგან ავტონომიის ყოფილი მეთაურისა და მისი ნათესავების სახელფასო შემოსავლები მათი თანამდებობებზე მუშაობის პერიოდში 130 ათას ლარს არ აღემატებოდა," - ირწმუნებოდა რამდენიმედღიან სასამართლო პროცესზე პროკურორი.

მხარეების მიერ მტკიცებულებების წარმოდგენისა და ამ მტკიცებულებების განხილვის შედეგი კი სასამართლოს გადაწყვეტილებაა, რომლის მიხედვით, ზემოთ ჩამოთვლილი ქონება სახელმწიფო საკუთრებაში უნდა მოექცეს. აბაშიძეების ინტერესების დამცველი ადვოკატები შალვა შავგულიძე და სოსო ბარათაშვილი აჭარის უმაღლესი სასამართლოს გუშინდელი გადაწყვეტილების გასაჩივრებას უზენაეს სასამართლოში აპირებენ. მათი თქმით, პროკურატურამ, პრაქტიკულად, წაიკითხა საბრალდებო დასკვნა და ამასთან, არ წარმოადგინა კონკრეტული მტკიცებულებები. **პროცესზე სასამართლომ არ დაუშვა მოპასუხე მხარის მიერ მტკიცებულებების წარდგენა. "პროცესი ზერელედ წარიმართა. ის, რაც ამ სასამართლო პროცესზე მოხდა, სრული განუკითხაობაა,"** - ასეთ შეფასებას აძლევენ ადვოკატები გუშინ დამთავრებულ სასამართლო პროცესს. აჭარის უმაღლესი სასამართლოს მიმართ პრეტენზიები მათ პროცესის დაწყების დღესვე გამოთქვეს, როდესაც მოსამართლემ არ დააკმაყოფილა მათი შუამდგომლობა, საქმის მასალების დეტალურად გაცნობისა და საჭირო მტკიცებულებების მოპოვებისთვის პროცესი ერთი თვით გადადებულიყო.

"დაცვის მხარემ და მოპასუხეებმა ვერ შეძლეს წარმოედგინათ უტყუარი და დასაბუთებული მტკიცებულებები იმის თაობაზე, რომ ქონება, რომელიც სასამართლოს მსჯელობის საგანი იყო, მის მფლობელებს კანონიერად ჰქონდათ შეძენილი. ამდენად, ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემის გადაწყვეტილება კანონიერია," - აცხადებს პროკურორი ვლადიმერ ხუჭუა. თუმცა, აცხადებს, რომ სასამართლომ არც პროკურატურის მტკიცებულება გაიზიარა აბაშიძეების ნათესავების - ხათუნა კომახიძისა და ირაკლი აბაშიძის ქონებასთან დაკავშირებით და მათ ეს ქონება შეუნარჩუნა.

24 საათი

სტრასბურგის სასამართლომ დავით მირცხულავას პატიმრობასთან დაკავშირებით მეორე რეკომენდაცია გამოგზავნა

ვიდრე უზენაესი სასამართლო, შემდეგ კი ადამიანის უფლებათა დაცვის ევროსასამართლო სათბობ-ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის დავით მირცხულავას რამდენიმეტომიანი საქმის არსებით განხილვას დაიწყებს, სტრასბურგიდან საქართველოში სათბობ-ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის პატიმრობასთან დაკავშირებით, მეორე რეკომენდაცია მოდის.

ამ დღეებში იუსტიციის სამინისტრომ ევროსასამართლოდან გამოგზავნილი კიდევ ერთი მითითება მიიღო. **"საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ გადახედოს დავით მირცხულავას საქმეს და მისი საავადმყოფოში გადაყვანის საკითხი გადაწყვიტოს,"** - ასეთი გახლავთ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროსასამართლოს რეკომენდაცია, რომელიც ერთი თვის წინ გამოგზავნილი რეკომენდაციისგან არაფრით განსხვავდება. სტრასბურგის სასამართლო იუსტიციის სამინისტროს მისგან გაცემული რეკომენდაციის შესასრულებლად ვადას 27 სექტემბრამდე აძლევს.

პენიტენციალური სისტემის საავადმყოფოში მირცხულავას გადაყვანის შესახებ ევროსასამართლოდან გამოგზავნილი პირველი რეკომენდაცია არ შესრულებულა, რადგან იუსტიციის სამინისტროს შეფასებით, მირცხულავას ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი იყო და იგი ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მკურნალობას არ საჭიროებდა. ბიუჯეტისთვის 6 მლნ დოლარის ოდენობის ზარალის მიყენებაში ბრალდებული ყოფილი მინისტრი კვლავ მეშვიდე საპყრობილეში იმყოფება. ცოტა ხნის წინ მირცხულავას ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ დამატებითი ინფორმაცია დაკავებულის ადვოკატებმა ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში კიდევ ერთხელ გაგზავნეს. სწორედ ამის შემდეგ გამოიგზავნა სტრასბურგიდან მეორე მითითება.

ამ შემთხვევაში მაინც დაკმაყოფილდება თუ არა სტრასბურგიდან გაცემული მითითება, ჯერჯერობით უცნობია. როგორც იუსტიციის სამინისტროში განგვიცხადეს, ამჟამად ამ საკითხის შესწავლა მიმდინარეობს.

"რეკომენდაცია არ ნიშნავს იმას, რომ მისი შესრულება სავალდებულოა. საკითხს ჯერ შესწავლა სჭირდება და მისი შედეგების შესაბამისად გადაწყდება, მისაღები და უცილობლად შესასრულებელია თუ არა ეს რეკომენდაცია. სხვათა შორის, როდესაც ევროსასამართლომ პირველი რეკომენდაცია გამოგზავნა, იუსტიციის სამინისტრომ სტრასბურგის სასამართლოს შესთავაზა, საქართველოში ნდობით აღჭურვილი პირი გამოეგზავნა და დავით მირცხულავას მდგომარეობა აქ, ადგილზე შეესწავლათ. მის ჯანმრთელობას არანაირი საფრთხე არ ემუქრება. ბრალდებული მეშვიდე საპყრობილის სამედიცინო ნაწილში კარგ საყოფაცხოვრებო პირობებში იმყოფება," - ასეთი გახლავთ ისუტიციის სამინისტროს ოფიციალური ინფორმაცია.

როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, ცოტა ხნის წინ დავით მირცხულავას პირველი საპყრობილის სამედიცინო ნაწილში გადაყვანა შესთავაზეს, რაზეც ბრალდებულმა მინისტრმა კატეგორიული უარი განაცხადა.

24 საათი

ყოფილ რექტორს ქონება დაუყადაღეს

კიდევ ერთი ყოფილი მაღალჩინოსანი, ვის მიერ შეძენილი ქონების კანონიერება-არაკანონიერებაზე, ამ ქონების ჩამორთმევასა და სახელმწიფოსთვის გადაცემაზე მართლმსაჯულება იმსჯელებს, აგრარული უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი გახლავთ. პროკურატურის მიერ თბილისის საოლქო სასამართლოში შეტანილი ადმინისტრაციული სარჩელი - ნაპოლეონ ქარქაშაძისთვის დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის შესახებ, სასამართლოს მსჯელობის საგანი, მართალია, ჯერ არ გამხდარა, თუმცა, წინასწარ სამთვიან პატიმრობაში მყოფი ყოფილი რექტორის უძრავი ქონება იუსტიციის სამინისტროს აღმასრულებლებმა გუშინ უკვე დააყადაღეს.

იუსტიციის სამინისტროს აღმასრულებლები გუშინ ყოფილი რექტორის ქალიშვილის ქეთევან ქარქაშაძის უძრავი ქონებითაც დაინტერესდნენ. მათ სასამართლოს მითითება შეასრულეს. პროკურატურის სარჩელის განხილვამდე, მართლმსაჯულებამ ქონების დაყადაღების გადაწყვეტილება გამოიტანა.

საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე დაყადაღდა ქარქაშაძეების საცხოვრებელი სახლები, რომლებიც მდებარეობს თბილისში, ლვოვის ქ. N20-ში, ლუქსემბურგის ქ. N10-სა და მგალობლიშვილის ქ. N11-ში.

გარდა ამისა, დაყადაღებულია დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთი და ორი საბანკო ანგარიში ბანკ "რესპუბლიკაში", რომელზეც 45 ათასი ლარი ირიცხება.

შეგახსენებთ, რომ გენერალურმა პროკურატურამ და უშიშროების სამინისტრომ აგრარული უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი, აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე დაახლოებით ორი თვის წინ დააკავეს. **"რექტორის თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში ნაპოლეონ ქარქაშაძის მხრიდან ადგილი ჰქონდა სამსახურებრივი უფლებამოსილების არაერთგზის ბოროტად გამოყენებას, რაც გამოიხატა უნივერსიტეტის ბალანსზე არსებული ქონების პრივატიზების და იჯარით გაცემის პროცესში მის მიერ ოფიციალურ დოკუმენტებში არასწორი ინფორმაციის ასახვაში, ქონების მყიდველთა ნაკისრი ვალდებულებებისგან დაუსაბუთებელ გათავისუფლებაში, სახელმწიფოსთვის აშკარად წამგებიანი ხელშეკრულების გაფორმებაში,"** - ასეთი გახლავთ პროკურატურის მიერ ქარქაშაძისთვის წარდგენილი ბრალდება. როგორც პროკურატურაში აცხადებენ, ქარქაშაძის რექტორად ყოფნის პერიოდში მოხდა ღვინის მინი-ქარხანა "მარანის" პრივატიზება, ასევე სასწავლო-საცდელ ბაზა "მუხრანზე" დამაგრებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 105,50 ჰექტარი მიწის ნაკვეთის, სასწავლო-ექსპერიმენტულ ბაზა "იმედზე" დამაგრებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 25-50 ჰექტარი მიწის ნაკვეთის და "მუხრანის" ბალანსზე რიცხული "მუხრანბატონის" სასახლის და მისი ინფრასტრუქტურის ნაგებობების, ხელოვნური ტყე-პარკის და სტადიონის გრძელვადიანი იჯარით გაცემა.

წინასწარ სამთვიან პატიმრობაში მყოფი რექტორი წარდგენილ ბრალდებებში თავს დამნაშავედ დღემდე არ ცნობს.

24 საათი

მხატვრის სახლის თაობაზე დაწყებული სამართლებრივი დავა კვლავ გრძელდება

თბილისის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარის მიხეილ სააკაშვილის მიერ კანონიერად გაუქმებული, შევარდნაძის მთავრობის წევრთა უკანონო დადგენილებები, ახლა უკვე სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში, ფაქტობრივად, კვლავ პირვანდელ ძალაში შედის. უკანონობის დაკანონების მიზეზად ერთ-ერთი მოდავე მხარე - მხატვართა საზოგადოება დღევანდელი მთავრობის ზოგიერთ წევრთა ინტერესებს ასახელებს. მათ სჯერათ, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი, რომელიც ერთ დროს მათი დამცველი იყო, ახლა მისივე მთავრობის წევრთა მიერ შეცდომაშია შეყვანილი. მხატვართა საზოგადოება, ჯერჯერობით, არ ასახელებს მთავრობის იმ წევრთა გვარებს, რომლებიც პრეზიდენტს ატყუებენ.

ვასო ბესელია ფოტო

დაზარალებული და შეურაცხყოფილი მხატვრები დახმარებისთვის პრეზიდენტს მიმართავენ.

ნათია აბაშიძე

საქმე ისაა, რომ წლების წინ, რუსთაველის პროსპექტზე მდებარე შენობის - მხატვრის სახლისთვის - "თბილისი სიტისა" და მხატვართა კავშირს შორის დაწყებული სამართლებრივი ბრძოლა, მხატვართა საზოგადოებას მათ სასარგებლოდ გადაწყვეტილი რომ ეგონა, სიტუაცია მათ საწინააღმდეგოდ რადიკალურად შეიცვალა. 1870 წელს აგებული, საქართველოს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა წელიწადნახევრიანი სასამართლო დავების შემდეგ, ბოლო სასამართლო ინსტანციის, უზენაესი სასამართლოს 17 ივნისის გადაწყვეტილებით, მის ისტორიულ მესაკუთრეებს - მხატვრებს ერგოთ. თუმცა, როგორ კურიოზულადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილების მიუხედავად, მხატვართა სახლს ყადაღა ადევს და ის კვლავ სადავო ობიექტია. მხატვართა კავშირის ინტერესების დამცველი, ადვოკატი დიმიტრი გაბუნია აცხადებს, რომ **"ის, რაც მხატვრის სახლთან დაკავშირებით მოხდა, ნონსენსია."** საქმე ისაა, რომ 17 ივნისს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, ანუ, მას შემდეგ, რაც მხატვრის სახლი მხატვრებს დაუბრუნდათ, სამართლებრივ ომში დამარცხებულმა "თბილისი სიტის" წარმომადგენლებმა მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს მიმართეს და შენობის დაყადაღება მოითხოვეს, მოტივით, ჩივილს კვლავ ვაპირებთო. მთაწმინდა-კრწანისის სასამართლომ ეს მოთხოვნა დააკმაყოფილა და ქონება მართლაც დააყადაღა. მხატვართა კავშირმა მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს უარგუმენტო დადგენილება თბილისის საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა. **"საოლქო სასამართლომ მართლაც პრინციპული გადაწყვეტილება გამოიტანა, მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს დადგენილება გააუქმა და ქონებას ყადაღა ახსნა. 30 ივლისს, ზუსტად იმავე დღეს, როცა საოლქო სასამართლომ ყადაღის ახსნაზე გადაწყვეტილება გამოიტანა, "თბილისი სიტიმ" მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს კვლავ მიმართა და კვლავ ქონების დაყადაღება მოითხოვა. მათი მოთხოვნა კვლავ დაკმაყოფილდა. ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ დაყადაღების გადაწყვეტილების გამოტანაში ძალზე სერიოზული ხალხი ჩაერია, მათ ვინაობებს, გარკვეული მოსაზრებების გამო, ჯერ ვერ დავასახელებთ,"** - აცხადებს დიმიტრი გაბუნია. გარდა ქონების დაყადაღებისა, მხატვრის სახლთან დაკავშირების ერთი ნონსენსიც მოხდა, მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს გადაწყვეტილებიდან სამ დღეში, უზენაეს სასამართლოში ეკონომიკის სამინისტროს მოთხოვნის წერილი მივიდა. ეკონომიკის მინისტრის მოადგილე ქოქრაშვილმა უზენაეს სასამართლოს 17 ივნისს გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და საქმის ხელახლა განხილვა მოსთხოვა. ეკონომიკის სამინისტროს არგუმენტი ასეთია: ქონება სახელმწიფოს საკუთრებაა, სასამართლო მხარის - ამ შემთხვევაში, ეკონომიკის სამინისტროს მონაწილეობის გარეშე ჩატარდა და საქმის განხილვა თავიდან უნდა მოხდესო. **"მთავრობის ზოგიერთ წევრს ჩამოყალიბებული აქვს პოზიცია, რომ მხატვრის სახლის გადაცემა მისი კანონიერი მფლობელისთვის - მხატვართა კავშირისთვის, უცხოელი ინვესტორების საქართველოში საქმიანობას საფრთხის ქვეშ დააყენებს. გადაწყვეტილია, რომ უზენაესი სასამართლოს დადგენილება გაუქმდეს და ჩვენი კუთვნილი ქონება წაგვართვან. ამიტომაც, სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენელთა მხრიდან მიმდინარეობს უზენაესი სასამართლოს განაჩენზე შეტევა. მხატვრის სახლის თაობაზე წელიწადნახევრიანი სამართლებრივი ბრძოლა ჩვენი გამარჯვებით ამოიწურა, ახლა საქმე სამთავრობო დონეზე უნდა გაირკვეს,"** - აცხადებს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე გიორგი ჯანბერიძე, რომელიც ასევე, ეჭვქვეშ აყენებს ინვესტორთა საქმიანობასაც. **"თბილისის ომის დროს მხატვრის სახლი მთლიანად არ დამწვარა, დაიწვა მხოლოდ სახურავი, მაგრამ მოგვიანებით, შენობა გაქრა. გაქრა ისე, რომ ვერც ერთმა სამთავრობო სტრუქტურამ ვერაფერი შენიშნა. შენობა აგურ-აგურ დაშალეს და გაყიდეს. ამ ისტორიული აგურით პირველი სკოლის უკანა კედელი ააშენეს,"** - ამბობს გიორგი ჯანბერიძე.

დაზარალებული და შეურაცხყოფილი მხატვრები დახმარებისთვის, წერილით და თხოვნით კვლავ პრეზიდენტს მიმართავენ, რომ მიხეილ სააკაშვილი მხატვართა ჯგუფს შეხვდეს და არსებულ ვითარებაში გაერკვეს, რათა მხატვრებსა და მთავრობას შორის არსებული გაუგებრობა საბოლოოდ დასრულდეს. ანუ, მხატვრის სახლი მის კანონიერ მესაკუთრეს - მხატვართა კავშირს დაუბრუნდეს.

სხვათა შორის, საკრებულოს ყოფილმა თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა 2003 წლის 18 მარტს გამოცემული დადგენილებით გააუქმა 1994 წლის თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილება, რომლითაც მხატვრის სახლი "თბილისი სიტის" 99-წლიანი იჯარით გადაეცა. მიხეილ სააკაშვილმა გაუქმებაზე კონტროლი საკრებულოს სარევიზიო კომისიის მაშინდელ თავმჯდომარეს ირაკლი ოქრუაშვილს დაავალა.

წინასწარი პატიმრობა ობიექტური რეპორტაჟისთვის

პირველი გვერდიდან

ჩრდილოეთ ოსეთის ქალაქ ბესლანში დაკავებულ, ტელეკომპანია "რუსთავი-2"-ის თანამშრომლებს - ნანა ლეჟავას და ლევან თეთვაძეს სასამართლომ წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. სასამართლო პროცესი გაიადუმლოებულ ვითარებაში, რატომღაც არა სასამართლოს შენობაში, არამედ რუსეთის ფედერალური უშიშროების ვლადიკავკაზის განყოფილებაში ჩატარდა. დაკავებულ ქართველ ჟურნალისტებს საკუთარი სურვილით ადვოკატის აყვანაზე უარი ეთქვა. ნანა ლეჟავასა და ლევან თეთვაძეს ფედერალური უშიშროების სამსახურმა, სადაც უკვე მეოთხე დღეა, დატყვევებულნი არიან, სახაზინო წესით დაუნიშნა ადვოკატი. ანუ, სასამართლო პროცესზე დაკავებულთა ინტერესებს უშიშროების სამსახურის ინტერესების დამცველი ადვოკატი იცავდა.

ქართველ ჟურნალისტებთან შეხვედრის უფლება არ მიეცა რუსეთში საქართველოს კონსულს ირაკლი ბოჭორიძეს, რომელიც მოსკოვიდან ვლადიკავკაზში სპეციალურად ჩაფრინდა. მათთან შეხვედრის საშუალება არ მიეცა რუსეთში საქართველოს საელჩოს წარმომადგენელს ნუგზარ გრძელიშვილსაც. ნანა ლეჟავასა და ლევან თეთვაძესთან მხოლოდ პირადი ნივთების შეგზავნაზე გაიცა ნებართვა.

ნანა ლეჟავას და ლევან თეთვაძის დაპატიმრების ფორმალური მიზეზი რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთა გახდა. თუმცა, ნანა ლეჟავა და ლევან თეთვაძე საქართველოს საზღვრისპირა ყაზბეგის რაიონში არიან ჩაწერილები და სახელმწიფოთაშორისო შეთანხმების შესაბამისად, ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე უვიზო შესვლის და იქ ათი დღის განმავლობაში ყოფნის უფლება აქვთ.

ფაქტს, რომ ქართველი ჟურნალისტები რუსეთის სპეცსამსახურების პროვოკაციის მსხვერპლნი გახდნენ, რუსეთის მასმედიით გავრცელებული ინფორმაციებიც ადასტურებს.

საქმე ისაა, რომ რუსული საინფორმაციო საშუალებები, აფხაზურ წყაროებზე დაყრდნობით, მორიგ დეზინფორმაციას ავრცელებენ, თითქოს ქართველი ჟურნალისტები ბესლანის საშუალო სკოლაზე ტერაქტის განხორციელების შესახებ ტერორისტებისგან წინასწარ იყვნენ ინფორმირებულები და შემთხვევის ადგილზე პირველები სწორედ ამიტომ აღმოჩნდნენ. არადა, რეალურად გადამღები ჯგუფი ბესლანში ტერაქტის შესახებ ინფორმაციის გავრცელებიდან თითქმის ცხრა საათის შემდეგ, საღამოს რვა საათზე ჩავიდა.

სააგენტო "რია ნოვოსტის" ინფორმაციით, მათ ჩრდილოეთ ოსეთის სპეცსამსახურებში წყარომ აცნობა, რომ ქალაქ ბესლანში შეიარაღებული ბანდის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით კონტრტერორისტული ოპერაციის მოქმედების ზონაში, დაკავებული იყო საქართველოს ორი მოქალაქე - ლეჟავა და თეთვაძე, რომელთაც რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საზღვრის კანონიერად გადაკვეთის დამადასტურებელი საბუთები არ აღმოაჩნდათ. "ამჟამად, საგამოძიებო ორგანოები ამოწმებენ ჟურნალისტების რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე გამოჩენის გარემოებას და კონტრტერორისტული ოპერაციის ზონაში მათი ყოფნის მიზნებს, - განაცხადა წყარომ ჩრდილოეთ ოსეთის სპეცსამსახურებში," - წერს "რია ნოვოსტი".

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ წერილით მიმართა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს, რათა ბესლანში დაკავებული, "რუსთავი-2"-ის გადამღები ჯგუფის გათავისუფლების საკითხში პირადად ჩაერიოს.

პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ ეუთო-ს 23 ქვეყნის ელჩებთან შეხვედრაზე აღშფოთება გამოთქვა, რომ რუსეთის ხელისუფლება პატიმრობიდან არ ათავისუფლებს "რუსთავი-2"-ის ჟურნალისტს ნანა ლეჟავას და ოპერატორ ლევან თეთვაძეს და დიპლომატებს მიმართა, მიიღონ ყველა საჭირო ზომა ჟურნალისტების გასათავისუფლებად.

რუსეთის ხელისუფლება კვლავ იძლევა დაპირებას, რომ ქართველი ჟურნალისტები დაუყოვნებლივ გათავისუფლდებიან. მორიგი ასეთი პირობა გუშინ საქართველოში რუსეთის ელჩმა ვლადიმერ ჩხიკვიშვილმა ქართველ ჟურნალისტებს მისცა. მისი განცხადებით, ნანა ლეჟავა და ლევან თეთვაძე რუსეთის პატიმრობიდან რამდენიმე დღეში გათავისუფლდებიან.

"ექსპორტ-იმპორტს" ბიუჯეტისთვის მიყენებულ ზარალს ედავებიან

ფინანსური პოლიციის მორიგი მსხვერპლი, რომელსაც განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადებისთვის თავის არიდებაში ედავებიან, შპს "ექსპორტ-იმპორტი" გახლავთ. მას შემდეგ, რაც საბოლოოდ გაირკვა, რომ შპს "ექსპორტ-იმპორტმა" სახელმწიფო ბიუჯეტს განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადები დაუმალა, მისი ერთ-ერთი დამფუძნებლის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

როგორც ფინანსურ პოლიციაში აცხადებენ, შპს "ექსპორტ-იმპორტის" დამფუძნებლები აკაკი ბურკიაშვილი და ვოვა გურგენიძე არიან. ფირმა მთაწმინდა-კრწანისის საგადასახადო ინსპექციაშია აღრიცხვაზე.

მოკვლეული მასალების მიხედვით, 1999 წელს "ექსპორტ-იმპორტსა" და ბრიტანულ ფირმა "ლუის-ტექნოლოჯს" შორის გაფორმდა ხელშეკრულება. ქართულ მხარეს ბურკიაშვილი წარმოადგენდა, ბრიტანულს კი - ჰამილტონი. ხელშეკრულების თანახმად, ბრიტანულმა ფირმამ შპს "ექსპორტ-იმპორტს" გარკვეული თანხა გადმოურიცხა სააქციო საზოგადოება "გაერთიანებულ ქართულ ბანკში" გახსნილ ანგარიშზე. თავის მხრივ, "ექსპორტ-იმპორტს", უშუალოდ ჰამილტონის მითითებით, ეს თანხა სხვადასხვა ქვეყნების რამდენიმე ანგარიშზე უნდა გადაერიცხა, რის გამოც კომპენსაციის სახით შპს მის მიერ საერთო ჯამში გადარიცხული თანხების 7 პროცენტს მიიღებდა. ბრიტანეთიდან გადმორიცხულმა თანხამ სრულად 1.164.382 ფუნტი შეადგინა. გარიგება შედგა, "ექსპორტ-იმპორტმა" ყველა მითითებულ მისამართზე თანხები გადარიცხა.

შპს "ექსპორტ-იმპორტის" საბუღალტრო დოკუმენტაციის მონაცემებით, ფირმის შემოსავალმა 184.474 ლარი შეადგინა. ამ მონაცემების მიხედვით, ფირმას ბიუჯეტის კუთვნილი თანხა სრულად აქვს გადახდილი. **"მაგრამ ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის თბილისის სამმართველომ დამატებითი შემოწმების შედეგად გამოარკვია, რომ ეს 184.474 ლარი, რომელიც შპს-მ საქმიანობის შედეგად შემოსავლის სახით მიიღო, სინამდვილეში, მის მიერ გადარიცხული თანხების მხოლოდ 3.9 პროცენტს შეადგენს. მას კი, ხელშეკრულების მიხედვით, 7 პროცენტი აქვს მიღებული. ამ მაქინაციების შედეგად, ფირმამ სახელმწიფო ბიუჯეტს განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადები დაუმალა.**

სისხლის სამართლის საქმე ბურკიაშვილის მიმართ განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადებისთვის თავის არიდების მუხლით აღიძრა. მას სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 118.923 ლარი აქვს გადასახდელი," - აცხადებენ ფინანსურ პოლიციაში.

24 საათი

ლარის გამყარებამ ქვეყანაში დოლარიზაციის კოეფიციენტი შეამცირა და ფასების მატება შეაკავა

ქვეყანაში ეროვნულ ვალუტაზე მთავარი პასუხისმგებელი, ანუ ლარის მთავარი "პატრონი" ეროვნული ბანკია. ამიტომ, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პოზიცია მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით უდავოდ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. "24 საათმა" ირაკლი მანაგაძეს რამდენიმე კითხვით მიმართა.

ეთერ მამულაშვილი

ეთერ ლოგოლინის ფოტო

ლარის გამყარება ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესებით არის განპირობებული და მათი ურთიერთქმედების სრულიად ლოგიკური შედეგია.

- ბატონო ირაკლი, რა არის ლარის გამყარების ძირითადი მიზეზი?

- ლარის კურსის ზრდას აშშ დოლარის მიმართ ერთდროულად რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს. მათ შორის, უწინარეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ ეკონომიკის ლეგალიზაციის პროცესი, რაც ეროვნული ვალუტის გამოყენების არეალის გაფართოებას და, შესაბამისად, მასზე მოთხოვნის ზრდას ნიშნავს.

ამასვე უწყობს ხელს გაზრდილი სახელმწიფო ბიუჯეტი, რომლის ბრუნვაც გასულ წლებში არსებულს მნიშვნელოვნად აღემატება. გარდა ამისა, ბიუჯეტის შემოსავლები მნიშვნელოვნად აჭარბებს გეგმას, ხოლო მათი სრულად ხარჯვა ვერ ხერხდება, რის გამოც მიმოქცევაში ვეღარ ბრუნდება ფულადი მასის სოლიდური ნაწილი. ეს კი შიდა სავალუტო ბაზარზე ლარის დროებით დეფიციტს ქმნის.

ლარზე მოთხოვნის პარალელურად, შიდა სავალუტო ბაზარზე იზრდება უცხოური ვალუტის მიწოდებაც. მისი წყარო არის როგორც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობისათვის განკუთვნილი თანხები, ისე სხვადასხვა სახის შედარებით მცირე მოცულობის ინვესტიციები. გაზრდილია ქვეყნის საექსპორტო შემოსავლები და უცხოეთიდან მიღებული ტრანსფერტების მოცულობაც. ეს, საერთო ჯამში, უცხოური ვალუტის შემოდინების მნიშვნელოვანი წყაროა.

აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს ფსიქოლოგიური ფაქტორები, რომლებიც მოკლევადიან პერიოდში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კურსის ფორმირების დინამიკაზე. ახალი ხელისუფლების მოსვლასთან ერთად მოსახლეობის ნდობის ხარისხი მთავრობის მიმართ მკვეთრად გაიზარდა. შესაბამისად, მეტია ნდობა მისი ეკონომიკური პოლიტიკის მიმართაც, რაც, ბუნებრივია, ეროვნული ვალუტისადმი დამოკიდებულებაზეც აისახა. ამას თან დაერთო ლარის ფაქტობრივი გამყარება, რის გამოც მოსახლეობაში, ისევე, როგორც საფინანსო ინსტიტუტებში და საქმიან წრეებში, ლარის კურსის შემდგომი აწევის მოლოდინი გაჩნდა. ამ ფონზე, ბუნებრივია, გაცილებით ნაკლებია აშშ დოლარის ყიდვის მსურველი, რაც აისახება კიდეც შიდა სავალუტო ბაზრის დინამიკაზე.

მიმდინარე კვირაში ზემოაღნიშნულ ფაქტორებს ემატება რთველის მოახლოებაც. მოსახლეობისაგან ყურძნის შესყიდვისათვის საწარმოები რესურსების მობილიზებას უცხოური ვალუტის ეროვნულზე კონვერსიით ახდენენ, რაც ასევე ლარზე გამყარების მიმართულებით მოქმედებს.

ამდენად, ლარის გამყარება ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესებით არის განპირობებული და მათი ურთიერთქმედების სრულიად ლოგიკური შედეგია.

- ზოგიერთი ექსპერტი ეჭვობს, რომ ლარის კურსის გამყარება ხელოვნურად ხდება. თქვენ როგორ კომენტარს გააკეთებდით?

- როცა ასეთი განცხადება კეთდება, სულ მცირე, უნდა აიხსნას მაინც, თუ როგორ შეიძლება თვეების განმავლობაში კურსის აწევის ხელოვნურად მიღწევა. ეს არის, უბრალოდ, იმ რეალობის იგნორირება, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება. როგორ შეიძლება ხელოვნური ვუწოდოთ ისეთ პროცესებს, როგორებიცაა საბიუჯეტო შემოსავლების ზრდა, ეკონომიკის ლეგალიზაცია და ეროვნული ვალუტის მიმართ ნდობის ამაღლება?

- ლარის კურსის ცვლილება ბოლო დღეებში შედარებით მკვეთრად ხდება, ხომ არ უქმნის ეს საფრთხეს ქართულ ეკონომიკას?

- ლარის კურსის აწევა ბოლო ერთი კვირის მანძილზე შედარებით სწრაფად მიმდინარეობს, რაც სავალუტო ბაზარზე უცხოური ვალუტის მიწოდების მატების შედეგია. თუმცა, ეროვნული ბანკის მიერ აშშ დოლარების შესყიდვის გარეშე საკურსო ცვლილება გაცილებით მკვეთრი იქნებოდა. ეროვნული ბანკის ასეთი პოლიტიკა მომავალშიც გაგრძელდება.

რაც შეეხება საფრთხეს, როდესაც ამაზე საუბრობენ, როგორც წესი, მხედველობაში აქვთ ექსპორტის კონკურენტუნარიანობის დაკარგვა ვალუტის გამყარების გამო. ამ ეფექტის სწორად შეფასებისათვის უნდა განვიხილოთ ლარის რეალური ეფექტური კურსის დინამიკა, რომელიც გამოითვლება ნომინალური კურსის გამრავლებით საქართველოში და მის სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში ინფლაციის დონეთა შეფარდებაზე. ივლისის მდგომარეობით, რეალური კურსი ახლოსაა 2003 წლის იანვრის დონესთან. ანუ ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობა ისეთივეა, როგორც წელიწადნახევრის წინ.

ამასთან, ქართული საექსპორტო სექტორი, ძირითადად, ნედლეულის გატანით არის დაკავებული, რომელზეც ფასები საერთაშორისო ბაზარზე განისაზღვრება და ნაკლებადაა დამოკიდებული საკურსო თანაფარდობაზე. გარდა ამისა, იმ მზა პროდუქციის თვითღირებულება, რომელიც ექსპორტისთვისაა განკუთვნილი, გაცილებით დაბალია, მათ წარმოებაში დაკავებული მუშახელის შრომის დაბალი ანაზღაურების გამო. ამიტომ, მეწარმეებს ამ კომპონენტში საკმაო უპირატესობა აქვთ უცხოელ კონკურენტებთან შედარებით.

მესმის მათი უკმაყოფილებაც - მათ მიმდინარე შემოსავლები შეუმცირდათ, თუმცა, საკურსო კომპონენტის მიხედვით ისინი, კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით, ისეთივე პოზიციაში იმყოფებიან, როგორც წელიწადნახევრის ან ორი წლის წინ. თუმცა, არ მახსოვს მაშინ იმ პიროვნებების უკმაყოფილება, რომლებიც დღეს ეკონომიკის რეალური სექტორის დაღუპვაზე საუბრობენ.

აქვე მსურს ხაზი გავუსვა კურსის აწევის გავლენას ინფლაციაზე. საქმე ისაა, რომ ლარის გამყარების გარეშე დღეს ფასების დონე გაცილებით მაღალი იქნებოდა. კონტრაბანდის შეზღუდვით და საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესებით მთლიანად ქვეყანაში შეიქმნა ფასების აწევის ობიექტური წინაპირობები, ვინაიდან ფასში გამყიდველმა ჩართო გადასახადის ოდენობაც, რომელსაც აქამდე ის არ იხდიდა. შედეგად, კურსის გამყარების დადებითი ეფექტი ისეთი შესამჩნევი აღარ არის, თუმცა ამის გარეშე დღეს სერიოზული ინფლაცია გვექნებოდა სახეზე. ფაქტობრივად კი, წლის დასაწყისთან შედარებით, სამომხმარებლო ფასების ინდექსი თითქმის უცვლელია. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, პირველ შვიდ თვეში ეს უკანასკნელი 0.1 პროცენტით არის გაზრდილი. თუმცა, იმავდროულად, 2003 ივლისიდან დღემდე ინფლაცია 5.5 პროცენტს შეადგენს, ამდენად, საქართველოში დეფლაციასთან ნამდვილად არ გვაქვს საქმე.

- რა გავლენას ახდენს კურსის ცვლილება საბანკო სექტორზე?

- ბუნებრივია, საბანკო სისტემისათვის კურსის აწევა ცალსახად ხელსაყრელი არ არის. კრედიტების დოლარიზაციის მაღალი დონის გამო, მათ აშშ დოლარებით მიღებული საპროცენტო შემოსავლები უმცირდებათ. თუმცა, საბანკო აქტივების და სხვა ფინანსური პარამეტრების წლების განმავლობაში დამკვიდრებული ზრდადი ტენდენციის ფონზე, ბანკების ფინანსური მდგომარეობა საკმარისად მდგრადია, რათა მიმდინარე შემოსავლების კლებამ მათ პრობლემები არ შეუქმნას. მით უმეტეს, ბანკების უმეტესობას სავალუტო რისკების მინიმიზაციის მიზნით, სავალუტო პოზიცია დაბალანსებული აქვს, რაც მათ მოსალოდნელი ზარალისაგან იცავს. აქვე აღსანიშნავია, რომ თვით უცხოურ ვალუტაში დენომინირებული საკრედიტო პორტფელის ხარისხი კურსის დაწევით არ უარესდება.

ამდენად, ლარის გამყარების გამო საბანკო სისტემას პრობლემები არ შეექმნება. ამასთან, მათ საშუალება ეძლევათ, გააქტიურონ ოპერაციები ეროვნულ ვალუტაში, რაშიც მათ ეროვნული ბანკი მაქსიმალურად შეუწყობს ხელს.

- რა დადებითი და უარყოფითი შედეგები შეიძლება მოჰყვეს ლარის გამყარებას?

- პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ლარის პოზიციების განმტკიცების გავლენა ფასების დინამიკაზე. კიდევ ერთხელ მსურს ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი ეფექტი, რაც კურსის აწევის შედეგად მივიღეთ. კურსი უცვლელი რომ ყოფილიყო, ან კიდევ უარესი, დაწეულიყო, დღეს საკმაოდ მძიმე სურათის მომსწრენი ვიქნებოდით - ფასები გაცილებით მაღალი იქნებოდა. ამ საკითხს ეროვნული ბანკი უდიდეს ყურადღებას უთმობდა, ვინაიდან ჩვენი მთავარი მანდატი ქვეყანაში ფასების სტაბილურობის შენარჩუნებაა. ამიტომ, ეროვნულმა ბანკმა დაუშვა ლარის გამყარება დღეისათვის არსებულ ნიშნულამდე, რათა გაენეიტრალებინა ეკონომიკის ლეგალიზაციის შედეგად ფასებზე აწევის მიმართულებით მოქმედი ფაქტორების ზეგავლენა და არ დაეშვა ფულის მასის გადაჭარბებული ექსპანსია.

დავუბრუნდეთ კურსის ზრდის შედეგებს. არსებულ რისკებთან ერთად, მნიშვნელოვანია მყარი ვალუტის უპირატესობების გათვითცნობიერებაც. გავიმეორებ, რომ პირველ რიგში, ეს ნიშნავს სტაბილურ შემოსავლებს სოციალურად ნაკლებად დაცული ფენებისათვის, რომელთა შემოსავლების ძირითად წყაროს ბიუჯეტიდან მიღებული თანხები წარმოადგენს. მათთვის, როგორც ლარის კურსის ვარდნა და, უფრო მეტად, ამით გამოწვეული ინფლაცია, მატერიალური მდგომარეობის მკვეთრ გაუარესებას ნიშნავს. ამით ისინი დაკარგავენ იმ ნამატსაც, რომელსაც გაზრდილი პენსიების და ხელფასების სახით იღებენ.

არ დაგვავიწყდეს, რომ მყარი ვალუტა ხელსაყრელია ქვეყნისათვის, რომელსაც საგარეო ვალების მძიმე ტვირთი აწევს. მართალია, ამით მცირდება უცხოეთიდან მიღებული ფინანსური დახმარებების ღირებულება ლარებში, მაგრამ საქართველოსათვის საგარეო ვალი გაცილებით აღემატება ამ თანხებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი საგარეო ვალები კურსის ცვლილების პროპორციულად მცირდება, ანუ სახელმწიფო ბიუჯეტს მათ დაფარვაზე ნაკლები თანხების გახარჯვა მოუწევს.

მყარი და, იმავდროულად, სტაბილური ვალუტა მეტ ნდობას აღძრავს ინვესტორებში და ამცირებს სავალუტო რისკებს, რაც მთლიანობაში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას უწყობს ხელს. კურსის ზრდა უკვე გახდა კიდეც ფულადი ბაზრის ინსტრუმენტებზე, მათ შორის, სახაზინო ვალდებულებებზე საპროცენტო განაკვეთების კლების ერთ-ერთი ფაქტორი. მიუხედავად ამ ფასიანი ქაღალდების ვადიანობის ზრდისა, ერთ წლამდე მათი შემოსავლიანობა 15 პროცენტამდე შემცირდა. ასეთივე სიტუაციაა ბანკთაშორის საკრედიტო რესურსების ბაზარზე. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, განაკვეთების შემცირებაზე აკეთებენ აქცენტს კომერციული ბანკებიც. თუმცა, ჯერჯერობით, საერთო საკრედიტო აქტივობა დაბალია, ანუ ახალი კრედიტების გაცემა ინტენსიურად არ ხდება. სავარაუდოდ, ახალი საგადასახადო კოდექსის დამტკიცებით, ბიზნესგარემო იმ მნიშვნელოვან ინფორმაციას მიიღებს, რომელზე დაყრდნობითაც საკუთარ საქმიანობას დაგეგმავს. შედეგად, გაიზრდება მოთხოვნა კრედიტზე და ბანკებიც საკუთარ რისკებს უკეთესად გათვლიან.

ლარის მიმართ ნდობის მატებისა და მისი გამოყენების არეალის გაფართოების ფონზე 86-დან 81 პროცენტამდე შემცირებულია დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელიც. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დანაზოგის ფუნქციას ლარი ჯერჯერობით მაინც ვერ ასრულებს. ვადიანი დეპოზიტები, ძირითადად, ისევ უცხოური ვალუტითაა წარმოდგენილი, ხოლო ლარებით დეპოზიტების ზრდა მხოლოდ მიმდინარე ანგარიშებს შეეხო.

ამდენად, სტრატეგიული თვალსაზრისით, მყარი ვალუტა ქვეყნისათვის სერიოზული უპირატესობის მომტანია. თუმცა, ეროვნული ბანკი არ ივიწყებს იმ რისკებსაც, რომლებიც კურსის ცვლილებას ახლავს თან. ამიტომ ის მომავალშიც განაგრძობს ისეთი პოლიტიკის გატარებას, რომელიც, მიმდინარე რეფორმების ხელშეწყობის კონტექსტში, ჩვენი ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესის, როგორც ფინანსური სისტემისათვის, ისე მოსახლეობის ფართო ფენებისათვის მაქსიმალურად სტაბილურად და უმტკივნეულოდ წარმართვას უზრუნველყოფს.

ბანკირის მოსაზრება

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ "24 საათთან" საუბარს ბანკების უმეტესობის წარმომადგენლებმა სხვადასხვა "საპატიო" და კატეგორიული მიზეზების გამო თავი აარიდეს. თუმცა, დღეს გვაქვს საშუალება, "თბილუნივერსალბანკის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის სულხან გვალიას კომენტარი შემოგთავაზოთ:

ას პროცენტზე მეტით გამყარდა ვალუტის კურსი. როგორც კურსის გაფუჭება არ ვარგა, ისე კურსის გამყარება არ ვარგა. პირველ რიგში, ეს სიტუაცია ექსპორტიორებს და იმ მოსახლეობას უტევს, რომელთა შემოსავლები უცხოურ ვალუტაშია.

რეალურად, ხელოვნურ გამყარებასთან არ გვაქვს საქმე. ლარის კურსის გამყარების პირველი მიზეზი ლარზე მოთხოვნის ზრდაა. ამასთან, სახელმწიფომ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა გადასახადების ადმინისტრირება, რაც ბიუჯეტის მოცულობის ზრდაში გამოიხატა. თუმცა, სახელმწიფო მოკლე ხანში აკრეფილი ლარების ხარჯვას ვერ ასწრებს და ბაზარზე ლარების სიმცირე იგრძნობა. მთავრობა, ჭარბი რაოდენობის თანხების ბიუჯეტში სწორად განაწილების თვალსაზრისით, შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებას ვერ ასწრებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკაში ფულის მასა არ იზრდება. როგორც სისხლი აკლდება ადამიანის ორგანიზმს, ასევე ლარები აკლდება ჩვენს ეკონომიკას.

უცხოური ინვესტიციები ხომ უცხოურ ვალუტაშია, ესეც ერთ-ერთი მიზეზია. ასევე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ამ პროცესზე თანამდებობის პირებისგან ამოღებულმა თანხებმა. ამოქმედდა ასევე შიდა ინვესტიციები.

არ ვიტყვი, რომ მოსახლეობის მხრიდან ვალუტაზე მოთხოვნა შემცირდა, თუმცა დაგროვების ობიექტი ლარი კვლავაც არ არის. დოლარიზაციის კოეფიციენტი შემცირდა, მოსახლეობის ანაბრები კი, ძირითადად, ისევ უცხოურ ვალუტაშია. მთავარია, დღეს არსებულმა მდგომარეობამ ეკონომიკა არ დააზარალოს და პროგნოზირებადი იყოს. რაიმე პანიკის ნიშნები არ არსებობს, არსებობს გაურკვევლობის ნიშნები.

პროგნოზირება ცოტა რთულია, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს სიტუაცია კიდევ გაგრძელდება. აუცილებლად უნდა მოხდეს ფულადი ემისია, მინიმუმ, იმის გაშვება მაინც უნდა მოახდინონ ეკონომიკაში, რაც გადასახადებიდან უკვე ამოღებულია.

ჩაიწერა დიანა ჩაჩუამ

ბიზნესმენთა მოსაზრება

"მინისა და მინერალური წყლების კომპანიის" ვიცე-პრეზიდენტი ბადრი ჯაფარიძე:

ლარის გამყარება ჩვენს ბიზნესზე განსაკუთრებულ გავლენას არ ახდენს - არც დადებითს და არც უარყოფითს. ჯერჯერობით ასეა. ჩვენი პროდუქციის 80 პროცენტი ექსპორტზე გაგვაქვს და 20 პროცენტი საქართველოში რეალიზდება. ეს შემოსავალი კი, გარკვეულწილად, აკომპენსირებს ჩვენი დანახარჯების ზრდას, რომელიც ლარის გამყარებითაა გამოწვეული.

ყველა ბიზნესისთვის ცალსახად მნიშვნელოვანია, რომ სავალუტო ბაზარი იყოს მყარი, რადგან ვალუტის კურსის ნებისმიერი რყევა ორივე მიმართულებით, ყოველთვის გარკვეული დისონანსის შემომტანია. მთავარია, ეს პროცესი დასტაბილურდეს. ლარის კიდევ უფრო გამყარება დადებით გავლენას ექსპორტიორი კომპანიების საქმიანობაზე ვერანაირად ვერ მოახდენს. თუმცა, ამ ეტაპზე რაიმე საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ.

რაც უფრო დიდია შენი პროდუქციის თვითღირებულებაში ლარის მონაწილეობა, მით უფრო დიდ გავლენას ახდენს ლარის გამყარება ფასის ზრდაზე. თვითღირებულების ზრდა პროდუქციის დამზადებაში ლარებში გაწეული დანახარჯების მოცულობის პირდაპირპროპორციულია. იმ შემთხვევაში, თუ ლარის მონაწილეობა დანახარჯებში ნაკლებია, შესაბამისად, მისი გამყარება ფასის გაზრდაზეც ნაკლებად იმოქმედებს.

ვთქვათ, თქვენ ხართ ექსპორტიორი და მთელი თქვენი პროდუქციის თვითღირებულების დამზადებისთვის გაწეული დანახარჯების 70 პროცენტი, ანუ უდიდესი ნაწილი ლარშია მოცემული, ლარის გამყარება აუცილებლად გამოიწვევს თქვენი პროდუქციის თვითღირებულების გაზრდას. ამის შედეგად, ექსპორტიორი კომპანია კარგავს კონკურენტუნარიანობას, უმცირდება მოგება.

"თბილღვინოს" ხელმძღვანელი ზურა მარგველაშვილი:

ლარის გამყარება ძალიან ცუდ გავლენას ახდენს ჩვენს, როგორც ექსპორტზე ორიენტირებულ კომპანიაზე. მსხვილი ესპორტიორების ძირითადი შემოსავლები დოლარებშია. ხელფასების, მიმდინარე გადასახადების გადახდა კი ლარებში გვიწევს. ასე რომ, თუ ერთ დოლარს თვენახევრის წინ 1,9-ში ვახურდავებდით, ახლა ნიშნული 1,6-მდე დაეცა. ექსპერტების ვარაუდით, დოლარის კურსი კიდევ უფრო დაეცემა.

ეს პროცესი ცალსახად უარყოფითია იმ კომპანიებისთვის, რომლებიც ექსპორტზე არიან ორიენტირებულნი და შემოსავლები დოლარებში ან ევროებში აქვთ. კომპანიებს შემოსავლის, დაახლოებით, 25 პროცენტი უმცირდებათ და ეკარგებათ. ეს კარგია მხოლოდ იმათთვის, ვინც თავის პროდუქციას ადგილობრივ ბაზარზე ასაღებს. ასეთი კომპანიები კი საქართველოში ბევრი ნამდვილად არ არის.

ბუნებრივია, ლარის გამყარება ფასებზეც მოქმედებს. 20 სექტემბრის მერე რთველი იწყება, ყურძენს კი ლარებში ვყიდულობთ. ბუნებრივია, ლარის გამყარების პროცესი თუ გაგრძელდა, ჩვენი პროდუქციის თვითღირებულებაც გაიზრდება, რაც საბოლოოდ პროდუქციის გაძვირებასაც გამოიწვევს. ეს კი ნიშნავს, რომ შემცირდება ჩვენი პროდუქციის რეალიზება, რაც კომპანიას მოგებას შეუმცირებს. ამით კი, ქართული ღვინოც იზარალებს და ქვეყანაც. გაიზრდება უმუშევრობა, შემცირდება ბიუჯეტის შემოსავლები, ქართული ღვინო გახდება უაზროდ ძვირი და არაკონკურენტუნარიანი. ქვეყანა, რომელსაც ექსპორტი უმცირდება და უსუსტდება, შესაძლოა ჩაიკეტოს. ჩვენ ადილობრივ ბაზარზე ვერ ვიმუშავებთ, ჩვენი ღვინო საქართველოში იმდენი არ გაიყიდება, რამდენიც საზღვარგარეთ.

ზუსტად ვერ გეტყვით, ეს ხელოვნური პროცესია თუ არა, მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ ნაწილობრივ, ეს ხელოვნური პროცესიც იყოს, აბა, თვენახევარში როგორ შეიძლება დოლარის 1.92-დან 1.72-მდე შემცირება.

"კანარგო სტანდარტ ოილის" ხელმძღვანელი სოსო ფხაკაძე:

ლარის გამყარება იმპორტიორებისთვის, რა თქმა უნდა, დადებითად მოქმედებს, თუმცა, ამ ეტაპზე დიდი ცვლილებები არ არის. ჯერჯერობით, მდგომარეობა ნორმალურია. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, ახლა როგორ განვითარდება ფულად-საკრედიტო პოლიტიკა. თუ ეს პროცესი დიდხანს გაგრძელდა და ლარმა გამყარება ასეთი ტემპებით გააგრძელა, არ მგონია, ამან ქვეყნის ეკონომიკაზე დადებითი გავლენა მოახდინოს. არც იმაში ვარ დარწმუნებული, რომ თუ ლარი კიდევ გამყარდება, ეს დადებითად იმოქმედებს ჩვენს ბიზნესზე.

პრინციპში, ჩვენთვის მოულოდნელი არ ყოფილა ლარის გამყარება. ჩვენ ვიცოდით, რომ პროცესები ამ მიმართულებით განვითარდებოდა, რადგან, მოგეხსენებათ, გადასახადების გადახდა ლარებში წარმოებს. ლარის გამყარება კი, ძირითადად, ლეგალიზაციის მაჩვენებლის ზრდითაა გამოწვეული.

ჩემი აზრით, სახელმწიფო სავალუტო კურსის პროცესებში არ უნდა ჩაერიოს და, ამ მხრივ, ეროვნული ბანკი სწორ პოლიტიკას ატარებს, კურსის ფორმირება ბაზარზე არსებული მოთხოვნა-მიწოდებით უნდა ხდებოდეს.

"ლუკოილი ჯორჯიას" გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე გოჩა სულხანიშვილი:

ჩვენს ბიზნესზე ლარის გამყარებამ დადებითი გავლენა მოახდინა, რაც იმაში გამოიხატა, რომ საერთაშორისო ბაზარზე ფასების კატასტროფული მატება საცალო ქსელზე არ აისახა იმ დოზით, რა დოზითაც მოხდა ნავთობის ფასების გაზრდა მსოფლიო ბაზარზე. ჩვენ მხოლოდ პირველ ეტაპზე ავწიეთ ფასები. შემდგომში ნავთობის საერთაშორისო ფასების გაძვირება ლარის კურსის გამყარებამ დააკომპენსირა.

ლარის გამყარება რომ არა, საცალო ფასები ჩვენთანაც კატასტროფულად გაიზრდებოდა. ლარის კურსის გამყარებამ ფასის ზრდის შეჩერების საშუალება მოგვცა. ლარის ნიშნული 2.1-ს რომ დაუბრუნდეს, ნავთობის საცალო ფასი კიდევ 20 თეთრით გაიზრდება. ასე რომ, მომხმარებლის და ჩვენი ბიზნესის კუთხითაც ეროვნული ვალუტის გამყარებამ დადებითი გავლენა მოახდინა. თუ ლარი კიდევ უფრო გამყარდა, ეს ჩვენს ბიზნესზე დადებითად იმოქმედებს, მაგრამ მე ვერ გეტყვით, ეს პროცესი რამდენად დადებითად იმოქმედებს მთლიანად ქვეყნის ეკონომიკაზე.

თუ ეს ხელოვნური პროცესი არ არის, ეს ნორმალურია. ხოლო თუ ეს ხელოვნურად ხდება და ახალი წლისთვის მოულოდნელად ისევ უნდა გააძვირონ დოლარი, ეს ბანკების თამაშია, რაზეც საკმაოდ დიდი განგაშია ასატეხი. მე ზუსტად ვერაფერს ვიტყვი. ამის ანალიზი მთავრობამ უნდა გააკეთოს. მე ვარაუდებს გამოვთქვამ, ხელისუფებას კი ფაქტები აქვს. სავალუტო პროცესში სახელმწიფოს ჩარევა მიზანშეწონილად არ მიმაჩნია, თუ ეს პროცესი რაღაც ეკონომიკურ კატასტროფებს არ იწვევს.

ჩაიწერა სოფო ოხანაშვილმა

24 საათი

ფართო საინფორმაციო სექტორი, ანალიტიკა, საბიუჯეტო, საბანკო, ენერგეტიკული სფეროს მონიტორინგი, ჟურნალისტური გამოძიებები, კულტურისა და სპორტის სიახლეები, საერთაშორისო კორესპონდენტების მიერ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მოწოდებული უახლესი ამბები.

"24 საათის" რუბრიკები - "საგარეთელი", "ბიზნესი", "დედაქალაქი", "მონადირე", "ავტომობილი", "ეროვნისტორია", "სპეციალისტები", "შეხვნიერება და ტექნიკა", "ბულვარული".

ერთობლივი პროექტები "ახალგაზრდა იერისტთა ასოციაციასთან" და "სოროსის ფონდთან" განმარტავს მოქალაქეებს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, გაათვითცნობიერებს მათ საგარეთელოვან და საგანმანათლებლო საკითხებში.

"24 საათი" ეძღვნება ფრაქციულად აქვეყნებს სახელმწიფო დოკუმენტებს - პრეზიდენტის, მთავრობისა და სხვა სახელისუფლო სტრუქტურების ბრძანებებს, დადგენილებებს, სახელმწიფო ფიზიკურ ინფორმაციულ აქტებს.

ხელშეკრულებები ხელმოწერის თარიღზე უნდა დაიდოს უფასოდ გაზეთის დირექციასთან, რათა გამოირიცხოს გაუგებრობები და უზრუნველყოფილი იყოს მოწოდების სტაბილურობა.

ხელმოწერის ტარიფები: 1 თვით - 13 ლარი; 3 თვით - 39 ლარი; 6 თვით - 78 ლარი.

რედაქციის მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული. ტელეფონი: 20 24 24 ან 20 24 10. საბანკო რეკვიზიტები: "თიბისი" ბანკის ცენტრალური ფილიალი. ბანკის კოდი: 220101000, ა/ა 28487440.

გენიტალიის ადამიანები (?!)

როცა გინდა, სკანდალი მოახდინო

B2

ჩხუბი იქნება. საკითხავია - ვისთან!

B5

რკინას შეჭიდებული ოლიმპიური ჩემპიონი

B6

"მის საქართველო"

- ამჯერად, ბათუმში

ვერა ნეფარიძე

მათ, ვინც ზღვაზე საუკეთესო პერიოდში, თანაც აჭარაში გადაწყვიტეს დასვენება, გაუმართლათ. ამ სეზონზე ბათუმი უჩვეულოდ დატვირთული იყო და იქნება კონცერტებითა თუ ჩვენებებით. ღონისძიებათა ამ სერიას კი 24 სექტემბერს "მის საქართველოს" ფინალური შოუ დაასრულებს. შარშანდელი, საკმაოდ წარმატებული და "მის მსოფლიოზე" მიღწეული შედეგების გამო, კონკურსის ორგანიზატორები წლევანდელი სანახაობისთვის განსაკუთრებით ემზადებიან. ბუნებრივია, წელს კონკურსი შარშანდელზე უკეთესი უნდა გამოვიდეს და უცხოეთში, საერთაშორისო კონკურსებზეც ჩვენმა გოგონებმა უკეთესი შედეგი უნდა აჩვენონ. მაყურებელს ამჯერადაც შეუძლია, მიიღოს აქტიური მონაწილეობა და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან შერჩეულ ლამაზმანთა შორის მისთვის სასურველს მხარი დაუჭიროს ვებგვერდზე www.missgeorgia.ge მორიგი "მის საქართველოს" დეტალებზე კი ორგანიზატორი, სამოდელო სააგენტო "იმიჯ ცენტრის" პრეზიდენტი ია კიწმარიშვილი გვესაუბრება.

- რატომ გადაწყვიტეთ წელს "მის საქართველოს" ბათუმში გამართვა?

- ჩვენთვის ეს დიდი პატივია - ძალიან გვიხარია. შარშანდელი კონკურსის გამართვაც ბათუმში გვინდოდა, მაშინდელი სიტუაციის გამო ეს არ მოხერხდა. დავიწყოთ იმით, რომ საერთოდ, სილამაზის კონკურსების ერთ-ერთი დატვირთვა ტურიზმის განვითარებაცაა. ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში ეს კონკურსები ამისკენ არის მიმართული და ასეთ დატვირთვასაც იძენენ. მაგალითად, "მის მსოფლიოს" ფინალი ჩინეთში შარშან ისეთ საკურორტო ადგილას გაიმართა, სადაც ჯერჯერობით ტურისტები არ არიან, მაგრამ ულამაზესი მხარეა. ამიტომ წელსაც იქ იმართება, ამ საკურორტო ზონის პოპულარიზაცია რომ მოხდეს. ჩვენც იგივე გვინდა, გავაკეთოთ საქართველოში და რადგან ამის საშუალება მოგვეცა, ბედნიერები ვართ.

- წინააღმდეგობა არ შეგხვედრიათ?

- შარშან გვქონდა საკმაოდ სერიოზული წინააღმდეგობა. წელს, ლევან ვარშალომიძის დამსახურებით, პირიქით. როდესაც შევხვდით ამ თემაზე სასაუბროდ, მე მომავალი წლისთვის ვვარაუდობდი "მის საქართველოს" ბათუმში გამართვას, მაგრამ მან გადაწყვიტა, რომ წელსვე გაგვეკეთებინა. პრინციპში, ეს საკმაოდ მოულოდნელად მოხდა და ჩვენც ყველა ღონისძიება ბათუმში გადავიტანეთ.

- შეიძლება ითქვას, რომ აჭარის ხელმძღვანელობისგან ასეთი გადაწყვეტილება შარშანდელი კონკურსის დამსახურება იყო?

- შარშანდელმა ღონისძიებამ, თავისთავად, დიდი გავლენა იქონია. ეს კონკურსი უკვე საკმაოდ პრესტიჟულია და მის მიმართ დამოკიდებულებაც სხვაგვარია. შარშან რასაც და როგორც ვგეგმავდით, ისე გამოვიდა. ანუ კონკურსის პრესტიჟი გაზრდილია. და საერთოდ, სილამაზის კონკურსების მიმართ ჩვენი საზოგადოების დამოკიდებულება შეცვლილია.

- კონკრეტულად რაზე აისახება?

- პირველ რიგში, იმაზე, რომ გოგონების ნაკადი წელს დიდია. შარშანდელთან შედარებით ძალიან ბევრი საინტერესო კონკურსანტი გვყავს. აისახება იმაზეც, რომ თუკი რამე გვჭირდება, პრობლემა არ გვხვდება - საკმარისია გაიგონ, რომ ეს "მის-საქართველოსთვის" კეთდება. ერთადერთი სამწუხარო ფაქტი ის იყო, რომ თბილისის მერიამ წელს უარი გვითხრა კონკურსის დაფინანსებაზე. ეს ჩემთვის ძალიან აღმაშფოთებელი და გაურკვეველი იყო. მიმაჩნია, რომ "მის საქართველო" არ არის "იმიჯ-ცენტრის" და ია კიწმარიშვილის პროექტი, ეს არის საქართველოს პროექტი. შარშან ვნახეთ, რომ ქართველმა გოგონამ საქართველო მსოფლიო ასპარეზზე წარადგინა ზუსტად იმ დროს, როდესაც საქართველოს განსაკუთრებით სჭირდებოდა მსოფლიოს მხარდაჭერა. ძალიან კარგად დაემთხვა ეს ყველაფერი ერთმანეთს. ჩემთვის ეს საამაყო ფაქტია. ამიტომ მერიის მხრიდან ამ კონკურსის უგულებელყოფა ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარი იყო.

- რამდენადაც ცნობილია, თბილისის მერია ამ კონკურსს მთლიანად არ აფინანსებდა?

- საუბარი იყო ნაწილობრივ დაფინანსებაზე. შეიძლება ითქვას, რომ ბათუმში გადატანით წელს ეს კონკურსი გადავარჩინეთ.

ია კიწმარიშვილი: "სილამაზის კონკურსების ერთ-ერთი დატვირთვა ტურიზმის განვითარებაცაა. ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში ეს კონკურსები ამისკენ არის მიმართული".

იური ლობოდინის ფოტო

- ეს ყველაფერი "მის საქართველოს" გადასახლებას ხომ არ ნიშნავს?

- ჯერჯერობით ამაზე კონკრეტული საუბარი არ ყოფილა. გადაწყვეტილი არ არის, რომ ყოველ წელს ბათუმში გაიმართოს. მაგრამ, ჩემი აზრით, კარგი იდეაა - ბათუმი ამ კონკურსისთვის მშვენიერი ადგილია.

- კონკურსანტების აქტიურობა ახსენეთ. დაახლოებით რამდენმა გოგომ მიაკითხა წელს "იმიჯ ცენტრის" პუნქტებს?

- რეგიონების ჩათვლით, შესარჩევ ტურებში დაახლოებით ათასმა გოგონამ მიიღო მონაწილეობა. შესარჩევი ტურები გაიმართა ქუთაისში, გორში, ბათუმში, ჩოხატაურში, ოზურგეთში, ბორჯომში, ონში, ლაგოდეხსა და ჭიათურაში. გვყავს 25 ფინალისტი და მათ შორის ექვსი რეგიონიდანაა.

- რა შესძინა ერთწლიანმა გამოცდილებამ კონკურსს? თუ აღმოაჩინეთ რაიმე ხარვეზი შარშანდელ "მის საქართველოში", რომლის შესწორებაც წელს მოახერხეთ?

- პრინციპში, ვერ ვიტყვი, რომ შარშან რაიმე ხარვეზი იყო, რაც წელს გამოვასწორეთ. იმდენად მაღალ დონეზე წარიმართა წინა კონკურსი, რომ წელს უკვე გვიჭირს სიახლის დამატება. თუმცა, სიახლეები მაინც გვაქვს. მნიშვნელოვანი სიახლე ის არის, რომ წელს სერიოზული ვარსკვლავი ჩამოგვყავს. "ისთერნ პრომოუშენთან" ერთად ჩვენ ჯორჯ დიუკის კონცერტის ორგანიზატორები ვართ. პატარა პრობლემა შეიქმნა: რადგან ბათუმში ჯერჯერობით არ არსებობს ფეშენებელური სასტუმროები და შესაბამისი ინფრასტრუქტურა, ასეთი დონის ვარსკვლავის დასახელება ცოტა გაგვიჭირდა. დარწმუნებული ვარ, მომავალ წელს ეს პრობლემა აღარ გვექნება. ჯორჯ დიუკი თბილისში გამართავს კონცერტს "მის საქართველოსთვის" და კონკურსის მაყურებელი ამას ბათუმში ტრანსლაციის მეშვეობით უყურებს. ის, რომ 24-ში დიუკი კონკურსისთვის გამართავს კონცერტს, ჩვენთვის ძალიან სერიოზული ფაქტია. რაც შეეხება ფინალის დანარჩენ ნაწილს, იქნება იგივე, რაც შარშან იყო; გოგონები გამოვლენ საცურაო კოსტიუმებით. ჩვენებაში დამატებულია ეროვნული და საღამოს კაბები. კაბების ჩვენებისთვის მუსიკას ნიკა მემანიშვილი დაწერს. დარწმუნებულები ვართ, საინტერესო გამოვა. "მის საქართველოს" ფინალამდე ერთი კვირით ადრე ცალკე ვაკეთებთ დიზაინერების კონკურსს. ესეც დიდი სანახაობა იქნება და ბათუმის თეატრში გაიმართება. იმუშავებს პროფესიონალებისგან შემდგარი საგანგებოდ მოწვეული ჟიური, რომელიც შეარჩევს საუკეთესო კაბებს როგორც საღამოსას, ასევე ეროვნულს. დიზაინერები ფინალზე დაჯილდოვდებიან.

- ალბათ, ლამაზი სანახაობა ელის ბათუმელ მაყურებელს?

- ისევე როგორც შარშან, წელსაც გათვალისწინებულია მუსიკალური ნომრები, იქნება რამდენიმე ცოცხალი შესრულება, თუმცა ძირითადი ნაწილი ჯორჯ დიუკის კონცერტი იქნება. ვინაიდან ბათუმის თეატრი შედარებით პატარაა, ვიდრე თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი, იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტმა ხალხმა ადევნოს თვალი კონკურსს, ქალაქში დამონტაჟდება დიდი ეკრანი და რაც დარბაზში მოხდება, მაყურებელს ქუჩაში ყველაფრის ნახვა შეეძლება. ეს ყველაფერი კი ფეიერვერკებით დასრულდება. სცენისთვის საგანგებო დეკორაცია მზადდება. შოუზე მაყურებელს საგანგებოდ "მის საქართველოსთვის" გამოცემული ჟურნალიც დაურიგდება.

- სად გაივლიან კონკურსანტები ფინალისთვის მოსამზადებელ ეტაპს?

- 9 სექტემბერს გოგონები ბათუმში მიემგზავრებიან. იცხოვრებენ სასტუმრო "ოაზისში"; მოსამზადებელ ეტაპს იქ გაივლიან. მოემსახურებათ ტრანსპორტი. აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ აჭარის ხელმძღვანელობისგან აბსოლუტურად ყველაფერში სრული მხარდაჭერა მივიღეთ.

- წლევანდელი "მის საქართველო", მგონი, ფინალური შოუთი არ შემოიფარგლება?

- დიახ, ფინალი რიგით მესამე ღონისძიება იქნება ბათუმში. მანამდე, 12 სექტემბერს ვმართავთ საცურაო კოსტიუმების კონკურსსა და კონცერტს; 17 სექტემბერს კი დაგეგმილი გვაქვს დიზაინერების კონკურსი.

- შარშან საკმაოდ შთამბეჭდავი პრიზები იყო გამარჯვებულთათვის. წელსაც თუ მოხიბლავთ კონკურსანტებს განსაკუთრებული საჩუქრებით?

- წელს "ტოიოტა ცენტრმა" საგანგებოდ "მის საქართველოსთვის" "ტოიოტა იარისი" ჩამოიყვანა. ეს იქნება მთავარი პრიზი. ბევრი ჩვენი პარტნიორი საკუთარ პრიზს აწესებს. 24-ში შეირჩევა ათი ფინალისტი და ათივე ჩაირიცხება უცხო ენათა უნივერსიტეტში. ათივესთვის გათვალისწინებულია საჩუქრები პარტნიორებისგან. მნიშვნელოვანი ის არის, რომ ოთხი გოგონა გაეგზავრება კონკურსებზე: "მის მსოფლიო", "მის სამყარო", "მსოფლიოს მოდელი" და "მის თანამეგობრობა". დაგეგმილი გვაქვს, მომავალი წლისთვის "მის თანამეგობრობა" ჩვენთან ჩავატაროთ. ეს საკითხი ახლა რამდენიმე ქვეყნის წარმომადგენელმა უნდა გადაწყვიტოს. "მის თანამეგობრობა" რუსული პროექტია, რომელიც ერთხელ, 1999 წელს, გაიმართა და მას შემდეგ ვეღარ მოხერხდა მისი ორგანიზება. ახლა ჩვენ გვაქვს მისი გამართვის სურვილი.

კინოფესტივალები, როგორც კანფეტები

ამჯერად - "კინოშოკი"

ვერა ნეფარიძე

13 სექტემბერს ანაპაში ტრადიციული კინოფესტივალი მეცამეტედ გაიმართება დსთ-სა და ბალტიისპირეთის ქვეყნების კინემატოგრაფისტებისთვის. ასე ჰქვია ოფიციალურად "კინოშოკს", რომელიც ისე როგორც ბევრი სხვა კულტურული "რუსული პროექტი", რუსეთის იმპერიალისტურ ინტერესებს ემსახურება.

პოლიტიკისა და კინოს კავშირში ახალი ნამდვილად არაფერია. არავისთვის საიდუმლო არაა, რომ მსოფლიოს პრესტიჟული კინოფესტივალები (აქედან გამომდინარე, ზოგადად კინოც) პოლიტკორექტულობას ეწირება. მაგრამ საქმე სხვა რამეშია - პროტესტში, როცა ეს საჭირო ხდება. იმის მომსწრეც ხშირად ყოფილა მსოფლიო საზოგადოება, როდესაც ამა თუ იმ დაჯილდოების ცერემონიალზე ესა თუ ის რეჟისორი ან მსახიობი არ გამოცხადებულა პროტესტის ნიშნად. სამწუხარო ისაა, რომ როდესაც პროტესტის თავი ან სურვილი არ არსებობს, თავის მოტყუება ყველაზე მისაღები გამოსავალია. იმ ფონზე, რაც ბოლო დღეებში კავკასიაში მოხდა (ამას დამატებული ზღვარსგადასული ფაქტი ქართველ ჟურნალისტებთან დაკავშირებით), როდესაც პოლიტიკის მიღმა ურთიერთობები ყალბი სიმშვიდით იმართება, არანაკლებ გამაოგნებელია. ჩვენ დიდხანს გვარწმუნებდნენ, რომ პოლიტიკა და ხელოვნება ჩვენსა და თანამოძმე რუს ხალხს შორის სხვადასხვა მიზნებითა თუ მიმართულებებით ვითარდებოდა. კერძო ინიციატივებთან დაკავშირებით, შესაძლოა, ეს მართლაც ასე იყოს, მაგრამ რაც შეეხება სახელმწიფოებრივ პროექტებს - ალბათ, ერთხელ გადაწყვეტით უნდა ითქვას, რომ "კულტპახოდები", რუსი იმპერიალისტების გაგებით, დამშეული "ქართველებისთვის" ყოველთვის იყო კანფეტები, რომლებსაც ისინი ბომბებთან ერთად (ხშირად პარალელურადაც) გვთავაზობდნენ და, რაც მთავარია, ჩვენ ამ კანფეტებზე უარს ვერ ვამბობთ.

ერთ-ერთი ასეთი კანფეტი (ღირსეულადაც რომ არ არის შეფუთული) უდავოდ არის ფესტივალი "კინოშოკი", რომელიც მეცამეტედ სექტემბერში ანაპაში იმართება. მოახლოებულ ფესტივალთან დაკავშირებით Российская газета-ს ვებსაიტზე გამოქვეყნდა ინტერვიუ ფესტივალის დირექტორთან ვიქტორ მერეჟკოსთან (დრამატურგი, სცენარისტი, სატელევიზიო წამყვანი, კინოკომპანია "ტელეფილმის" სამხატვრო ხელმძღვანელი და ცივი იარაღის სუვენირების კოლექციონერი). ინტერვიუში საუბარი ჩვენთვის საინტერესო საკითხებსაც შეეხო, რის გამოც მისი კომენტირება გადავწყვიტე.

ინტერვიუ, თავისთავად, ახალს არაფერს გვეუბნება. უბრალოდ, რუსები თვითონ ამბობენ იმას, რისი დაჯერებაც ბევრ ჩვენიანს კარგა ხანს არ სურდა; და როდესაც საქართველოს ტერიტორიები ახალი დაბომბილი იყო, პარალელურად კი "კულტურული მიმოსვლა" ჰქონდათ გაჩაღებული, სტუმარ კოლეგებთან ერთად, ქართველი ხელოვანებიც ცდილობდნენ ჩვენი საზოგადოების დარწმუნებას, რომ რუსული პოლიტიკა და კულტურა სხვადასხვა ხელით იმართებოდა.

"ჩვენი ფესტივალი სახელმწიფოსთვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანია, რადგანაც ვასრულებთ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების გაერთიანების ამოცანას. სახელმწიფოს ესმის, რომ კინოს დახმარებით შესაძლებელია ქვეყნებს შორის წარსული ურთიერთობის შენარჩუნება, ამიტომაც გვიფინანსებს ფესტივალის ბიუჯეტის მესამედს", - ამბობს "კინოშოკის" პრეზიდენტი ვიქტორ მერეჟკო. ინტერვიუში საუბარია, როგორ "სწყდებათ გული" რუსეთში ქართული კინოს დიდების განელებაზეც. დავუბრუნდეთ ისევ მერეჟკოს: "ბელორუსები და ბალტიისპირელები შესანიშნავად მუშაობენ. უკრაინა თითქოს ერთ ადგილს ტკეპნის, მაგრამ იღებს ფილმებს. სომხეთში და აზერბაიჯანშიც იქმნება ფილმები; საქართველოში - ცოტა. პრობლემა გაქირავებაშია. პატარა ქვეყნის კინოპროდუქცია ადგილზე ხარჯებს ვერ ამოიღებს. გერმანელებსა და ფრანგებს აზერბაიჯანელების ნამუშევარი არ აინტერესებთ. ჩვენი ყოფილი ყველა ქვეყანა დაინტერესებულია, საკუთარი ფილმები რუსეთში აჩვენოს. მაგრამ მაყურებელი, ერთი მხრივ, ჰოლივუდის ძლიერი პრესინგის ქვეშაა, მეორე მხრივ კი, პოლიტიკური კონიუნქტურის გამო, იზრდება შოვინიზმი. რომ გამოვიდეს კიდეც სახელგანთქმული ქართული კინოსურათი, მას არ ნახავენ ისე, როგორც უყურებდნენ "მონანიებას". ვეღარც ვახტანგ კიკაბიძეს უსმენენ ძველებურად".

ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ, იმის ფონზე, რასაც რუსეთი კავკასიაში ახორციელებს, უბრალოდ, გიჩნდება სურვილი, თქვა: იმპერიალისტო ბიძიებო, ჯობს, ტერორისტებისგან იხსნათ ისინი, ვისაც თქვენთან ერთად ყოფნა ჯერ კიდევ სურთ. ქართული კინოს პრობლემები კი თქვენი სატკივარი ნამდვილად არაა. ნურც იმაზე ინაღვლებთ, თუ ვახტანგ კიკაბიძის მოსმენისას რუს მსმენელს გული აღარ აუჩუყდება, რადგან გულის ასაჩუყებელი მათ სხვაც ბევრი აქვთ. ჩვენ კი, ანაპა კანის ფესტივალადაც რომ გადაიქცეს (როგორც ინტერვიუდან ირკვევა, ასეთია ფესტივალის დირექტორის გეგმა), ვიდრე ეს კინოფესტივალები რუსული იმპერიის მიერ გადმოგდებული კანფეტი-სატყუარებია, თუ მასზე უარის თქმა გვიჭირს, თავს მაინც ნუღარ მოვიტყუებთ და ხალხის მოტყუებაზეც ხელი ავიღოთ. უბრალოდ, ვთქვათ, რომ სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში, ეს ფესტივალებიცა და სპეცოპერაციებიც ერთი ხელით იმართება, ავტორის ინტერესები ჩვენდამი კი არასდროს იცვლება. რაც შეეხება სატყუარა-თავშესაქცევებს - ღირდეს მაინც დაგემოვნებად, "შოკს" აშკარად მწარე გემო აქვს.

p.s. ცნობისათვის: საქართველო ამჯერადაც მონაწილეობს ანაპის კინოფესტივალში სამი მოკლემეტრაჟიანი ფილმით (ჩვენთვის უცნობი დარჩა, რა მიზეზით ამოიღეს ან ვინ ამოიღო ფესტივალის პროგრამიდან რეზო ესაძის "ჭერი"). ჩვენი წარმომადგენლობა ანაპაში 11 სექტემბერს გაემგზავრება.

გენიტალიის ადამიანები (?!)

როცა გინდა, სკანდალი მოახდინო

თათა ცოფურაშვილი

სკანდალი ერთ-ერთი საუკეთესო წინაპირობაა პოპულარობისა და ფართო აუდიტორიის წინაშე საკუთარი ადგილის დამკვიდრებისთვის. ეს აქსიომაა და იგი განსაკუთრებით კარგად მუშაობს შოუ-ბიზნესსა თუ კინემატოგრაფიაში, თუმცა სკანდალური რყევები არც ლიტერატურისთვისაა უცხო. თქვენ წარმოიდგინეთ, თავად ისეთი სტაბილური (და, გარკვეული აზრით, ერთ წრეზე მოტრიალე) ლიტერატურისთვისაც, როგორიც ჩვენია. იმაზე ფიქრისთვის, თუ რა თემა შეიძლება აღმოჩნდეს აურზაურის მიზეზი საქართველოში, ალბათ, დიდი დრო არ დაგჭირდებათ - ეს არის სექსი და სექსუალური თავისუფლება.

ამ საკითხის დეკლარირება ჩვენი პურიტანული მორალის მქონე საზოგადოების ფართო აუდიტორიისთვის დღესაც კი შეიძლება თავზარდამცემი იყოს. მით უმეტეს, მძაფრ ნოვაციად იქნა აღქმული სექსზე არათუ საუბარი, არამედ თავად წერა 1998-1999 წლებში, როცა ლიტერატურულ გაზეთ "ალტერნატივაში" დიანა ვაჩნაძის "ნატა ანუ ახალი ჟიულის" პერიოდული გამოქვეყნება დაიწყო. რომანი დამთავრებული არ იყო და უკვე წამოვიდა რეცენზიების წვიმა (უმრავლესობა პოზიტიურ-სანტიმენტალური ტონით: ჩვენამდეც შემოაღწია 1968 წლის სიომ, მაგრამ...). თუმცა, რომანი წიგნის სახით მხოლოდ 2003 წელს გამოვიდა დღის სინათლეზე მასზე დაწერილი რეცენზიების სრული კრებულითურთ.

იქნებოდა სკანდალი, აბა რა, როცა წიგნის პირველივე გვერდის პირველივე აბზაცში ძველქართულად სახელდებულ გენიტალიებს "ასოსა" და "სარცხვინელს" ავტორი, არც მეტი, არც ნაკლები, ზუსტად ცხრაჯერ ახსენებდა, თანაც, ეპისტოლარული პათოსით შეპყრობილი 25 წლის ნატას პირით! ბუნებრივია, ეს ავტორმაც უწყოდა, თანაც, კარგად და, არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ მისი გარჯანი სწორედ აქეთკენაც იყო მიმართული.

მაგრამ რა მეთოდები და სტილისტური ხერხები გამოიყენა მან ამ მიზნის მისაღწევად? ეპისტოლარული რომანის ფაბულა, მოცემული ნიუ-იორკში მყოფი ნატასა და თბილისში დარჩენილი ლეოს მიმოწერის ფონზე; ძველ ქართულ ენაზე აჟღერებული სექსის თემა; ინტელექტუალურ-ფილოსოფიური დისკურსი, რომელიც ისეთ სიტყვებს აწყვილებს ერთმანეთთან, ტრანსცენდენტისა და ტრანსცენდენციის მკვლევარ ჰაიდეგერს ერთად ნამდვილად რომ არც დაესიზმრებოდა - თურმე ტრანსცენდენცია ანუ საკუთარი ფსიქოსომატური განსაზღვრულობის გარღვევა, არც მეტი, არც ნაკლები, სასქესო ორგანოებიდან იწყება და აქედან (კვლავაც სასქესო ორგანოებიდან) ადამიანს საკუთარი ინტოლოგიის გასაღებს აძლევს. მოკლედ, თანამედროვე ქართულ რომანში სექსო(პათო)ლოგისა და ფილოსოფოსის ლექსიკა დაწყვილებულა და შედეგადაც ასეთი ჰიბრიდები მოუცია.



თუმცა, ამ ჰიბრიდების როგორც საზრისობრივი კავშირი, ისე მათი ინტეგრაცია ძველ ქართულ დისკურსში (სტილის შესაშური დაცვის მიუხედავად), რბილად რომ ვთქვათ, მცირედ ხელოვნურია. ხელოვნურობაა, ალბათ, იმის მიზეზიც, რომ რამდენადაც არ უნდა მოსჩვენებოდათ მაშინდელ რეცენზენტებს იგი თანამედროვეობის გამოძახილად, მან მაინც ის შედეგი ვერ გამოიღო, რასაც ელოდნენ ანუ აურზაური დარჩა აურზაურად. აღარ ვიტყოდით, არაფრის გამოო, მაგრამ ფაქტია: მას არც ლოგიკური გაგრძელება მოჰყოლია და არც საზოგადოებაზე რეალური გავლენა.

არადა, რა ფოიერვერკი იდგა? გენიტალიები ძველქართულად, გენიტალიები ახალქართულად, გენიტალიები ევროპულად! რა ამბავიაო, იტყვით თქვენ, მაგრამ რომანს ხომ პრეტენზია აქვს, იმ ორი ადამიანის შესახებ მოგვითხროს, რომლებიც ჯერ "სულის ადამიანები" იყვნენ (განვითარების პირველი ეტაპი, როცა ღმერთმა ადამიანს სული ჩაბერა და ამით გამოარჩია სხვა ქმნილებათაგან), მერე "გულის ადამიანებად" იქცნენ (განმანათლებლობასა და რომანტიზმზე ორიენტირებული განვითარების სტადია), ბოლოს კი, "როცა ერთმანეთს საშინელი სისწრაფითა და მანძილით განშორდნენ", "გენიტალიის ადამიანები" გახდნენ. ასე უნდა გვამცნოს ავტორს ახალი ერის დასაწყისი, სადაც მარადიული "კოკა-კოლა და სექსია". მაგრამ სულის, გულის და გენიტალიის ადამიანობა, როგორც ფინალში ვიგებთ, გმირებს (და, ალბათ, ავტორსაც) ერთგვარ წრებრუნვადაც ესმით და როცა წრე იკვრება, იქ კვლავაც ყველაფერი განვითარების თავდაპირველი საფეხურიდან - სულის ადამიანის მდგომარეობიდან იწყება...

აღსანიშნავია ისიც, რომ ნატას წერის სტილად მარკირებული ძველი ქართული, რომლითაც იგი თითქოსდა საუკეთესოდ გამოხატავს საკუთარ თავს და საკუთარ ფესვებთანაც გრძნობს ორგანულ კავშირს, როგორც ნიუიორკული დღიურების აღწერისას, ისე ნატას ძველი დღიურის ამონარიდების მოყვანისას, ავტორს ნელ-ნელა ხელიდან ეცლება - რომანის დასასრულს კი ნატასა და ლეოს წერის მანერა ისე კარგავს ინდივიდუალობას და ემსგავსება ერთმანეთს, რომ უკვე ძნელია გაარკვიო, რომელი რომლისაა, მით უმეტეს, რომ თითოეული მათგანი მედიტაციაში ჩაფლულა და საკუთარი სულის (რომლითაც ისინი ასევე დამსგავსებიან ერთმანეთს და "მეტაფორულ და-ძმადაც" კი შეუფიცავთ თავი) გამოკვლევებით არიან დაკავებულნი.

ამასთან, თუ გულდასმით დაკვირდებით, ეს შემეცნება თუ ტრანსცენდენცია ნატასთვის უფროა დაკავშირებული გენიტალიასთან, ვიდრე ლეოსთვის. ამასთან, ის არის წყვილში სწორედ ურთიერთობის ტონის დამამკვიდრებელი - პირველია, რომელიც იწყებს გენიტალიით ტრანსცენდენციას და ამისკენვე უბიძგებს ლეოს; იგი იწყებს ჯერ ძველი, შემდეგ კი ახალი დღიურების ნაწყვეტების გზავნას და ლეოსაც ხან 8 წლის წინანდელი სიზმრების ჩანაწერების (ოო, როგორ გამოდგებოდა ისინი გეშტალტთეორიისთვის) და ხანაც ახალი რომანის ნაწყვეტების გაგზავნის იმპულსს აძლევს; ნატა არის ის, რომელიც არ ერიდება რისკზე შეაგდოს ურთიერთობა რეალური თუ მოჩვენებითი ღალატის გამო (კოსტარიკელი ჯეელის ისტორია) და თავდაპირველი დაბნეული გოგოსგან იგი ლეოს თავდაჯერებულ მენტორად იქცევა. მოკლედ, შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ეს ერთობ უკვე ფემინისტურიც კი არა, არამედ მასკულინური ცნობიერების ქალია და გასაკვირი მხოლოდ ის არის, საიდან შობა ამგვარი მასკულინიზმი ასეთი ჰაეროვანი და კეთილხმოვანი სახელის მქონე დიანა ვაჩნაძემ?

სასიყვარულო ეპისტოლეები კი სასიყვარულო ეპისტოლეებია, თუმცა, ეს შეიძლება ეპისტოლარულ სექსადაც კი იქცეს, მით უმეტეს, თუ აქ ტექნიკურ-ცივილიზაციური სიახლე - ვიბრატორიც - ჩაერთვება საქმეში, რომელსაც ნატა "ლეოს ასოს მულიაჟად" მოიხსენიებს. ეს ეპისტოლარული სექსი თუ სექსუალური ეპისტოლეები გმირებს გენიტალიების გარდა, ასე ვთქვათ, სულებსაც აშიშვლებინებს.

ამის გამო კი რეცენზიებში რამდენი რამ ითქვა უკვე მათი პლატონური სიყვარულის შესახებ! საიდან აღარ გაიზომა და აიწონა წერილობით მედიტაციაში ჩაფლული გმირების სიყვარულის წონა! მოკლედ, ავტორმა სწორად გათვალა და განმანათლებლობის ეპოქის თანამდევ რომანტიზმსა და ჟან-ჟაკ რუსოს "ჟიულის" ქართველი ნატა და მედიტირებული სექსი ან გასექსუალურებული მედიტაცია გადააფარა ახალ კულტურულ შრედ. თუმცა, მას, როგორც ჩანს, მხოლოდ ეს არ გაუთვლია - მან თავის გვარს ნაწარმოების სახელი "ნატა" მიუმატა და აქედან ათასნაირი ასოციაციური კონოტაციების შესაძლებლობები შექმნა კარგი მეხსიერების მქონე ადმიანისთვის: აკი ერთ-ერთი რეცენზიის ავტორი ნუგზარ მუზაშვილი დიანა ვაჩნაძეზე საუბრისას, ეტყობა, ნატო ვაჩნაძის სახით უფროა ინსპირირებული, როცა წერს, იგი, სავარაუდოდ, ალბათ, ახალგაზრდა და ერთობ მომხიბვლელი ქალბატონიც უნდა იყოსო. მოკლედ, დიანა ვაჩნაძეს გაცნობიერებული აქვს ქართული სილამაზის სიმბოლოსთან (არ დავწერ, სექს-სიმბოლოსთან-მეთქი, რადგან არა ვარ დარწმუნებული, რომ იმ დროს ჩვენში ამ სიტყვის არსებობა იცოდნენ) დამაკავშირებელი მისი გვარის ხმოვანება და რომანს ფრანგულ განმანათლებლობასთან დამაკავშირებელი "ახალი ჟიულის" გარდა "ნატასაც" არქმევს.

ალბათ, იკითხავთ, ეპისტოლარული ფორმის გარდა, განმანათლებლობასთან და რუსოსთან კიდევ რა აკავშირებს წიგნსო? ის, რომ განმანათლებლობა ცოდნას ესწრაფოდა და გმირებიც მისკენ ილტვიან: ისინი ტრანსცენდირებენ რა, იმეცნებენ - საკუთარ თავს, ერთმანეთს და საკუთარ გენიტალიებს (ნუდისტივით გაშიშვლებული ლეო საკუთარი პენისის შემეცნების შემდეგ დაასკვნის, რომ ის უსქესო არსებაა). ვგონებ, რომანის წერის ამ ეტაპზე უკვე საკმაო გავლენა მოახდინა დიანა ვაჩნაძეზე რეცენზიებში არაერთგზის გაჟღერებულმა პლატონურ სიყვარულთან და ანდროგენის მითთან ანალოგიებმა. ასე რომ, ლეოც ლამის ანდროგენს, მართალია, დროებით, მაგრამ მაინც დაამსგავსა ავტორმა.

რეცენზიების გავლენა ჯერ კიდევ წერის სტადიაში მყოფ ავტორზე არ არის გასაკვირი. თქვენ შეიძლება უფრო იმ ხალხის გაგიკვირდეთ, ვინც ერთმანეთში ურევს პლატონის "ნადიმში" არისტოფანეს პირით მოთხრობილ ანდროგენის მითსა და სოკრატეს პირით დეკლარირებულ სულიერი სიყვარულის კონცეფციას (რომელშიც, აქვე დავძენ, რომ სოკრატე და, შესაბამისად, პლატონი - ძველი საბერძნეთის გენდერული პრობლემების გამოისობითა და ჰეტერების გარდა ქალების, როგორც მხოლოდ გამრავლების ფუნქციის მატარებელ არსებებად მიჩნევის გამო - ჭეშმარიტ სულიერ სიყვარულად მხოლოდ ჰომოსექსუალისტურს გულისხმობდა).

რეცენზიებისა და რომანის ინტეგრაციის "სრულიად პოსტმოდერნისტულ აქტად" მიიჩნევს წიგნის რედაქტორი შოთა იათაშვილი ერთ-ერთი რეცენზენტის ხათუნა ხაბულიანის წიგნის ერთ-ერთ პერსონაჟად ქცევას. აქტი პოსტმოდერნისტულია, მაგრამ რამდენად ორიგინალური? ეს იმავე წლებში ჩვენს ეკრანებზე გამოსულ ემირ კუსტურიცას ფილმში "თეთრი და შავი კატები" ქორწილის სცენაში საჩუქრის მიმტანებს შორის თავად ემირ კუსტურიცას გამოცხადებას მაგონებს, ასევე მილან კუნდერას "უკვდავებასაც", სადაც მწერალი და გამოგონილი გმირები ერთ სივრცეში თანაარსებობენ და კიდევ, ვინ მოთვლის, რამდენი მსგავსი მაგალითი შეიძლება მოიძიოს დაინტერესებულმა ადამიანმა თანამედროვე ხელოვნებაში.

დე-ტაბიურებით შემართული დასაწყისი რომანს ნელ-ნელა ხელიდან ეცლება (ვგონებ, ამაში რომანის წერისა და გამოქვეყნების პროცესში ეტაპობრივად გამომავალმა რეცენზიებმაც ითამაშეს როლი) და იგი ერთობ რომანტიკულად სრულდება "იქნებ აჯობებს, ავიღო ბილეთი, ჩამოვფრინდე თბილისში და სანამ სულის ადამიანი ვარ, შენი პლატონური ცოლი გავხდე?" კითხულობს ნატა და პასუხადაც იღებს: "ჩამოფრინდი... გელოდები...". ასე კი ერთ-ერთ პირველ რეცენზიაში ქ-ნ ნაირა გელაშვილის მიერ ნაწინასწარმეტყველები თუ რეკომენდირებული ნატას კათარზისიც მიმოწერის ფინალურ აკორდად გვევლინება.

ასეა თუ ისე, ფაქტია, როგორც შოთა იათაშვილის მიერ შეთხზული წინასიტყვაობიდან გაიგებთ, წიგნს უკვე დაუმკვიდრებია რომანი-მოვლენის სახელი. თუმცა, ასეთი, ალბათ, იმას უფრო ეთქმის, რომელიც მხოლოდ წამიერად კი არ გაიელვებს, არამედ რეალობის ტრანსფორმაციასაც დაუდებს სათავეს და ახალი თაობისთვის ინპირაციის ძალის მატარებელი გახდება. ჯერჯერობით კი "ნატა ანუ ახალი ჟიულის" ხანმოკლე ლიტერატურული რეზონანსის გარდა სხვა არაფერი მოჰყოლია.

პროვოკაციული განცხადება

მელორ სტურუა
საკ. კორ. აშშ

ტკბილი უალკოჰოლო სასმელების მეწარმეებს დიდი დარტყმა მიაყენეს. ეს მთლად ნოკაუტი თუ არა, ნოკდაუნი მაინცაა. გოლიათები - "კოკა-კოლა" და "პეპსი-კოლა" - "ამერიკის სამედიცინო ასოციაციის" (Journal of the American Medical Assotiation) დავითმა დასცა. ამ ჟურნალმა ახლახან გამოაქვეყნა ადამიანის ჯანმრთელობაზე ტკბილი და დაშაქრული უალკოჰოლო სასმელების გავლენის რვაწლიანი კვლევის შედეგები. კვლევას ჰარვარდის უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სკოლის კვებისა და ეპიდემიოლოგიის სპეციალისტები აწარმოებდნენ. რვა წლის განმავლობაში ისინი აკვირდებოდნენ 52 ათას მედდას, რომლებიც ამ სასმელებს მეტ-ნაკლები რაოდენობით სვამდნენ. კვლევის კონტინგენტი სამედიცინო კვალიფიკაციის გათვალისწინებით იყო შერჩეული, რამაც გამოკვლევის სიზუსტე შეუდარებლად გაზარდა.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ტკბილი უალკოჰოლო სასმელების სმა არა მარტო გასუქებას უწყობს ხელს, არამედ დიაბეტის ნაციონალური ეპიდემიის გამომწვევი მიზეზიცაა (დიაბეტის ტიპი 2). ის, დაახლოებით, 17 მილიონ ამერიკელს აქვს შეყრილი. ავადმყოფობის ისტორიისა და მედდების "სმის ჩვევების" რვაწლიანი კვლევის შედეგად ექსპერტები იმ დასკვნამდე მივიდნენ, "რომ ტკბილი უალკოჰოლო სასმელების მიღებასა და წონის მომატებას, ასევე დიაბეტის რისკს შორის პოზიტიური ურთიერთკავშირია აღმოჩენილი, რისკის სხვა ცნობილი ფაქტორებისგან დამოუკიდებლად". კვლევაში ცნება "შაქარი" საგანგებოდ მოიცავს ფრუქტოზის შემცველ სიმინდის ვაჟინს, რომელიც ტკბილ უალკოჰოლო სასმელებში გამოიყენება. კვლევის განხორციელებას უკანასკნელი წლების განმავლობაში ჭარბი წონისა და დიაბეტ-2-ის დრამატულმა ზრდამ მისცა ბიძგი. აქ ამ დიაბეტს ზოგჯერ adult-onset diabetes უწოდებენ ხოლმე. დიაბეტის ეს ტიპი აშშ-ში დიაბეტით დაავადების 90,95 პროცენტს შეადგენს. დაავადებათა კონტროლისა და თავიდან აცილების ცენტრის მონაცემების თანახმად, 1992 წელს დიაბეტი-2-ით 6,5 მილიონი ამერიკელი იყო დაავადებული, 2002-ში - 12 მილიონზე ოდნავ მეტი, ამჟამად კი მათი რიცხვი 17 მილიონს შეადგენს.

მკვლევარებმა ერთმანეთს შეადარეს იმ მედდების ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომლებიც თვეში ტკბილი უალკოჰოლო სასმელების მხოლოდ ერთ ქილას ან ერთ სტანდარტულ ბოთლს სვამდნენ, და იმ მედდების ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომლებიც ტკბილ უალკოჰოლო სასმელს ყოველდღიურად ერთი ან მეტი ქილის ოდენობით იღებდნენ.

ტკბილი უალკოჰოლო სასმელების დიდმა ბიზნესმა, პირველ რიგში "კოკა-კოლამ" და "პეპსი-კოლამ", ჰარვარდის მკვლევარებს უმალვე შეუტია. მისმა გონებრივმა ცენტრმა, "ამერიკის სასმელების ასოციაციამ" განცხადება გააკეთა, რომელშიც ნათქვამია: "გაუგებარია, რატომ ამოიჩემეს კვლევის ავტორებმა მაინცდამაინც ტკბილი უალკოჰოლო სასმელები". ასოციაციის ვიცეპრეზიდენტმა რიჩარდ ადამსონმა მიუთითა, რომ არც ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტის და არც ამერიკის დიაბეტის ასოციაციის მიერ ტკბილი უალკოჰოლო სასმელებისა და შაქრის მიღება დიაბეტის გამომწვევ მიზეზად არაა დასახელებული. ჰარვარდის კვლევის შედეგებს ადამსონმა "უსაფუძვლო, პროვოკაციული განცხადება" უწოდა.

მაგრამ ეს "უსაფუძვლო, პროვოკაციული განცხადება" უდავო ფაქტებს ადასტურებს: მაღალკალორიული, მაგრამ ყოველგვარ სასარგებლო თვისებებს მოკლებული ტკბილი უალკოჰოლო სასმელები ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია იმისა, რომ ამერიკა "სქელდება" (დანარჩენი მიზეზებია "საავტომობილო კულტურა", ანუ მოძრაობის ნაკლებობა, "ფასტ ფუდი" - ჰამბურგერი, პიცა და

ა.შ., და ბუფეტები "რამდენსაც მოერევის" ტიპისა, ანუ "შვედური მაგიდა"). კოკას ან პეპსის ერთი ქილა 140-150 კალორიას შეიცავს, რაც 10 ჩაის კოვზი შაქრის ეკვივალენტია. ამჟამად "საშუალო ამერიკელი" წელიწადში 52,3 გალონ ტკბილ უალკოჰოლო სასმელს იღებს (Beverage Digest-ის მონაცემებით). შედარებისთვის: იგივე "საშუალო" იანკი წელიწადში 20,3 გალონ რძესა და 16,6 გალონ ბოთლის წყალს სვამს.

ტკბილი უალკოჰოლო სასმელების გიგანტები "ამერიკის სამედიცინო ასოციაციის ჟურნალის" პუბლიკაციამდე დიდი ხნით ადრეც ცდილობდნენ, მათ მიმართ კრიტიკა შეემცირებინათ. იმავე "კოკა-კოლამ" და "პეპსი-კოლამაც" ბოთლებში წყლისა და ფორთოხლის წვენისა და სხვა "სასარგებლო საკვები ნივთიერებების" ჩამოსხმაც დაიწყეს. ასეთი მიზანი აქვს, მაგალითად, "პეპსის" ახალ სამარკეტინგო კამპანიასაც - SmartSpot...

ჰარვარდულ კვლევას ეპიდემიოლოგიური ხასიათი აქვს. ეს ნიშნავს "წარსულში გადაშვებას", ანუ ადამიანთა დიდი ჯგუფის ქცევის შესწავლის საფუძველზე ცხოვრების წესსა და რისკის ფაქტორის დაკავშირების მცდელობას. ეპიდემიოლოგიური გამოკვლევები ლაბორატორიულებივით აბსოლუტური სიზუსტით არ გამოირჩევა და ზოგჯერ მცდარიც შეიძლება იყოს. მაგალითად, 1985 წელს ასეთი კვლევა მცდარ დასკვნამდე მივიდა, რომ ესტროგენის (Estrogen) მოხმარება ქალებისთვის სასარგებლოა. მაგრამ ჰარვარდის კვლევის შედეგები სავსებით ემთხვევა მონაცემებს დიაბეტით დაავადების რისკთან დაკავშირებით, რომელიც ადამიანთა ყოველ კატეგორიას ეხება - მათაც, ვინც უკვე უზომოდ სქელია, და მათაც, ვისაც სიმსუქნე არ აწუხებთ; მათაც, ვინც აქტიურ ცხოვრებას ეწევა, და მათაც, ვინც მხრთეძოზე არიან წამოწოლილი; მათაც, ვინც ბევრ "ტრანს-ფეტს" (Trans-fats) იღებს, და მათაც, ვინც ამას ერიდება ("ტრანს-ფეტი" მრავალ საკვებ პროდუქტში გამოიყენება და განსაკუთრებით მავნეა გულსისხლძარღვთა სისტემისთვის). ამგვარად, ჰარვარდის კვლევას სოლიდური სტატისტიკური სიმტკიცე აქვს. ის ნათელყოფს, რომ ქალებს, რომლებიც ყოველდღიურად სვამენ ტკბილ უალკოჰოლო სასმელებს, დიაბეტი-2 83 პროცენტით მეტად ემუქრებათ, ვიდრე "არამსმელებს". ხილის პუნშები ორჯერ მეტად ზრდის დიაბეტით დაავადების საფრთხეს, 100-პროცენტიანი ხილის წვენები კი უსაფრთხოა.

ზემოთ ნახსენები "ამერიკის სასმელების ასოციაციის" ვიცეპრეზიდენტი ადამსონი ტკბილი უალკოჰოლო სასმელების "გადარჩენას" ცდილობს და "ჩივის", რომ, სამწუხაროდ, მათი აქტიური მომხმარებლები ჭამის მოყვარულები და მწეველები არიან, ვინც ისედაც არაჯანსაღ ცხოვრებას ეწევიან - ანუ, ტკბილი უალკოჰოლო სასმელები თავისთავად არაფერშუაშია. თავის განცხადებაში ადამსონი ამტკიცებს: "კვლევების გულმოდგინე კითხვა ნათელჰყოფს, რომ ქალთა დიაბეტ-2-ით დაავადების რისკი ცხოვრების არაჯანსაღი წესითაა გაპირობებული და არა ტკბილი უალკოჰოლო სასმელების მოხმარებით".

მაგრამ ტკბილი უალკოჰოლო სასმელების ადვოკატთა ჩივილი უსაფუძვლოა, თუმცა, თავისთავად საინტერესოც შეიძლება იყოს. ჰარვარდის კვლევის ავტორები სულაც არ მალავენ იმ ფაქტს, რომ "ტკბილი უალკოჰოლო სასმელების მომხმარებლებს ფიზიკური მოძრაობის ნაკლებობა ახასიათებდათ. ისინი ეწეოდნენ, მეტ ენერგიას და ნაკლებ პროტეინებს იღებდნენ" და ა.შ. თუმცა, "არაჯანსაღი ცხოვრების წესის" გათვალისწინებითაც, საბოლოო დასკვნის გამოტანისას შედეგი მაინც იგივე იყო. შედეგები არ იცვლებოდა არც იმის შემდეგ, რაც კოფეინის, ჩვეულებრივ, ჰამბურგერთან ერთად მირთმეული "ფრენჩ ფრაისის" შემწვარი კარტოფილის, ხორცის, ტკბილეულის, ბოსტნეულისა და ხილის მოხმარება იქნა გათვალისწინებული. ბოსტონის უნივერსიტეტის პროფესორი კეროლაინ მ.აპოვიანი კვლევის ბოლოსიტყვაობაში წერს, რომ ის არის "ეფექტური, მეცნიერულად დასაბუთებული დასტური იმისა, რომ ტკბილი უალკოჰოლო სასმელების შემცველობაში არსებული ზედმეტი კალორიები პირდაპირ კავშირშია გასუქებისა და დიაბეტ-2-ის ეპიდემიასთან, ყოველ შემთხვევაში, შეერთებულ შტატებში მაინც".

და არა მარტო "ყოველ შემთხვევაში"...

ვენეციელი ვაჭარი ამაოების ბაზარში

თამარ ბაბუაძე

ამერიკულ კინოთეატრში მოხვედრა მაშინ, როცა მსხვილბიუჯეტიან ბლოკბასტერს უჩვენებენ, ორი ფილმის ერთად ნახვას ნიშნავს - ეკრანზე და დარბაზში. ეს ასეა, მით უფრო, თუ ე.წ. ახირებული მაყურებლის კატეგორიას მიეკუთვნებით - მრავალრიცხოვანი პუბლიკის რეაქციებზე დაკვირვებით უდიდეს სიამოვნებას რომ იღებს. განსაკუთრებული "კაიფი" ასეთ ახირებულ მაყურებელს მაშინ უდგება, როცა ერთი იდეალური კომბინაცია ერგება - ამერიკელი მაყურებელი პლუს ამერიკელების მიერ ეკრანიზებული მხატვრული ლიტერატურის მსოფლიო კლასიკა. მაგალითად, რამდენიმე ხნის წინ ანა კორძაია-სამადაშვილი იხსენებდა ერთ სრულიად გასაგიჟებელ შემთხვევას, როცა ნიუ იორკის კინოში ერთად ნახა ორი "ტროა", ერთი - ეკრანზე, ბრედ პიტით მთავარ როლში, მეორე - დარბაზში, მაყურებლის მონაწილეობით, უფრო სწორად, აქილევსისა და ჰექტორის მომხრეებად დაყოფილი მაყურებლის მონაწილეობით. დადგმა დარბაზშიც საკმაოდ მძაფრსიუჟეტიანი გამოსულა, სპეცეფექტებიც ყოფილა, აქილევსისა და ჰექტორის მომხრეებს კარაქიანი პოპკორნების უზარმაზარი კოლოფები და დიდი "კოკა-კოლები" დაუხლიათ ერთმანეთისთვის.

ამერიკულ კინოთეატრებში მიღებული მდიდრული გამოცდილებიდან მეც მახსენდება ერთი ყველაზე მასშტაბური შემთხვევა, თუ როგორ დავესწარი "ტიტანიკის" პრემიერას ერთ პატარა ამერიკულ კინოთეატრში. იქ, ალბათ, დარბაზის სიმცირემაც განაპირობა ის, რომ მთელი აუდიტორია ერთ მუშტად შეიკრა მუხთალი ბედისწერის წინააღმდეგ და დაუპირისპირდა ჯერ როუზის საძულველ საქმროს, მერე კი ოკეანის გაყინულ ტალღებს. ანგარიშმიუცემლად, პირდაპირ მუშტებით პირში ჩაყრილ და, სავარაუდოდ, კუჭში დაუღეჭავად გადასროლილ პოპკორნის მარცვლებს თან სდევდა მტანჯველი ოხვრები:

ჯერ: დახატავს ჯეკი როუზს, თუ შეუსწრებს ის საზიზღარი კაცი.

მერე: შვებით ამოსუნთქვა და დიდი ყლუპი კოკა-კოლა (მსუქნებს - დიეტური, აგზნებულებს - დეკაფინირებული - კიდევ კოფეინი უნდათ?) - დახატა, ვერ შეუსწრო.

ბოლოს: ჩაიძირება თუ არ ჩაიძირება "ტიტანიკი", გაიყინება თუ არა ჯეკი, გადარჩება თუ არა როუზი. ვაიმე! ვაიმეს მოყოლებული და ხახაში გადაძახებული მორიგი მუჭი დაუღეჭავი პოპკორნი. გაკარაქიანებული თითები. აწეული წნევა. გაღიზიანებული საცრემლე ჯირკვლები. სელინ დიონი.

სულ ბოლოს: ჩაიძირა. გაუთავებელი ტიტრები. ანთებული შუქი. ისევ სელინ დიონი. უხვად გახარჯული ადრენალინი და ემოციებისგან არაქათგამოცლილი დუმილი...

იმ საღამოს ტიროდა ყველა - მუშტად შეკრული ცხიმიანი თითებით და პოპკორნისგან ატკიებული კუჭებით, ტიროდა გვერდით მჯდომი გეი წყვილიც, ოღონდ კარგად ვერ გავიგე, რაზე - ზოგადად, განწირული სიყვარულის იდეაზე, თუ "ტიტანიკზე" მყოფი არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონე მამაკაცებზე. არ ვტიროდით მხოლოდ მე და ჩემი "არატრადიციული ამერიკული ორიენტაციის მქონე" მეგობარი მიშელი, არ ვტიროდით და გასასვლელისკენ სუნთქვაშეკრულები მივიპარებოდით...

მოკლედ, მახსენდება ჩემიც, ანასიც, სხვისიც და ვასკვნი: რა შესანიშნავია, ჰოლივუდის კინომანქანა არასდროს რომ არ ჩერდება და მსხვილბიუჯეტიან ბლოკბასტერებს, გრანდიოზულ პროექტებს, მძაფრსიუჟეტიან ფანტასტიკებს თუ ფსიქოლოგიურ თრილერებს კვლავაც ისე გატაცებით რომ ფქვავს, როგორც ძველად, წისქვილში ხორბლის მარცვლებთან ერთად ჩამოიფქვებოდა ხოლმე ზღაპარი. კინომანქანა არ ჩერდება და კრებაც მხიარული რჩება - როუზის გაფრენა-არგაფრენაზე და ტროას დაცემა-არდაცემაზე ატირებული მაყურებელიც ბედნიერია და მეორეც - ზევით ახირებული რომ ვუწოდეთ. და თუ ორივე მხარე ბედნიერია, მაშინ რაღას ვაჯანჯლებთ ამდენს, ამ მემუარულ ტალღას არ ჯობია, ჰოლივუდის ახალ და სამომავლო ზღაპრებზე ვისაუბროთ?

უნდა მოგახსენოთ, რომ ტრადიცია არც წლეულს დაირღვევა. კინომანქანა მსოფლიო ლიტერატურის კლასიკას არ ეშვება! რამდენიმე წლის წინათ გადაკეთებულ, უფრო ზუსტად კი, ალბათ, "გარემიქსებულ" "რომეო და ჯულიეტას" (ქლერ დეინსი და ლეონარდო დი კაპრიო) მალე "მაკბეტი" მოჰყვება. განსხვავება მხოლოდ ერთშია - თუ აქამდე კლასიკოსებს მხოლოდ ჰოლივუდი უტევდა, ახლა დარტყმას იგივე შექსპირი ზურგიდან - ავსტრალიიდან მიიღებს. თავდასხმაზე გადადის

ალ პაჩინო "ვენეციელ ვაჭარში" - 2004 წლის ჰოლივუდის მთავარი ინტრიგა.

"ამაოების ბაზარს" ქერა ლამაზმანის, რის უოთერსპუნის წყალობით გარეგნული მშვენება არ აკლია.

ჯოფრი ვრაითი, ავსტრალიელი რეჟისორი, რომლის 1992 წლის ფილმმა Romper Stomper ახალგაზრდა და უცნობ რასელ ქროუს გაუკაფა გზა დიდებისკენ.

ვრაითი "მაკბეტს" ისეთ დღეს დააწევს, როგორშიც შექსპირს მსოფლიოს სხვადასხვა სცენაზე ხშირად აგდებენ ხოლმე - ჰამლეტი პანკი გამოჰყავთ, ოტელოს რეპს ამღერებენ. ავსტრალიელი მაკბეტიც 21-ე საუკუნის სამხრეთავსტრალიურ ქალაქ მელბურნში იცხოვრებს, ქუჩის ბანდების საქმეების გარჩევის ფონზე. თუმცა, პროდიუსერი მარტინ ფაბინი გვამშვიდებს, რომ ფილმი მხოლოდ მელბურნის ამბებზე დაფუძნებული არ იქნება, ანუ, შექსპირი მასში მცირე დოზებით მაინც იქნება შენარჩუნებული. სხვა მხრივ, კი, რა გითხრათ - მაკბეტი მელბურნის ქუჩებში ისეირნებს, ძველბიჭურ გარჩევებს დაესწრება და იზრუნებს იმაზე, რომ ფილმმა მკვეთრი პარალელები გაავლოს მელბურნის ბანდებს შორის ბოლო წლებში მომხდარ სისხლიან შეტაკებებთან.

ფილმის პროდიუსერი იმედოვნებს, რომ გადაღებებს 2005 წლის ბოლომდე დაასრულებენ, მაგრამ თან წინასწარ იზღვევს თავს და აცხადებს, რომ სურათის გარშემო, ალბათ, მწვავე კამათი ატყდება, რადგან თვითონ "მაკბეტის" თემებია უნივერსალური - ძალაუფლება, სიხარბე, შურისძიება... მოკლედ, დაველოდოთ 2005 წელს, მანამდე, იმედია, სიმინდის მოსავალი ამერიკაში არ მოიკლებს და პოპკორნის ტომრებიც არ გამოილევა.

ეს რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, მანამდე კი დარტყმას მხატვრული ლიტერატურის კლასიკაზე კვლავ ჰოლივუდი განახორციელებს. ამაოების ამერიკულ ბაზარში უილიამ თეკერეის "ამაოების ბაზარს" ათამაშებენ. მთავარ როლს მე-19 საუკუნის რომანში ახალგაზრდა ქერა ჰოლივუდელი რიზ უითერსპუნი ასრულებს. ფილმი ვენეციის კინოფესტივალზეც აჩვენეს. როგორც "ესშიეიტიდ პრესის" ჟურნალისტი გვიამბობს, ხალხმა ტაში კი დაუკრა, მაგრამ აპლოდისმენტებს მქუხარეს მაინც ვერ დავარქმევდით. შესაბამისად, ამაო იქნება, ვივარაუდოთ, რომ "ამაოების ბაზარი" ოქროს ლომის მთავარი პრეტენდენტი იქნება. მეტიც, იმავე ჟურნალისტის აზრით, ფილმად "ამაოების ბაზარი" არ ვარგა. შედეგი ზედმეტად ნაჩქარევი და მოსაწყენია. ამიტომ მაყურებელს ნამდვილად შვებას მოჰგვრის ფილმის ერთი გადამწყვეტი ეპიზოდი, როცა ეკრანის ქვედა ნაწილში დამამშვიდებელი წარწერა ჩნდება - "12 წლის შემდეგ"...

არავინ იცის, რა ფასეულობებს გაავრცელებს 12 წლის შემდეგ ამაოების ამერიკული ბაზარი - ჰოლივუდი, მაგრამ ფაქტია, რომ ხანდახან იქაურ წისქვილში ისეთი ფილმებიც "იფქვება", ახირებული მაყურებლის ყურადღებას სხვა კუთხით რომ იპყრობს და პოპკორნი+შოუჭამია აუდიტორიაზე "კაიფის" ნაცვლად მათ ფიქრისკენ რომ მოუწოდებს.

სავარაუდოდ, სწორედ ასეთი ფილმი უნდა იყოს მაიკლ რედფორდის "ვენეციელი ვაჭარი". სურათი ვენეციის კინოფესტივალზე კონკურსგარეშე პროგრამით უჩვენეს. მასში ისეთი სანდო და პატივსაცემი მსახიობების მთელი დასი თამაშობს, რომ ცხვირის აბზუებას ვერც ყველაზე ახირებული მაყურებლები გაბედავენ. აქ არიან ალ პაჩინო, ჯერემი აირონსი და ჯოზეფ ფაინსი - ყოფილი შეყვარებული შექსპირი.

დამსახურებული კაცი ჩანს თავად რეჟისორიც: მაიკლ რედფორდი დელიში დაბადებულა, ახლო აღმოსავლეთში გაუტარებია ბავშვობა, შემდეგ ოქსფორდში გაუგრძელებია სწავლა. მხატვრულ კინოში მოსვლამდე იღებდა დოკუმენტურ და საგამომძიებლო სურათებს "ბი ბი სი"-სთვის. მისი "ვენეციელი ვაჭრის" ნახვის არ უნდა შეგვეშინდეს არც იმიტომ, რომ ეს მისი პირველი შეხება არ არის კლასიკასთან. სანამ შაილოკს მიიდგებოდა, მაიკლ რედფორდს 1984 წელს ჯორჯ ორველის რომანი გადაუკეთებია და Nineteen Eighty-Four გადაუღია, რომელშიც რიჩარდ ბარტონი და ჯონ ჰარტი თამაშობდნენ.

აი, რას ამბობს თავად რედფორდი "ვენეციელი ვაჭრის" შესახებ:

"...სულაც არ მსურდა, რომ შექსპირი თანამედროვე სანელებლებით შემეზავებინა, რადგან ვფიქრობ, თუ ნაწარმოებს ისტორიულ კონტექსტს აცლი, სინამდვილეში სულ სხვა რაღაცის გაკეთებას ცდილობ. შექსპირს ხომ თავისი ფესვები ერთ კონკრეტულ კულტურაში აქვს გადგმული, ვგულისხმობ მე-16 საუკუნის ინგლისს, ამიტომაც უაზროდ მეჩვენება იგივე დაშნების პისტოლეტებით შეცვლა. თუ ამ ხაზს გავყვებით და შექსპირის დროინდელ საზოგადოებას ჩავეძიებით, მიხვდებით, რომ კაცობრიობა ბოლო ოთხასი წლის განმავლობაში სულაც არ შეცვლილა". - ძლივს არ გავიგეთ სერიოზული განაცხადი ჰოლივუდიდან ისეთი საპასუხისმგებლო საკითხის შესახებ, როგორიც შექსპირია? ხოლო ალ პაჩინოს, მოდი, ვენდოთ და ვაღიაროთ, რომ ამ გამორჩეულად ნიჭიერ ჰოლივუდელს "ნაიარევი სახის" გავლენიდან გამოსვლა და შაილოკის ტყავის მორგება არ გაუჭირდებოდა.

ასე რომ, არც ისე დაღუპულადაა საქმე, როგორც პესიმისტ ახირებულებს ჰგონიათ. სანახაობად ქცეული "მაკბეტის" გამოსვლამდე ხომ სულის მოთქმა ისეთი კარგი გამონაკლისებითაა შესაძლებელი, როგორიც იგივე "ვენეციელი ვაჭარი" ჩანს. ესეც რომ არა, კარგი იმიტომაა კარგი, რომ ბევრი არაა - გაცვეთილი და ყველას მიერ აღქმულ-განცდილი. კარგს ხომ სიკარგეს მისი ღირსებების ინტიმურად, მარტო აღქმა და გათავისება ჰმატებს... ესეც ასე - ფილოსოფიური სენტენციებით გემშვიდობებით, მომავალ პოპკორნამდე.

მოკლედ

ჩემპიონთა ლიგა მდიდრდება

ჩემპიონთა ლიგის 2004-2005 წლების გათამაშებიდან უეფას შემოსავლები შარშანდელთან შედარებით 19 მილიონი ევროთი გაიზრდება. ტურნირის წესდების თანახმად, ამ შემოსავლის 75 პროცენტი - გაყიდული ტელეტრანსლაციებისა და კომერციული უფლებების შემოსავლებიდან ჩემპიონთა ლიგის მონაწილე 32 გუნდს შორის გადანაწილდება. მაქსიმალურად შესაძლებელი საერთო შემოსავალი კი 519 მილიონ ევროს შეადგენს.

დარჩენილი 25 პროცენტი უეფას საშუალებას მისცემს, გადაიხადოს ყველა ორგანიზაციული და ადმინისტრაციული ხარჯი.

ჩემპიონთა ლიგის სასტარტო პულის ზომა 2004-2005 წლების სეზონში 584 მილიონი ევრო იქნება. 580 მილიონ ევროს უეფას მოუტანს სატელევიზიო და კომერციული უფლებების რეალიზაცია, ხოლო 4 მილიონს - კონტრაქტები მედიასთან (ორი მილიონი კლუბებს შორის განაწილდება. კიდევ ორი მილიონი კი ევროპული ფეხბურთის განვითარებას მოხმარდება).

2003 წელს ჩემპიონთა ლიგიდან შემოსული საერთო თანხა 565 მილიონი ევრო იყო.

"ნიუკასლი" "ბლექბერნის" ნაცვლად

გრემ სუნესმა დატოვა "ბლექბერნ როვერსის" მთავარი მწვრთნელის პოსტი იმ მიზნით, რომ სათავეში ჩაუდგეს "ნიუკასლ იუნაიტედს". "ნიუკასლი" ეძებდა ბობი რობსონის შემცვლელს, რომელიც წინა კვირაში გადადგა თანამდებობიდან. 51 წლის სუნესმა "ბლექბერნში" 2000 წელს დაიწყო მოღვაწეობა. გუნდი პრემიერლიგაში გადაიყვანა და 2002 წელს ინგლისის ლიგის თასი მოიგო.

სუნესი ახალ კლუბში თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგება მომავალი ორშაბათიდან, როცა უკვე გამართული იქნება მატჩი "ნიუკასლი"-"ბლექბერნი". ეს მატჩი შაბათს გაიმართება. სუნესის ახალმა გუნდმა ინგლისის ჩემპიონატის ოთხ ტურში მხოლოდ ორი ქულა აიღო. 16 სექტემბერს კი უეფას თასის გათამაშებაში ისრაელის "ჰაპოელს" შეხვდება.

შოტლანდიის ნაკრების ექსფეხბურთელმა და ინგლისის "ლივერპულის" შემადგენლობაში ჩემპიონთა თასის სამგზის მფლობელმა სამწვრთნელო კარიერა 1986 წელს "გლაზგო რეინჯერსში" დაიწყო. ხუთი წლის შემდეგ "ლივერპული" ჩაიბარა. მის სამწვრთნელო წიგნაკში აგრეთვე ფიგურირებენ "გალათასარაი", "საუთჰემპტონი", "ტორინო" და "ბენფიკა".

ფეხბურთი

ერიქსონის გათავისუფლება 14 მილიონი დოლარი ღირს

ჰაატა თოთაძე

სიმენის არ იყოს, ინგლისის ნაკრებში ერიქსონის პერსპექტივასაც წყალი შეუდგა.

ხვალ ინგლისის ნაკრები, შესაძლოა, უმწვრთნელოდ დარჩეს. ავსტრიასთან ნათამაშებმა ფრემ იმდენად გააღიზიანა ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის ხელმძღვანელობა, რომ საქვეყნოდ ათქმევინა: პოლონეთთან წარუმატებლობის შემთხვევაში ერიქსონს შეუძლია, მეორე დღეს სამუშაოდ აღარ მოვიდეს, რადგან უკვე გათავისუფლებული იქნება თანამდებობიდანო.

ჩანს, ინგლისური ფეხბურთის მმართველებმა სერიოზულად გადაწყვიტეს, ერიქსონთან საქმიანი ურთიერთობა გაწყვიტონ. ასე რომ არ იყოს, ასეთ განცხადებას არ გააკეთებდნენ. შვედი სპეციალისტი ჯერ ნორმალურად გონს არ მოსულა ცოტა ხნის წინათ ატეხილი სკანდალის გამო და კიდევ ერთხელ ემუქრებიან, თანამდებობას დაგატოვებინებთო. იმ სკანდალს, რომელიც შვედის ამურულ ისტორიებს ეხებოდა ასოციაციის მდივან ფარია ალამთან, ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი და პრესმდივანი შეეწირა. ახლა კი, ჩანს, ასოციაციის ხელმძღვანელობას გადაწყვეტილი აქვს, თავად შვედ სპეციალისტს შეელიოს.

"ჯერჯერობით ჩემს გადადგომაზე ან თანამდებობიდან გათავისუფლებაზე საუბარი ნაადრევია. ავსტრიაში შემთხვევით დავკარგეთ ორი ქულა. ასეთი რამ ყველა გუნდს შეიძლება დაემართოს და ამის გამო მწვრთნელის კომპეტენტურობაზე საუბარი საცილოა", - ჟურნალისტებთან საუბარში აცხადებდა ერიქსონი. ფრედ კი, მართლაც, შემთხვევით ითამაშეს "ლომებმა". მატჩის დასრულებამდე ინგლისელები 2:0-ს იგებდნენ, მაგრამ მეკარე ჯეიმსის მიერ დაშვებულმა შეცდომამ ავსტრიელებს საშინაო მატჩში ქულა მოაპოვებინა.

ასოციაციის ხელმძღვანელთა განცხადებით, სეზონის წინ განსაზღვრულ გეგმაში პირველი ორი მატჩის შემდეგ ინგლისის ნაკრებს, სულ მცირე, ოთხი ქულა უნდა ჰქონოდა. "ჩვენ ავსტრიაში მოგებას, ხოლო პოლონეთში ფრეს ვგეგმავდით. ახლა კი, რაკი ავსტრიაში ფრედ ვითამაშეთ, პოლონეთში აუცილებლად უნდა მოვიგოთ", - განაცხადა ასოციაციის წარმომადგენელმა. არადა, პოლონეთის ნაკრები დღეს ნამდვილად არაა ისეთი გუნდი, რომ ინგლისის ნაკრები მასთან უეჭველ მოგებას გეგმავდეს.

"კაბინეტიდან საუბარი ადვილია. დაგეგმვაც ძალიან მარტივი საქმეა, იმას მოვუგოთ, ამას ქულა ავართვათ. ქაღალდზე ყველაფერი მარტივად გამოდის, საქმეში კი სულ სხვაგვარადაა. ფეხბურთი თამაშია, რომელშიც ხან იგებ, ხან აგებ. შაბათს ჩვენ არ გაგვიმართლა, სამაგიეროდ სხვა მატჩში გაგვიმართლებს. ტაქტიკის შეცვლას არ ვაპირებ. ვითამაშებთ ისე, როგორც ავსტრიაში ვითამაშეთ და წარმატებასაც მივაღწევთ", - თქვა ერიქსონმა.

ამ განცხადებამ კიდევ უფრო გააღიზიანა ასოციაციის ხელმძღვანელობა. როგორც გაირკვა, მათ არ ესიამოვნათ საუბარი იღბალზე. "იღბალი ძლიერებს სწყალობთ. ინგლისის ნაკრები არაა ის გუნდი, მხოლოდ გამართლებაზე იყოს დამოკიდებული. ასეთი რამ დაუშვებელია", - ესეც ასოციაციის წარმომადგენლის სიტყვებია.

ამგვარი განცხადების მიუხედავად, ინგლისური გაზეთები ვარაუდობენ, რომ ერიქსონის თანამდებობიდან გათავისუფლებაზე ასოციაცია ამჯერად თავს შეიკავებს. ჯერ ერთი, შვედი, მართლაც, არაა ცუდი სპეციალისტი, მეორე საკითხი კი ფინანსებს ეხება. კონტრაქტში არის ერთი მუხლი, რომელიც შვედის თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში, მისთვის კომპენსაციის სახით 14 მილიონი გირვანქის გადახდას ითვალისწინებს. როგორც ამბობენ, ასოციაციას არა აქვს იმდენი სახსრები, ერიქსონს კომპენსაცია გადაუხადოს, ახალ მწვრთნელს კი - ხელფასი. სწორედ ესაა მიზეზი, რომ ასოციაციამ ადვოკატებს მიმართა, რათა მათ მოძებნონ გზები ერიქსონისთვის საკომპენსაციო თანხის შესამცირებლად.

გამოუვათ თუ არა, ამას დრო გვიჩვენებს. როგორც ინგლისური საინფორმაციო წყაროები ამბობენ, ასოციაციას ამის დიდი იმედი არ უნდა ჰქონდეს. ერიქსონი კი თანამდებობის დატოვებას არ აპირებს. იქნებ ასე ჯობდეს...

ხელს ნუ ახლებთ გენიტალიას!

ესპანეთის "ესპანიოლის" ნახევარმცველმა ივან დე ლა პენიამ ყველაზე კურიოზული გაძევება გამოიმუშავა ფეხბურთის ისტორიაში. სულ რაღაც ორი წუთის განმავლობაში დე ლა პენიამ ორი ყვითელი ბარათი მიიღო და მინდორი დატოვა. ესპანეთის ჩემპიონატის მატჩში "დეპორტივოს" წინააღმდეგ 28 წლის ნახევარმცველმა პირველი ყვითელი ბარათი უხეშობისთვის მიიღო და არც გაუპროტესტებია, მაგრამ მეორე ყვითელი ბარათის გამო გაოგნებული დარჩა ყველა - გულშემატკივარიც და ფეხბურთის სპეციალისტიც.

თუმცა, მოგვიანებით ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ ამ საკითხთან დაკავშირებით ოფიციალური ინფორმაცია გავრცელა, რამაც საქმეს ნათელი მოჰფინა. აღმოჩნდა, რომ მეორე გაფრთხილება დე ლა პენიამ მსაჯთან კამათის დროს მიიღო. ამ დროს ის გენიტალიაზე იკიდებდა ხელს. ეს კი ესპანეთში პროტესტს ნიშნავს.

შარაპოვა ნაკრებში ისევ არ გამოიძახეს

ფედერაციის თასის ფინალური, "ოთხთა ტურნირის" დაწყებამდე ორთვენახევრით ადრე რუსეთის ნაკრების კაპიტანმა შამილ ტარპიშევმა რუსეთის გუნდის შემადგენლობა დაასახელა. ანასტასია მისკინა, ვერა ზვონარევა, სვეტლანა კუზნეცოვა და ელენა ლიხოვცევა. ასეთია ტარპიშევის რჩეულთა ნუსხა.

"სწორედ ეს ჩოგბურთელები თამაშობდნენ ფედერაციის თასის პირველ და მეორე ეტაპებზე ავსტრალიისა და არგენტინის წინააღმდეგ. ამიტომ ფინალში თამაშიც მათ დაიმსახურეს. 24-28 ნოემბერს მოსკოვში ჩვენი მეტოქეები იქნებიან საფრანგეთი, ავსტრია და ნიდერლანდები", - განაცხადა შამილ ტარპიშევმა. მოსკოვმა და რუსეთის ჩოგბურთის ფედერაციამ მიიღო პრივილეგია, ზედიზედ მეორედ უმასპინძლოს "ოთხთა ტურნირს" და, შესაბამისად, რუსებმა მიიღეს შანსი, გუნდურ ასპარეზობაში ქალთა ჩოგბურთის ყველაზე მაღალი ჯილდო მოიგონ.

ფორმულა 1-ის ეტაპები გაიზრდება

გამოქვეყნდა ფორმულა 1-ის 2005 წლის რბოლების წინასწარი კალენდარი. შეგახსენებთ, რომ წლეულს ფორმულა 1-ში რბოლების არნახული რაოდენობა - 18 იყო, მაგრამ მომავალში მათი რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება და 19 მიაღწევს. ზედმეტი ეტაპი მას შემდეგ გამოჩნდა, რაც გრან-პრის მარაქაში გაერია თურქეთი, რომელიც მანამდე სამეფო რბოლებში არასოდეს მონაწილეობდა.

წინასწარი კალენდარი, ბუნებრივია, ჯერ კიდევ საბოლოო არ არის და მასში შეიძლება ცვლილებები შევიდეს. ამის შემდეგ კალენდარს რატიფიცირება ავტოსპორტის მსოფლიო საბჭომ უნდა გაუკეთოს. ამ კალენდრის მიხედვით თურქეთის გრან-პრი 31 ივლისისთვის არის დაგეგმილი. ამის შემდეგ ფორმულაში დადგება ერთადერთი სამკვირიანი შესვენების პერიოდი, რის შემდეგაც უნგრეთის გრან-პრი ჩატარდება.

1. 6 მარტი.	ავსტრალია.	მელბურნი
2. 20 მარტი.	მალაიზია.	კუალა-ლუმპური
3. 3 აპრილი.	ბაჰრეინი.	სახირი
4. 17 აპრილი.	სან-მარინო (იმოლა).	იტალია
5. 24 აპრილი.	ევროპა (ნიურბურგი).	გერმანია
6. 8 მაისი.	სპანეთი.	ბარსელონა
7. 22 მაისი.	მონაკო.	მონტე-კარლო
8. 5 ივნისი.	კანადა.	მონრეალი
9. 12 ივნისი.	აშშ.	ინდიანაპოლისი
10. 26 ივნისი.	საფრანგეთი.	ნევერი
11. 3 ივლისი.	დიდი ბრიტანეთი.	სილვერსტოუნი
12. 17 ივლისი.	გერმანია.	ჰოკენჰაიმი
13. 31 ივლისი.	თურქეთი.	სტამბული
14. 21 აგვისტო.	უნგრეთი.	ბუდაპეშტი
15. 4 სექტემბერი.	ბელგია.	სპა
16. 11 სექტემბერი.	იტალია.	მონცა
17. 25 სექტემბერი.	ჩინეთი.	შანხაი
18. 9 ოქტომბერი.	იაპონია.	სუძუკა
19. 23 ოქტომბერი.	ბრაზილია.	სან-პაულუ

სკანდალი იტალიურად

"უდინეზე" "იუვენტუსს" სასამართლოთი ემუქრება

ჰაატა თოთაძე

"იუვენტუსმა" ცსკა–ში იანკულოვსკის ტრანსფერი ჩაშალა.

იტალიურ ფეხბურთში ახალი სკანდალი მწიფდება. სიტყვა "სკანდალი", შესაძლოა, ხმამაღალი ნათქვამია, მაგრამ, როგორც "უდინეზეს" ხელმძღვანელობა ირწმუნება, ვითარება სწორედ წინასასკანდალოა. საქმე "უდინეზედან" მოსკოვის ცსკა-ში მარეკ იანკულოვსკის განუხორციელებელ ტრანსფერს ეხება.

ინფორმაცია იანკულოვსკის მოსკოვში შესაძლო გადაბარგების შესახებ დაახლოებით ორი კვირის წინათ გაჩნდა. ამ წყაროს მიხედვით, არმიელთა პრეზიდენტი ევგენი გინერი მზად იყო, ჩეხი მცველის სანაცვლოდ 12 მილიონი ევრო გაეღო. განხორციელების შემთხვევაში ეს რუსული ფეხბურთის სარეკორდო ტრანსფერი იქნებოდა. თავდაპირველად რუსეთში გადასვლა თავად ფეხბურთელმა იუარა. "იქ ახლა მხოლოდ იდიოტი თუ წავა", - განაცხადა იანკულოვსკიმ. ამის შემდეგ ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე, რომ ჩეხის ტრანსფერი შეიძლებოდა განხორციელებულიყო. თუმცა, ცოტა ხნის შემდეგ გაჩნდა ინფორმაცია, რომ კლუბების ხელმძღვანელებმა საბოლოოდ მოილაპარაკეს და ფეხბურთელი დაიყოლიეს. თანხაც კი დაასახელეს. ამჯერად ორჯერ ნაკლები, 6 მილიონი, თუმცა, ყველა ირწმუნებოდა, რომ არმიელები გაცილებით მეტს იხდიდნენ, უბრალოდ, ამის გახმაურება არ უნდოდათ. ამგვარი ინფორმაცია იტალიური კლუბის ოფიციალურ ვებ-გვერდზეც გამოჩნდა. ასე რომ, ყველა იანკულოვსკის ცსკა-ში გადასვლაზე ალაპარაკდა, მაგრამ...

უკვე კარგა ხანია, ჩეხი მცველისადმი ტურინის "იუვენტუსი" იჩენს ინტერესს. ტურინელებს მისი ყიდვა შარშანაც უნდოდათ, მაგრამ "უდინეზესთან" სატრანსფერო თანხაზე ვერ შეთანხმდნენ. ახლა კი, როცა ფეხბურთელის გაყიდვის საშიშროება გაჩნდა, კლუბის დაუკითხავად მასთან იჯარაზე გააბეს საუბარი.

"იუვენტუსმა" სატრანსფერო ბაზრის წესები დაარღვია. მან იანკულოვსკისთან მაშინ დაიწყო იჯარაზე საუბარი, როცა მე ცსკა-ს პრეზიდენტთან შევთანხმდი ყველაფერზე. ყველაზე სასაცილო კი ისაა, რომ იანკულოვსკის აგენტი "იუვენტუსის" პრეზიდენტის ლუჩანო მოჯის შვილია. ვფიქრობ, ამით ყველაფერია ნათქვამი. ბუნებრივია, ამ საქმის ასე დატოვებას არ ვაპირებ. ლუჩანო მოჯის სასამართლოში ვუჩივლებ და სატრანსფერო ბაზარზე მის ყველა ნამოქმედარს გამოვამზეურებ. ვნახოთ, ამის შემდეგ როგორ მოიქცევა", - ჟურნალისტების წინაშე აღშფოთებას ვერ მალავდა "უდინეზეს" პრეზიდენტი ჯანპაოლო მოცო.

კომენტარი რუსეთში მომუშავე ნევიო სკალამაც გააკეთა. მისი თქმით, დასავლეთევროპელი კაცისთვის რუსეთი მიმზიდველი ქვეყანა არ არის. მით უმეტეს, არ არის მიმზიდველი ის ფეხბურთელისთვის, რომელსაც სხვადასხვა ქვეყნის არაერთი წამყვანი კლუბი ეპატიჟება. "როგორც ჩანს, მან, უბრალოდ, ვერ გარისკა აქ ჩამოსვლა, თუმცა, ვფიქრობ, ამით არაფერს წააგებდა", - განაცხადა სკალამ.

ჯერჯერობით არანაირ განცხადებას არ აკეთებს ევგენი გინერი. მისი თქმით, ტრანსფერი არ შედგა და ამას აღარაფერი ეშველება. "არა უშავს, რაკი ჩვენ მის გარეშე შევძელით ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გასვლა, იქ თამაშსაც შევძლებთ. ბუნებრივია, უკეთესი იქნებოდა, ჩვენთან ეთამაშა, თუმცა, ამის გამო ყურების ჩამოყრა არ ღირს", - აღნიშნა არმიელთა პრეზიდენტმა.

რუსული საინფორმაციო წყაროების მიერ გუშინ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იანკულოვსკის მოსკოვში გადასვლა დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. შესაძლოა, რუსეთში ის ზამთრის სატრანსფერო პერიოდში გადავიდეს. ყოველ შემთხვევაში, ამის სურვილი "უდინეზესაც" აქვს და ცსკა-საც. არჩევანი ფეხბურთელზეა.

ჰოკეი

აშშ და ფინეთი წამყვან მოთამაშეებს კარგავს

გრძელდება მსოფლიო თასის გათამაშება ჰოკეიში. არეულობაა ფინეთისა და აშშ-ის გუნდებში. აშშ-ის ნაკრების ფორვარდმა ბრეტ ჰალმა კვირას გუნდის ვარჯიში სხვებზე 10 წუთით ადრე დატოვა. 40 წლის ჰოკეისტის უკმაყოფილება გამოიწვია იმან, რომ ის ჩართეს სათადარიგო მოთამაშეთა სამეულში, თანაც, ისეთში, რომელიც მომავალ მატჩს რუსეთის ნაკრების წინააღმდეგ არ ითამაშებს.

ჯერჯერობით ჰოკეის ნაციონალური ასოციაციის ისტორიაში რიგით მესამე სნაიპერი ტურნირზე არცთუ ისე დამაჯერებლად გამოიყურება. ჰალს აშკარად არ გამოუვიდა რუსებთან თამაში ჯგუფურ ეტაპზე, რომელიც ამერიკელებმა - 1:3 წააგეს. ამის შემდეგ გუნდის მწვრთნელმა რონ უილსონმა ვეტერანი ჰოკეისტი არ შეიყვანა სლოვაკებთან მატჩის განაცხადში და ამერიკელებმა ის მატჩი მოიგეს.

ვარჯიშიდან გასულმა ჰალმა კატეგორიული უარი განაცხადა ინტერვიუზე და საკმაოდ უხეშად დაამატა, რომ ამიერიდან მას არ აინტერესებს გულშემატკივრებთან ურთიერთობა. რაც შეეხება მწვრთნელს, შეკითხვაზე, ითამაშებს თუ არა ჰალი მეოთხედფინალურ მატჩში რუსეთის წინააღმდეგ, მან პირდაპირი პასუხისგან თავი შეიკავა. მხოლოდ აღნიშნა, რომ გუნდის შემადგენლობას თამაშის დღეს, დილით დაასახელებს.

ჰოკეისტის პარტნიორებიც ერიდებიან სიტუაციის დრამატიზებას. "ლოგიკურია, როცა ჰოკეისტი უკმაყოფილოა იმით, რომ სათადარიგოთა სკამზე რჩება, - განაცხადა გუნდის ცენტრალურმა თავდამსხმელმა დუგ უეიტმა, - ის, რომ მას პრესასთან საუბარი არ სურს, მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ ბრეტი გულდაწყვეტილია. ბოლოს და ბოლოს, ვფიქრობ, მას აქვს უფლება, არ მისცეს ინტერვიუ".

ჰალის მოქმედებაში ვერც აშშ-ის გუნდის 42 წლის კაპიტანი კრის ჩელიოსი ხედავს დიდ ტრაგედიას. "თუ საქმისთვის უკეთესი იქნება, რომ მე ან ბრეტი სათადარიგოთა სკამზე დავრჩეთ, ასე იყოს. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ როცა თამაშზე დაუძახებენ, ის გუნდისთვის ყველაფერს გააკეთებს", - დაასკვნა ჩელიოსმა.

ბრეტ ჰალისა არ იყოს, გუნდიდან წავიდა ფინელი იანე ნიინიმაც. ფინელმა მწვრთნელ რაიმო სუმანენთან კონფლიქტის გამო დატოვა გუნდი. ამის გამო ჰოკეისტი მონაწილეობას ვერ მიიღებს მსოფლიო თასის დარჩენილ შეხვედრებში.

ფინეთის ნაკრების პრესსამსახურმა ეს ინფორმაცია კვირას ღამით გაავრცელა. თუმცა, ფინურმა პრესამ ამ საკითხის ირგვლივ ინფორმაცია ოპერატიულად შეაგროვა და მდგომარეობას გუნდში შექმნილი კრიზისული სიტუაცია უწოდა.

პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში კონფლიქტის დეტალებზე საუბარი არ არის, მაგრამ იქ, კერძოდ, ნათქვამია: "მოთამაშეები წუხილს გამოთქვამენ ნიინიმაას გადაწყვეტილების გამო, მაგრამ შეეცდებიან, რამდენადაც შესაძლებელი იქნება, მომავალ შეხვედრებზე მოახდინონ კონცენტრაცია".

ფინეთის ნაკრებმა ევროპის დივიზიონში მსოფლიო თასის ჯგუფური ეტაპი პირველ ადგილზე დაასრულა. მეოთხედფინალში რაიმო სუმანენის შეგირდები ტურნირის ერთ-ერთ აუტსაიდერს, გერმანიის ნაკრებს შეხვდებიან.

ჩოგბურთი

"US Open" წარმოგიდგენთ...

ლეიტონ ჰიუიტმა სამ სეტში, იოლად დაამარცხა ესპანელი ლოპესი. როდიკმაც იოლად გაიმარჯვა.

ლეიტონ ჰიუიტმა თავისი ესპანელი მეტოქე ლოპესი საკმაოდ იოლად დაამარცხა - 6:1, 6:4, 6:2. არც იყო გასაკვირი, ამ მატჩში გამარჯვებას სწორედ ლეიტონს უწინასწარმეტყველებდნენ. ალალი კაცია ლეიტონა, რასაც ამბობს, ასრულებს კიდეც. ვნახოთ, როგორ წარიმართება "US OPEN"-ზე მისი სამომავლო მოღვაწეობა.

არ გასჭირვებია თავისი მეტოქის დამარცხება ამერიკული ჩოგბურთის ამოსულ ვარსკვლავს ენდი როდიკს. მან სამ სეტში, ვერ ვიტყოდი, რომ ადვილად, მაგრამ მაინც დაამარცხა განა.

რაც შეეხება კაცებში გამართულ კიდევ სამ შეხვედრას, მათ სენსაციების გარეშე ჩაიარეს. ბექმა საკმაოდ ხანგრძლივ ბრძოლაში - ხუთ სეტში დაამარცხა დავიდენკო და გაინაღდა კიდეც შემდეგ ეტაპზე თამაში. ბერდიჩმა ასევე რთულ ბრძოლაში 2:6, 6:1, 6:3, 4:6, 6:1 დაამარცხა იუნი. რაც შეეხება უკანასკნელ ორთაბრძოლას მელზერსა და ლოდრას შორის, იგი ამ უკანასკნელის იოლი გამარჯვებით დამთავრდა.

საინტერესო გამოდგა ქალებს შორის გამართული ხუთი მატჩი. შემდეგ ეტაპზე გავიდნენ კაპრიატი და მორესმო. მათ ორ სეტში იოლად დაამარცხეს თავიანთი მეტოქეები სიგუიამა და სჩავონი. დამაინტრიგებელი გამოდგა "US OPEN"-ის გუშინდელი რუსული დერბი დემენტიევასა და ზვონარევას შორის. დამღლელი, სამსეტიანი ორთაბრძოლის შემდეგ დემენტიევამ გაიმარჯვა.

ტურნირის მესამე რაუნდის ბოლო ორი შეხვედრა დებმა უილიამსებმა თავის მეტოქეებთან გამართეს. ორივემ - სერენამ და ვინუსმა - ორ სეტში ჩვეული დამაჯერებლობით დაამარცხეს შნაიდერი და რუბინი.

ასე დასრულდა ესე ამბავი "US OPEN"-ის მესამე რაუნდისა. იმედია, შემდეგი ეტაპი მეტი სენსაციებითა და ინტრიგებით გაგვახარებს. რაც შეეხებათ შურას, მიხასა და კარაჩას, მათი გმირობის ამბებს არ მოგაკლებთ და ასე, მხიარულად გავასრულებთ ამერიკის საჩოგბურთო ტურნირს.

ᲙᲠᲘᲖᲘ

ᲩᲮᲣᲑᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ. ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲐᲕᲘᲐ - ᲕᲘᲡᲗᲐᲜ!

ᲒᲘᲒᲐ ᲒᲣᲠᲐᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ

უკვე ოთხი თვეა, რაც უკრაინელი გიგანტი ვიტალი კლიჩკო რინგზე არ ასულა. ოთხი თვის წინათ კი ვაკანტურად გამოცხადებული კრივის მსოფლიო საბჭოს (WBC) უპრესტიჟულესი საჩემპიონო ქამრისთვის სამხრეთაფრიკელ კორი სანდერსთან რვა რაუნდი ღვრიდა ოფლს. მერვე რაუნდში უკრაინელი ტექნიკური ნოკაუტით გამარჯვებულად და ახალ ჩემპიონად გამოცხადდა. სანდერსმა უკრაინულ მუშტებს ველარ გაუძლო და მანამდე წამოსროლილი მუქარის სიტყვებიც სიტყვებად დარჩა. ახლა ვიტალის ტიტული აქვს შესანარჩუნებელი, მაგრამ ვისთან! საკითხავი სწორედ ეს არის.

ვიტალის ლუისის პირობა აქვს და სჯერა, რომ შეხვდება.

რა იქნება და როგორ, ვისთან იქნება ჩხუბი და ვისთან არა, ეს ჯერ თავად უკრაინელმაც არ იცის. არადა, ორთაბრძოლა რომ უნდა შედგეს, ეს უდავოა. ერთი ეგაა ცნობილი და ესეც სავარაუდოა: უკრაინელს რინგზე დეკემბრის დასაწყისში ელიან.

ამჟამად სხვადასხვა მოკრივეებთან გვაქვს მოლაპარაკებებიო. შესაძლოა, სულაც დენი უილიამსს, კრის ბერდს ან ჯეიმს ტონის დავეჯახოო. თუმცა, დღემდე არავისთან არანაირ ქაღალდებზე ხელი არ მოგვიწერიაო და ა.შ.

რატომღაც რომელიმე მოკრივემ უფროს კლიჩკოსთან ჩხუბი რომ იუაროს. ჯერ ერთი, ბრძოლა საჩემპიონო იქნება, თანაც, საბჭოს ვერსიით. მეორე ის, რომ შანსია, იქვე, რინგთან შორიახლოს, დასვენებული პატივდებული სარტყელისთვის ბრძოლაში საკმაო ჰონორარი გამოიმუშაოს. ისე კი, ჩამოთვლილთაგან თითოეულს აქვს შანსი, უკრაინელს დაუპირისპირდეს. თუმცა, ამ შემთხვევაშიც არის ფავორიტი, ანუ ის, ვინც ყველაზე მეტადაა შესაძლებელი, ვიტალის დაეჯახოს. ასეთთა შორის, პირველ რიგში, ამერიკელ ბრიტანელ დენი უილიამსს ასახელებენ. სწორედ იმ უილიამს, რომელმაც არცთუ დიდი ხნის წინათ მაიკ ტაისონი დაანოკაუტა. "რკინის მაიკის" გზიდან ჩამოშორების შემდეგ, მანამდე ნაკლებად ცნობილმა უილიამსმა რეიტინგი აიმაღლა. მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბრიტანელთან შებმამდე არც ტაისონი იყო ტაისონი. რამდენიმე წლის წინთ რომ შეხვედროდა უილიამსი ტაისონს, შედეგის გამოსაცნობად მარჩიელობა არ დაგვჭირდებოდა. ტაისონ-უილიამსის ორთაბრძოლის შემდეგ აღვნიშნეთ კიდეც, რაც არ უნდა იყოს, ბრიტანელი "რკინის მაიკის" დამმარცხებლად შევა ისტორიაში და, შესაბამისად, მის მიმართ ინტერესიც უფრო გაღვივდებაო. შედეგი ჩვენს თვალწინაა - დენი უილიამსი ერთ-ერთთაგანია, რომელიც საბჭოს საჩემპიონო ქამრისთვის საბრძოლველად შეუგულებიათ.

საგულისხმოა თავად უფროსი კლიჩკოს შეფასება: ტაისონზე გამარჯვების შემდეგ მისმა აქციებმა მნიშვნელოვნად აიწია და წლეულსვე დიდი სიამოვნებით შევხვდებოდი. მაგრამ ახლა სხვებთანაც ვაწარმოებთ მოლაპარაკებებსო.

სხვა შესაძლო კანდიდატებს შორის საყურადღებოა კრის ბერდი, რომელთანაც ვიტალის საკუთარი ანგარიშები აქვს. ოთხი წლის წინათ კლიჩკო ბერდთან დამარცხდა. როგორც ამბობენ, მაშინდელი მარცხის მიზეზი ორთაბრძოლის დასაწყისშივე მიღებული ტრავმაა. მართალია, კლიჩკომ კრის ბერდზე შური იძია, მაგრამ ვიტალის ნაცვლად ეს მისმა უმცროსმა ძმამ - ვლადიმირმა გააკეთა.

"ჩემთან გამარჯვების შემდეგ ბერდმა არაერთხელ მომაყენა შეურაცხყოფა, საქვეყნოდ ბაქიბუქობდა ჩემზე გამარჯვებას. არადა, მაშინ სრულიად შემთხვევით მომიგო. დღემდე უსიამოვნო გრძნობა მაწუხებს მაშინდელი ორთაბრძოლიდან. დიდი სიამოვნებით გავიდოდი მასთან ერთად რინგზე, რადგან იგი მსოფლიო მნიშვნელობის მებრძოლია".

და მაინც, კლიჩკოზე გამარჯვების ყველაზე მეტი შანსი ჯეიმს ტონის აქვს. და თუ მათი მხარეებიც შეთანხმდნენ, მაშინ ვიტალის ძალზე გაუჭირდებაო. აქვე, ალბათ, ისიც უნდა ვთქვათ, სად იმყოფება ტონი, ანუ რეიტინგის რომელ საფეხურს იკავებს. საბჭოში ტონის მესამე საფეხური უკავია, ასეთივე შედეგი აქვს WBA-ში (ასოციაცია), ხოლო ფედერაციაში (IBF) მეოთხეა. ორგანიზაციაში (WBO) კი პირველ ნომრადაა გამწესებული.

ჯეიმს ტონის რეიტინგ-საფეხურები უყურადღებოდ არ დარჩენია ვიტალის: "ის, რომ ტონის რეიტინგის ზედა საფეხურები უკავია, ბევრ რამეზე მიუთითებს. შესაძლებელი გახდება თუ არა ჩვენი შეხვედრა, ეს უამრავ ფაქტორზეა დამოკიდებული. ის წარმატებული მოკრივეა. მე მას პატივს ვცემ, როგორც მოკრივეს, მიუხედავად იმისა, თუ რას ლაპარაკობს ჩემზე. და თუ მაინც გადავეყარეთ ერომანეთს, მას იმის დამტკიცება მოუწევს, რასაც ჩემზე ბოლო დროს ლაპარაკობდა". ლაპარაკით კი ბევრს ლაპარაკობდაო. ერთია, საკუთარი თავი საუკეთესო მებრძოლად დაასახელო და მეორე - საკუთარი სიტყვების დამტკიცებაო.

დაბოლოს. სადეკემბრო ჩხუბის შემდეგ კლიჩკოს საჩემპიონო ქამრების შეგროვება განუზრახავს. თუმცა, მანამდე იმ ბრძოლის მოგებაა საჭირო.

არც ის უნდა გაგვიკვირდეს, თუ კლიჩკო-ლუისის მატჩ-რევანში შედგება, მით უმეტეს, რომ ამგვარ შესაძლებლობას ვიტალიც არ გამორიცხავს. ეს მაშინ, როდესაც ლენოქს ლუისი კრივიდან წასულია.

"არსებობს სიტუაციები, როდესაც სპორტსმენები მიდიან, მაგრამ მერე საყვარელ საქმიანობას უბრუნდებიან. ამიტომაც ლუისთან განმეორებითი მატჩის შესაძლებლობა ყოველთვის იარსებებს. განსაკუთრებით მაშინ, თუ ჩემი ტიტულის დაცვას შევძლებ. მით უფრო, რომ ლუისი საპასუხო ორთაბრძოლას დამპირდა".

მოკლედ

რატომ არ გამოვა რალფ შუმახერი მონცაში

რატომ არ გამოვა რალფი მონცაში? - ეს კითხვა უმცროსი შუმახერის ფანებს აწუხებთ. ბევრი ფრენკ უილიამსის წინასწარმეტყველური ნიჭითაც აღფრთოვანებულია. მან სილვერსტოუნში განაცხადა: "მე გაოცებული დავრჩები, თუ რალფი წლეულს რბოლებს დაუბრუნდება".

ამას წინათ რალფის მენეჯერი ვილი ვებერი ამტკიცებდა, რომ მისი კლიენტი მონცაში აუცილებლად დაბრუნდებოდა. რალფიც ოპტიმისტურად იყო განწყობილი: "ვგრძნობ, რომ ბოლომდე გამოვჯანმრთელდი და სასურველ ფორმას დავუბრუნდი. მე რუდუნებით ვარჯიშობდი და ექიმმა ჩემს დაბრუნებაზე თანხმობა განაცხადა".

თუმცა, მონცაში რალფის ნაცვლად კვლავ ანტონიო პიცონია გამოვა. დასამალი არ არის, რომ მრბოლის იძულებითი არყოფნის პერიოდში ფრენკ უილიამსს საშუალება მიეცა, რალფის დაზღვევაზე 2,1 მილიონი დოლარის ეკონომია გაეკეთებინა. ამბობენ, რომ სწორედ ამ მიზეზის გამო არ სურს ფრენკ უილიამსს უმცროსი შუმახერის დაბრუნება. "უილიამსის" ყოფილი პილოტი დეიმონ ჰილი კი აღშფოთებულია: "უილიამსში" მთავარი მხოლოდ ტექნიკაა. პილოტები კი ამ გუნდში ყველას ავიწყდება". გუნდში შექმნილი ვითარებით მთლად კმაყოფილი არც კოლუმბიელი ხუან პაბლო მონტოიაა. BMW-Motorsport-ის დირექტორი მარიო ტეისენი კი ამტკიცებს, რომ რალფ შუმახერი მონცას რბოლის შემდეგ დაბრუნდება.

მოსამართლემ მარადონა შინ გაუშვა

სასამართლოს გადაწყვეტილებით, წარსულში სახელოვან ფეხბურთელს დიეგო მარადონას შეუძლია, ორშაბათს დატოვოს ფსიქიატრიული საავადმყოფო. როგორც ცნობილია, მარადონა იქ ნარკოტიკების მოხმარების გამო აღმოჩნდა. მაისში ოჯახმა იგი დაარწმუნა, რომ საავადმყოფოში დაწოლილიყო და ემკურნალა. მას შემდეგ მარადონას შინ დაბრუნების საშუალება არ ჰქონია. 43 წლის დიეგო სასამართლოს გადაწყვეტილებას უნდა დალოდებოდა და მხოლოდ ამის შემდეგ გაწერილიყო საავადმყოფოდან. ორშაბათს ნორბერტო გარსია ვედიამ ამ საკითხთან დაკავშირებით დადებითი პასუხი მიიღო და უახლოეს მომავალში არგენტინის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი ოჯახს დაუბრუნდება.

ვიერის ყველა უყვარს

სეზონის დასრულების შემდეგ ფეხბურთელები ცდილობენ, კარგად და ხალისიანად გაატარონ დრო, დაისვენონ და მომავალი სეზონიდან გაორმაგებული ენერგიით შეუდგნენ საქმეს. მილანის "ინტერის" ფორვარდი, ალბათ, ორმაგი ენერგიით ვერ დაიწყებს სეზონს, რადგან მთელი მისი ენერგია მშვენიერმა ქალებმა შეიწირეს.

მთელ ამ ამბავში ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ვიერის გვერდით წლეულს, სულ ცოტა, ექვსი ქალბატონი დალანდეს. ფერნანდა ლეკა, ელიზაბეტა კანალისი, ვინჩენცა სასასი, ალესანდრა გრილო და ვიქტორია სილვშტედტი - ყველა ეს ბანოვანი მშვენიერი ფიგურით, ლამაზი სახითა და მეტისმეტი სექსუალობით გამოირჩევა. ბოლო ორი ქალბატონის კამპანიაში ვიერიმ იახტაზე გაატარა დრო. სავარაუდოა, რომ მშვენიერი სქესის რამდენიმე წარმომადგენელმა, უბრალოდ, თავი დააღწია პაპარაცის კლანჭებს.

შეძლებს თუ არა სიყვარულის მონა იტალიელი ახალი სეზონის წინ შეჩერებას, ეს ჯერჯერობით საკითხავია. ერთი რამ კი დანამდვილებით შეიძლება ითქვას: "ინტერის" მწვრთნელებს დიდი ჯაფა დაადგებათ იმისთვის, რომ ვიერის კონცენტრაცია მთლიანად საფეხბურთო მოედნისკენ მიმართონ.

TV-ᲡᲠᲝᲠᲢᲘ

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ. 7 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ

НТВ+ФУТБОЛ
06:00 NBA TV - სთრითბოლი. Entertainers Basketball Classic
07:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 2001. პირველი წრე. "UTAH JAZZ" - "DALLAS MAVERICKS"
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:25 ამერიკის თასის საუკეთესო მატჩები. მეოთხედფინალი. პერუ - არგენტინა
14:00 მსოფლიო ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. თურქეთი - საქართველო
15:45 თავისუფალი დარტყმა
16:00 მინიფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. "სპარტაკი" - "ტტგ-იავა"
18:00 ამერიკის თასის საუკეთესო მატჩები. მეოთხედფინალი შესარჩევი მატჩი. მექსიკა - ბრაზილია
19:00 უეფას თასი. მეორე შესარჩევი წრის მიმოხილვა
19:30 თავისუფალი დარტყმა
19:45 სახვალიო ტელეპროგრამა
19:50 მსოფლიო ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. პერუ - არგენტინა
21:35 ამერიკის თასის საუკეთესო მატჩები. ნახევარფინალი. არგენტინა - კოლუმბია. შესვენებისას (22:25) - თავისუფალი დარტყმა
23:30 "FUTBOL MUNDIAL"
00:00 უეფას თასი. მეორე შესარჩევი წრის მიმოხილვა
00:30 00:30-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV. WNBA-ს ჩემპიონატი. "WASHINGTON MYSTICS" - "SACRAMENTO MONARCHS". პირდაპირი ტრანსლაცია
05:00 NBA TV - NBA-ს მიმოხილვა
05:30 NBA TV - სთრითბოლი. Entertainers Basketball Classic

НТВ+СПОРТ
10:00, 13:00, 19:15 პრესცენტრი
10:20, 20:30 "ოლიმპის შვილები"
10:25, 13:15 "ფორმულის ჰარმონია"
13:35 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი. შესვენებისას (16:00) - პრესცენტრი
17:50 "რკინის ფაქტორი". ტელეჟურნალი
18:30 როდეო. "Bull Riders"
19:30 ცხენოსნობა. წინაღობათა გადალახვა. რუსეთის ჩემპიონატი. პირველი ნაწილი
20:35 სახვალიო ტელეპროგრამა
20:45 ჰოკეი. მსოფლიო თასი. მეოთხედფინალი. შვედეთი - ჩეხეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
23:30 მოტოსპორტის ვარსკვლავთა შოუ პარიზის სპორტის სასახლე "ბერსიში"
00:10 ახალი ამბები
00:25 სპორტული ცეკვები. პროფესიონალთა გრან-პრი. მეორე ნაწილი
01:20 01:20-დან 02:45-მდე შესვენება
02:45 ჰოკეი. მსოფლიო თასი. მეოთხედფინალი. რუსეთი - აშშ. პირდაპირი ტრანსლაცია

EUROSPORT
10:30 მოტოსპორტი გამოსასვლელ დღეებში
11:30 ოლიმპიური თამაშები. ოლიმპიკ ექსტრა
12:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური იტალიაში
13:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი იაპონიაში
14:00 ფეხბურთი. მსოფლიო თასი გერმანიაში. საკვალიფიკაციო წრე
15:00 სპიდვეი. მსოფლიო თასი ინგლისში
16:00 ჩოგბურთი. ამერიკის ღია ჩემპიონატი
17:00 ველოსპორტი. ესპანეთის ტური. პირდაპირი ტრანსლაცია
19:15 ჩოგბურთი. ამერიკის ღია ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:45 ახალი ამბები
02:00 ჩოგბურთი. ამერიკის ღია ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია

რკინას შეჭიდებული ოლიმპიური ჩემპიონი

ნინო გომართელი

ისინი ბედნიერები არიან... ამაყობენ, რომ თითოეულ ქართველს დიდი სიხარული მიანიჭეს... განდიდების მანიით არ არიან შეპყრობილი და არ აბრმავებთ საქვეყნო აღიარება... ისინი ალალები არიან, მათ უყვართ საკუთარი სამშობლო და მისი კეთილდღეობისთვის იბრძვიან. მათი სახელები მთელმა საქართველომ იცის - გიორგი ასანიძე და ზურაბ ზვიადაური...

გუშინ საქართველოს ერთი კუთხე - იმერეთი და პატარა საჩხერე ძალიან ამაყი იყო. მან ოლიმპიური გმირი აჩუქა ქვეყანას...

მთელ საჩხერეში დიდი ზეიმი იყო. ყველა გიორგი ასანიძის ჩემპიონობას ზეიმობდა...

ეს ის მხარეა, სადაც გიორგი დაიბადა და გაიზარდა, სადაც გაიწაფა და ჩემპიონად იქცა.

გიორგი საჩხერეში განსაკუთრებით უყვართ...

გამოგიტყდებით, რომ ათენის ოლიმპიურ თამაშებზე მე ყველაზე მეტად გიორგი ასანიძის გამარჯვებამ გამახარა. საქმე ის არის, რომ წარმოშობით მეც საჩხერედან ვარ. ამიტომ თითოეული საჩხერელის გამარჯვება ორმაგად მიხარია.

ვერ წარმოიდგენთ, რა დიდი სიხარული ვიგრძენი, როდესაც გიორგიმ 207,5-კილოგრამიანი შტანგა აწია, ჩემპიონი გახდა და საქართველოს დროშა ყველაზე მაღლა აფრიალდა. იმ დღეს მთელი მსოფლიო უყურებდა გიორგი ასანიძის ბედნიერ სახეს და უსმენდა საქართველოს ჰიმნს...

მე იმ დღეს ორმაგად ბედნიერი ვიყავი, რადგან ვიცოდი, ეს ყველაზე მეტად საჩხერეს გაუხარდებოდა...

გუშინწინ ათასობით საჩხერელი იყო შეკრებილი გიორგის მხარეში, საჩხერის ცენტრში, დიდ სტადიონზე. იყო უამრავი ბედნიერი სახე. თითქმის ყველა ბავშვს დროშა თუ ტრანსპარანტი ეჭირა ხელში: "საჩხერე მიესალმება ოლიმპიელ რაინდებს..." "გიორგი, საჩხერე ამაყობს შენით..." მაისურებიც კი ეცვათ გიორგის პორტრეტით, ოქროს მედლითა და ზეთისხილის გვირგვინით. ამით ისინი მადლობას უხდიდნენ გიორგი ასანიძეს გამარჯვებისა და მინიჭებული სიხარულისთვის.

ქუჩაში იდგა უამრავი ბილბორდი, რომლიდანაც თბილი ღიმილით იმზირებოდა გიორგი ასანიძე. ხელში ღირსეულად მოპოვებული ოქროს მედალი ეჭირა. ქვევით წარწერა იყო: "რკინას შეჭიდებული ოლიმპიური ჩემპიონი"...

აქ იყო უბედნიერესი ოქროს მედალოსანი ზურაბ ზვიადაური, ვერცხლის პრიზიორი რამაზ ნოზაძე.

საჩხერეში ღრუბლიანი ამინდი იყო, ცრიდა, მაგრამ სტადიონზე თავშეყრილები მაინც არ დაშლილან... ჩემპიონები ვერ ასწრებდნენ გულშემატკივრებისთვის ავტოგრაფების დარიგებას და მათთან ერთად სურათების გადაღებას...

- დიდი მადლობა ყველას, ვინც აქ მოხვედით და ჩვენი სიხარული გაიზიარეთ, დიდი მადლობა უკლებლივ ყველას.. თქვენ რომ არა, ჩვენ ვერაფერს მივაღწევდით, ჩვენი გამარჯვებები და მედლები თქვენ გეკუთვნით... - თბილი ღიმილით ეუბნებოდა გიორგი ასანიძე თავის ქომაგებს. საჩხერეს გამგებელმა ზურაბ ცერცვაძემ ასანიძეს სიმბოლურად მინიატიურული ოქროს შტანგა გადასცა.

სპორტსმენებისთვის გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ საჩხერელი და თბილისელი მომღერლები.

- მიყვარხართ, ხალხნო, და ბედნიერი ვარ, რომ ასეთი სიხარული მოგანიჭეთ... დიდი მადლობა ყველას... - გაბრწყინებული თვალებით მიმართავდა მთელ საჩხერეს ოლიმპიური ჩემპიონი ზურაბ ზვიადაური.

მეც მოვახერხე ჩემპიონთან გასაუბრება. ზურაბ ზვიადაურს ნათელი სახე ჰქონდა. ასეთი სახე მხოლოდ სუფთა და ალალ ადამიანებს აქვთ. ზვიადაური დამპირდა, რომ კიდევ ბევრ ოქროს ჩამოგვიტანს და ბევრჯერ გაგვახარებს...

- ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ამდენი ადამიანი გავახარე და საქართველო ვასახელე. წინ კიდევ ბევრი ჩემპიონატია, კიდევ ბევრი ზეიმი გველის, - ამბობდა ზვიადაური.

დარცხვენით და მორიდებით ურიგებდა ავტოგრაფებს მასზე შეყვარებულ პატარებს, უსმენდა დიდების ქებას...

ოქროს მედალოსანს ავტოგრაფი მეც ვთხოვე, თანაც, მთელი ჩვენი რედაქციისთვის. მანაც არ დაიზარა და დამიწერა: "დიდი სიყვარულით ზურაბ ზვიადაურისაგან"...

- მე გული დაგწყვიტეთ, ვერ ჩამოგიტანეთ ოქროს მედალი, - სინანულით მითხრა რამაზ ნოზაძემ.

- რას ამბობ, შენ ჯერ კიდევ ყველაფერი წინ გაქვს, შენი იმედი გვაქვს... ათენში შენც ძალიან, ძალიან გაგვახარე, შენ ჩვენი ოქროს ბიჭი ხარ, ვერცხლის მედლით... - გულახდილად ვუპასუხე მეც.

ძლივს მოვახერხე პატარა გულშემატკივრებითა და მოსიყვარულე ხალხით გარშემორტყმულ ოლიმპიურ ჩემპიონთან, გიორგი ასანიძესთან გასაუბრება...

- რაც ჩამოვედი, სულ ათი საათი მეძინა. უამრავი ავტოგრაფი დავარიგე, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველას ვერ მივწვდი. ემოციით სავსე ვარ. ძალიან გამახარა ამ დახვედრამ. გული დამწყდა, რომ აეროპორტშივე ვერ შევხვდი ხალხს, რომელიც გველოდა. საოცარი იყო მერიის წინ გამართული საღამო, ამდენი სითბო და სიხარული... ჩვენ კიდევ ვიბრძოლებთ ოქროსთვის, ყველა ერთად ვიბრძოლებთ და არაერთ ოქროს ჩამოვიტანთ საქართველოში, - ამბობდა უსაზღვროდ გახარებული და დაბნეული გიორგი.

- მინდა, კიდევ ერთხელ დიდი მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც წვლილი შეიტანა ჩემს გამარჯვებაში. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ჩემს მწვრთნელს ვანო გრიქუროვს, რომელიც ძალიან დიდ საქმეს აკეთებს, მაგრამ შემდეგ შედარებით ჩრდილშია. ეს გამარჯვება მასაც ეკუთვნის და ჩემმა გულშემატკივრებმა ეს უნდა იცოდნენ.

დიდი მადლობა ოლიმპიურ კომიტეტს, სპორტის დეპარტამენტს, ოლიმპიურ ფონდს, "იბერმობილს", "იბერკომპანის". დიდი მადლობა ჩემს ექიმს, ჩემს პირველ მწვრთნელს, ყველას, ვისაც წვლილი მიუძღვის ჩემს გამარჯვებაში. მთელ კოლექტივს...

საქართველო პატარა ქვეყანაა, მაგრამ ქართველი ერი ძალიან ამაყი და თბილია... ის ამაყობს თავისი ღირსეული შვილებით, ზურაბ ზვიადაურით, გიორგი ასანიძით, რამაზ ნოზაძით, ნესტორ ხერგიანით... ქართველი ერი კიდევ ბევრჯერ გაიხარებს... ჩვენი ბიჭები კიდევ ბევრ ოქროს მედალს მოიპოვებენ...

ვახო ბესელიას ფოტოები

ერიკ ბარდონი: "მტკივნეულად მაქვს გადაწყვეტილი, ვნახო სამყაროს დასასრული"

ერიკ ბარდონი ვიღაცისთვის როკლეგენდაა, მუსიკოსი, რომელმაც მთელი თაობის სიმღერა - House Of A Rising Sun დაწერა და იმღერა; ვიღაცისთვის ბარდონი მრავალმხრივი, ნიჭიერი ადამიანია, ექსპერიმენტებით გამორჩეული, რომელმაც მოასწრო გაეთავისებინა არა მხოლოდ ჰალუცინოგენური ნარკოტიკები, არამედ ბლუზი, ფანკი, ფსიქოდელია. ვიღაცას ბარდონი, შესაძლოა, ანტისაომარი მოძრაობებიდანაც ახსოვს. მელომანებს ეს ადამიანი განსაკუთრებული ფირფიტებით ჩარჩათ მეხსიერებაში. ერიკ ბარდონი კი არა მხოლოდ სიმღერების, არამედ წიგნებისა და გრაფიკული ნამუშევრების ავტორიცაა; მისი სახელი და გვარი არც ისე ხშირად ჩნდება მუსიკალურ გამოცემებში, თუმცა, აკეთებს იმას, რასაც მთელი ცხოვრება აკეთებდა - წერს, ქმნის, ეს კი ნიშნავს, რომ ცოცხლობს. სამოც წელს გადაცილებულმა, არ იცის, რას ნიშნავს "პენსია" ან "დაღლა"; ბარდონისთვის ჩვეულებრივი ამბავია, რომ დრო მის სხეულს მხოლოდ აბერებს, სულს კი ვერაფერს ვნებს. ამაში დაგარწმუნებთ ეს ინტერვიუც, რომელიც კალიფორნიაში დასახლებულ ბარდონს ახლახან ჩამოართვეს.

ერიკ ბარდონი გუშინ და დღეს

- როდის გადაწყვიტეთ, საბოლოოდ კალიფორნიაში დასახლებულიყავით?

- ფაქტობრივად, 60-იანი წლებიდან შეერთებულ შტატებში ვცხოვრობ. დიდხანს ვცხოვრობდი ევროპაში, 80-იანებში - ეს იყო საინტერესო პერიოდი. მაშინ სამი წელიწადი გერმანიაში ვიცხოვრე, სამი - ესპანეთში, ერთი კი - სამხრეთ საფრანგეთში.

- თუმცა, თქვენი მოღვაწეობის ძირითად პოლიგონად, ალბათ, მაინც ევროპა შეიძლება ჩაითვალოს...

- სცენაზე გამოვდივარ აბსოლუტურად ყველგან, სადაც სურთ ჩემი მოსმენა. თუმცა, მართალია, ძირითადი ბაზარი ჩემი ჯგუფისთვის მაინც გერმანია, ავსტრია და შვეიცარიაა. ეს რეგიონები ყოველთვის იყვნენ და რჩებიან კლასიკური როკ-ენ-როლის შემწყნარებლები.

- როგორი რიტმით ცხოვრობთ, როგორც ყოველთვის: სტუდია, გასტროლები, გადაღებები?

- ეს სამუშაოა. როგორც ყოველთვის, ძნელია იპოვო ბალანსი მუსიკასა და პირად ცხოვრებას შორის.

- როგორ ახერხებთ ფორმის შენარჩუნებას, რომ ყოველთვის მზად იყოთ გასტროლებისთვის?

- არასდროს დამისახავს ამოცანად ფორმაში ყოფნა. ახლა 60-ზე მეტის ვარ და არც ისე სულელი, რომ საკუთარი ჯანმრთელობა არ მადარდებდეს. მაგრამ ამისთვის განსაკუთრებულ ზომებს არ მივმართავ - დღეში სულ რამდენიმე ვარჯიში და ყველაფერი ნორმალურადაა.

- რამდენად ხშირად მართავთ კონცერტებს?

- არასდროს არ ვითვლი. არასდროს ვეცნობი გასტროლების გრაფიკს, ეს ჩემი საქმე არაა. კონცერტამდე 24 საათით ადრე ვიგებ, საით მივფრინავ ჩემს ჯგუფთან ერთად. საგანგებოდ ამისთვის არასდროს ვემზადები. მთავარია, თან მქონდეს რამდენიმე მაისურა, ტრუსი და კბილის ჯაგრისი. ახალგაზრდობაში, დილიდან რესტორანში რომ ვიყავი, წარმოდგენა არ მქონდა, რომელი ქვეყნის ვალუტით უნდა გამესწორებინა ანგარიში. ასე რომ, ახლა ამ მხრივ მაინც შედარებით მოწესრიგებული ვარ.

- 2004 წელს რა შეიძლება ჩაითვალოს ერიკ ბარდონის მუსიკის შთაგონების წყაროდ?

- რაც შეიძლება დიდხანს სიცოცხლე. მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი, მოვესწრო სამყაროს დასასრულს. რაც შეეხება მუსიკას, უნდა ვაღიაარო, რომ ძალიან ბევრს ვუსმენ. მაგრამ ხშირად ამ სიმღერების ავტორების ვინაობა არ ვიცი. ჩემთვის ეს მეორეხარისხოვანია. მიყვარს აფრიკული და კელტური მუსიკა, რეგი და, რასაკვირველია, ბევრი ბლუზი.

- თუ ოდესმე ეთნოპროექტს მოკიდებთ ხელს, ალბათ, ყველა გულისფანცქალით დაელოდება ამას...

- ვფიქრობ, ეს ადრე თუ გვიან აუცილებლად მოხდება.

- ცნობილია, რომ მუსიკასთან ერთად ყოველთვის წიგნები იყო თქვენი ვნება. როგორ დაიწყეთ წერა?

- ახალგაზრდობაში წავიკითხე ებრაელი მუსიკოსისა და მწერლის მეზ მეზრაელის Really The Blues, რომელიც გასული საუკუნის 20-იანი წლების შავკანიანი ჯაზმენების შესახებ მოგვითხრობდა. მაშინ გადავწყვიტე, რომ ოდესმე აუცილებლად დავწერდი წიგნს როკ-ენ-როლზე. ისე მოხდა, რომ წიგნები ისეთივე ვნებაა ჩემთვის, როგორც მუსიკა; ჩემი სახლი გავსებულია დისკებითა და წიგნებით; ჩემი ძირითადი განძიც ესაა; თანაც, მყარი გარანტიაა, რომ მარტოობის მოწყენილი ღამეები არ მემუქრება. კარგა ხანია, პრესას აღარ ვეცნობი და აღარც ტელევიზიით ვუყურებ ახალ ამბებს.

- რამდენიმე ფილმშიც გადაგიღეს. არ გქონიათ კინოექსპერიმენტების სურვილი?

- ჯერჯერობით ჩემი ექსპერიმენტები შემოიფარგლება საკუთარი ციფრული ვიდეოების რედაქტირებითა და გამოცემით, თუმცა, ერთ-ერთმა კინოკომპანიამ თანამშრომლობა შემომთავაზა; მათთვის საინტერესო აღმოჩნდა ჩემი რამდენიმე იდეა, მაგრამ ეს ურთიერთობა ჯერ არ არის გაფორმებული, ამიტომ აღარ განვავრცობ ამ თემას.

- თუ ადრე "შავ კულტურასთან" ასოცირდებოდნენ რეი ჩარლზი, ჯონ ლი ჰუკერი, ჩაკ ბერი და ა.შ, დღეს "შავი კულტურის" გაგება მოიაზრება რეპთან ან ჰიპ-ჰოპთან. რა აზრის ხართ ამასთან დაკავშირებით?

- არ მაქვს მკვეთრად ჩამოყალიბებული მოსაზრება. ასე ვიტყვი: არ მსურს აღმოვჩნდე იქ, სადაც ისმის ქუჩის ავტომატის ხმა. ამერიკელი შავი ახალგაზრდობა კარგა ხანია, დაიკარგა. თუ "შავ პანტერებს" ჰქონდათ გარკვეული მიზნები, თანამედროვე აფროამერიკელები ისვრიან ყოველგვარი იდეისა და აზრის გარეშე. ისეთი დიდი ადამიანები, როგორიც იყო თუნდაც ჯონ ლი ჰუკერი, სამუდამოდ წავიდნენ და მათ ვეღარავინ შეცვლის. სიმართლე რომ ვთქვა, შავკანიანებს შორის მე ვერ ვხედავ ახალგაზრდა, პოტენციურ ხმაურიან სახეებს.

- ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ნამდვილად ნიჭიერები მალე უკვალოდ გაქრებიან, არ დატოვებენ საკუთარ ღირსეულ შემცვლელთ?

- ასეთი დასკვნები არაა საჭირო. რასაკვირველია, ჩვენ ირგვლივ ისმის ბევრი ახალგაზრდული ახალი და საინტერესო მუსიკა. ვიმეორებ, იშვიათად ვიმახსოვრებ სახელებსა და სახელწოდებებს, მაგრამ ღირსეული შემსრულებლები არსებობენ.

- კონცერტებზე ხშირად ცვლით House Of A Rising Sun-ის არანჟირებას. ალბათ, ძალიან მოგბეზრდათ...

- ბევრი ფიქრობს, რომ მე ამ სიმღერასთან ერთად გავიზარდე. ჩემი აზრით, თუ გსურს, ნაწარმოები ძველებურად საინტერესო იყოს, ყოველ ჯერზე რაღაც უნდა შეცვალო მასში, დაუმატო. ასე გაუხანგრძლივებ მას სიცოცხლეს.

TV პროგრამა

7 სექტემბერი

რუსთავი - 2

07.30 დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **09.40** სერიალი "შეყვარებული ქალები" **11.00** სერიალი "ქრისტეფორე კოლუმბი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.45** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.20** მხ. ფილმი "როცა ჰარი შეხვდა სალის" **15.25** სერიალი "სასნრაფო" **16.30** სერიალი "ალფი" **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელეღიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **23.00** სერიალი "სოპრანოს კლანი". **00.00** მხ. ფილმი "შავი რაინდი". მთ. რ-ში: მარტინ ლოურენსი (18).

TV5

06.00, 08.00, 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 01.50(შვეიცარია), 02.20(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.00** ტაძრები. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **11.05** ზიგ-ზაგ კაფე. **15.35** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.30** გადაცემა: ისინი მოგვითხრობენ თავიანთ თავგადასავალს. **18.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **19.05** სამხრეთის ანარეკლი. კოტ დ'ივუარი. **20.25** გადაცემა: ყველას თავს ვერ მოანონებ. **22.05** მადლობთ ფოტოსთვის. დოკ. ფილმი. **04.20** სიმენონი ტროპიკებიდან. ტელესერიალი.

პირველი არხი

07.30 ალიონი **09.40** მულტსერიალი "მარსუპილამი" **10.10** სერიალი "მორიგი მსხვერპლი" **11.00** სერიალი "ფსიქფაქტორი" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ჩოგბურთი: "ბორჯომის თასი" ან სარეზერვოდ ტელესერიალი "კასანდრა" **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** ჩოგბურთი: "ბორჯომის თასი" გაგრძელება. **17.05** მულტსერიალი "მარსუპილამი" **17.30** სერიალი "ჩემი ყველაზე ლამაზი არდადეგები" **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "სენ-ტროპე" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "კასანდრა" **22.00** "ქიმერიონი" ვ. ჯავახაძე **24.00** მხ. ფილმი "ჰოროსკოპი" (12)

IRT

08.00 "ქართული" **12.00** "ფოლკი" **12.30** "მხიარული" 5 **13.00** "კლიპ-მიქსი" **18.00** "ფოლკი" **19.00** "ტევე-პოპი" **20.00** "მხიარული" 5 **20.30** "ფოლკი" **21.00** "ტევე-პოპი" **00.00** "ნონ-სტოპი"

202

დებატები (განმ.) **12.00** ვიპ-შოუ და კენო (განმ.) **13.00, 19.00** ტვ-შოპი **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **19.30** ანიმაციური ფილმი "დარდუბალა" (განმ.) **20.00** ვიპ-შოუ და კენო **21.00** ტვ-შოპი **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** მ. მშვილდაძის შოუ **23.00** დებატები 202-ზე

მზე

09.00, 17.50 "ფარული კამერა" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10, 20.50** მინისერიალი "არ გაუშვა" **12.00, 21.45** დეტ. სერიალი "ქვეყნის კიდეზე" **13.05** მხ. ფილმი "კატები და ძაღლები" (გ) (დინ მარტინი) **15.00** სერიალი "მარია ემილია" **16.05** სპბავშვო სერიალი "დიუნის შვილები" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** მულტსერიალი "სქელი ძაღლი მენდოზა" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** სერიალი "ველური მთვარე" **22.45** მზერა დღის ბოლოს **23.15** "ტელეპროცესი. ერეკლე მე-2" **00.00** მხ. ფილმი "ესაუბრე მას" (18)

იმედი

07.00, 11.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 00.30 ქრონიკა **07.15, 09.00, 10.00, 11.05, 12.00, 13.15, 14.00, 17.20, 18.00, 20.30, 21.25, 01.15** იმედის მელოდიები **08.30** ანიმაციური ფილმი "მითიური მეომრები" **09.10** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **10.10** სერიალი "ტყუპები" **11.30** "მუღამები" **12.10** სერიალი "კლონი" **13.30, 01.00** ტვ-მარკეტი **14.10** სერიალი "მკვლელები" **15.15** სერიალი "დანაშაულებათა საიდუმლოებანი" **17.25** ანიმაციური ფილმი "მითიური მეომრები" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.35** სერიალი "კლონი" **20.35** სერიალი "მკვლელები" **21.30** ლარის მახე **23.00** მხ. ფილმი "ჩვიდმეტი წლის" (გ) (ე. ვუდი) **01.00** ტვ-მარკეტი

ОРТ

06.00 Телеканал "Доброе утро" **09.00** Новости **09.20 Х/ф "ДИВЕРСАНТ" 10.30 "КЛОН". Сериал 11.20** Мультсериал **11.30** Дисней-клуб **12.00** Новости **12.20 Х/ф "СЕРЕНАДА СОЛНЕЧНОЙ ДОЛИНЫ" 14.00 "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". Сериал 15.00** Новости **15.10** "Угадай мелодию" **15.40 "СЫЩИКИ". Сериал 16.50** .Пять вечеров" **18.00** Новости **18.20** "Шутка за шуткой". **19.00 "КЛОН". Сериал 20.00 "ЧЕРНЫЙ ВОРОН". Сериал 21.00** Время **21.30 Х/ф "ДИВЕРСАНТ" 22.40** Кремль-9. **23.30** Ночное "Время" **23.50** "Звезды эфира" **00.20** Крылья. "Дальнобойщики" **00.50** "Подводный мир Андрея Макаревича" **01.20 Х\ф "НОЧЬ НАД МАНХЭТТЕНОМ" 03.00** Новости **03.05 Х\ф "НОЧЬ НАД МАНХЭТТЕНОМ" 03.30 Х/ф "ПАРЕНЬ ИЗ ПУЗЫРЯ" 04.50 "ДОКТОР КУИНСИ". Сериал 05.00** Новости **05.05 "ДОКТОР КУИНСИ". Сериал**

НТВ

06.00 Информканал "Сегодня утром" **10.00** "Сегодня" **10.15** "Преступление в стиле модерн: живой труп" **10.50** "Стресс" **11.55 "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ - VI" Сериал 13.00** "Сегодня" **13.35 "ВОЗВРАЩЕНИЕ МУХТАРА. НЕ СПАТЬ" Сериал 14.30 "МЕСТО ПОД СОЛНЦЕМ" Сериал 15.35** "Криминальная Россия" **16.00** "Сегодня" **16.20** "Принцип домино" **17.25 "ТАКСИСТ" Сериал 18.35** "Криминальная Россия" **19.00** "Сегодня" **19.40 "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ - VI" Сериал 20.50 "МЕСТО ПОД СОЛНЦЕМ" Сериал 22.00** "Страна и мир" **22.40 "СЕКС В БОЛЬШОМ ГОРОДЕ" Сериал 23.15 Х/ф "ГЛАДИАТОР" 00.30** "Сегодня" **00.45 Х/ф "ГЛАДИАТОР" 01.50 "СКОРАЯ ПОМОЩЬ" Сериал**

იაპონური ხატვა

ნინა კროსვორდის პასუხი



სკანვორდი



ჩემების ამბავი

ანა კორძაია-სამადაშვილი

ჯენა ჯეიმსონი

ბრიტანეთში მცხოვრები ევოლუციის ფსიქოლოგიის მცოდნე ხალხი (ასეთი პროფესიაც არსებობს) უცნაურ რამეს ჰყვება. თურმე ისინი, ვინც კინოსა თუ სცენის ვარსკვლავებზე ისე ჰყვებიან, თითქოს მათი ბავშვობის მეგობრები ყოფილიყვნენ, ცოტა კი აფრენენ, მაგრამ თავიანთი ყოფით სხვა დანარჩენებზე ბევრად უფრო კმაყოფილები არიან.

როდესაც ამ კვლევის შესახებ წავიკითხე, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ფსიქოლოგია ფრიად არასანდო მეცნიერებაა. წარმოვიდგინე, რა უბედურია ვინმე ავლაბრელი ქალი, რომელიც მეგობარს უამბობს, რა კარგია, რომ ჩვენმა ჯულიამ (რობერტსმა) ხელოვნური განაყოფიერება გადაწყვიტა, აბა, ისე რატომ უნდა დარჩენილიყოო. საბრალო, საბრალო ქალი! როგორ მოსცლია, როგორ არაფერი ჰქონია განსაცდელი! მაგრამ მერე აღმოვაჩინე, რომ არც მე ვარ დიდად შორს წასული, და თუმცა პირველი დასკვნა, რომ ჩემი ცხოვრებით ტოტალურად კმაყოფილი ვყოფილვარ, რბილად რომ ვთქვათ, მცდარია, "ევოფსიქოლოგების" კვლევის "შპიგელში" გამოქვეყნებულ შედეგებს ჩავუღრმავდი და აი, რა აღმოვაჩინე:

თურმე, ჩვენი ტვინი ისევეა მოწყობილი, როგორც "პროტოადამიანისა", რომელიც ერთი მილიონი წლის წინათ აფრიკის სავანაში დარბოდა. რა კოშმარია! მაგრამ განვაგრძოთ. თურმე, მაშინ ნებისმიერი ახალი სახე გარკვეულ კატეგორიას ესადაგებოდა: ან მოყვარე იყო, ან მტერი. ჰოდა, თანამედროვე ადამიანს თურმე ძალიან უჭირს იმის დახარისხება, რასაც უამრავი მედია ყოველდღიურად აჩეჩებს, და ვინაიდან ვარსკვლავები, ძირითადად, ლამაზები და კარგები არიან და არავის ემუქრებიან, ისინი მეგობრების კატეგორიაში ხვდებიან (ასე ბრიტანელები თვლიან. მე ლინდა ევანჯელისტას გამო ეჭვიანობისგან შექანებულიც ბევრი მინახავს). აი, ამიტომაცაა, რომ ისინი, ვინც სულ ტელევიზორს მისჩერებიან, ფიქრის დროს ჯონი დეპს მიმართავენ და ეროტიკულ სიზმრებში უმა თურმანს ხედავენ, თავს გულითადი მეგობრების გარემოცვაში გრძნობენ და ამიტომაც თავიანთი ცხოვრებით ერთობ კმაყოფილნი არიან.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველდღე მათ გაბადრულ სახეებს შევცქერი და მათი ასავალ-დასავალი ჩემზე უკეთ, დიდი-დიდი, "მაქსის" "ვარსკვლავთა" რუბრიკის რედაქტორმა იცოდეს, ვერაფრით დავიბრალებ, რომ ვარსკვლავები ცხოვრებას მიიოლებენ ან მილამაზებენ. მე სულ არ მიხარია, რომ ჰიუ გრანტის ყოფილი შეყვარებული, პირმშვენიერი მოდელი ლიზ ჰარლი თებერვალში შვილს გააჩენს - არც მიხარია და არც მწყინს, უბრალოდ, ვიცი, News Of The World-ში ამოვიკითხე, და ისე გიყვებით, ყოველი შემთხვევისთვის: იქნებ თქვენ მაინც გაგახაროთ? ბავშვის მამა არონ ნეიერია, ბიზნესმენი, რომელთან ერთადაც ჰარლი უკვე 18 თვეა ცხოვრობს და ბედნიერადაც გრძნობს თავს.

ლიზს თავისი ორსულობის ამბავი მხოლოდ ოჯახის წევრებისთვის და რამდენიმე ახლო მეგობრისთვის გაუზიარებია, ამ უკანასკნელთაგან ერთ-ერთმა კი მისი სიტყვები საჩქაროდ ბულვარული გაზეთის ჟურნალისტს გადასცა. სულ მაინტერესებს, ამ ერთგულ მეგობრებს ამისთანას რას უხდიან ხოლმე? "დილ-დილობით ზოგჯერ შეუძლოდაა, მაგრამ, საერთოდ, თავს ცუდად არ გრძნობს," გვამშვიდებს გაზეთი. იქვე ისიც წერია, რომ უკვე სამი თვეა, ლიზ ჰარლის სასმელისთვის პირი არ დაუკარებია. ნეტა, ადრე ლოთობდა?

ლიზს ერთი შვილი უკვე ჰყავს, ორი წლის ვაჟი, რომლის მამაც, მილიონერი სტივ ბინგი, ძალიან უსინდისო კაცი ყოფილა, იმდენად უსინდისო, რომ თავის დროზე ბავშვის მამობაში ეჭვი შეიტანა. მაგრამ ლიზმა ტესტის ჩატარება მოითხოვა და ასე გაიგო მთელმა მსოფლიომ, რომ მილიონერი ბინგი გარეწარი იყო, ხოლო ლიზ ჰარლი - წესიერი და პატიოსანი ქალი. ამიტომაცაა, რომ მის ახლანდელ შეყვარებულს და მომავალი ბავშვის მამას, არონს, ეჭვი აღარაფერში ეპარება და ბავშვს გულისფანცქალით ელის.

მოგეხსენებათ, პატიოსნება და ღირსება ისედაც ლამაზ ქალს ერთიათად ამშვენებს, და ის ერთიათად იმსახურებს ხოლმე სიყვარულსა და თავდადებას. ასე, ბიონს ნოულზი მხოლოდ ლამაზი რომ ყოფილიყო, განა მისი რეპერი მეგობარი, ჯეი-ზი, მისი დაბადების დღის აღსანიშნავად 410 ათას ევროს გაიმეტებდა?

ბრიტანული "სანი" წერს, რომ მუსიკოსმა ბიონსის 23-ე დაბადების დღისთვის სოჰოში ერთი სახლის ბოლო სართული და საცურაო აუზი დაიქირავა და ზეიმზე თავისი სატრფოს გასახარებლად 100 სტუმარი დაპატიჟა, მათ შორის ბიონსის კოლეგები კელი როულენდი და მიშელ ვილიამსიც. დღეობას თვით ნომი კემპბელიც ესწრებოდა, დანარჩენი სტუმრებივით ისიც თეთრ სამოსში გამოწყობილი. საერთოდ, როგორც გაზეთი წერს, მთელი წვეულება "ელტონჯონური" იყო.

ცხადია, წვეულებაზე არც ერთი ჟურნალისტი არ მიუწვევიათ. დეტალებში პრესა პოლიციამ გაარკვია: ღამით მეზობლებმა იჩივლეს, ზედა სართულზე საშინელი ღრიანცელიაო, და ჯეი-ზის პოლიციელებთან საქმის გარჩევა მოუხდა.

მაგრამ ეგ არაფერი, მაინც კარგი დაბადების დღე იყო. და ისიც კი არაფერია იმ დიდ სიხარულთან შედარებით, რაც "ბილდმა" გვამცნო: "ამიერიდან ყველანი ჯეი ლოები ვიქნებით!" რადგან ვერონა ფელდბუშისა და კაილი მინოუგის მაგალითით ფრთაშესხმული ჯენიფერი ქალის თეთრეულის გამოშვებას იწყებს, და წლეულს, შემოდგომიდანვე შევძლებთ მისეულ ტრუსებში სირბილს. მართალია, ამ საცვლებში გამოწყობილ ჯენიფერ ლოპესს ვერ ვნახავთ: ბრძანა, ჯობს, პროფესიონალმა მოდელებმა წარადგინონო - ან თავმდაბლობის შეტევა აქვს, ანდა, როგორც "ბილდის" კორესპონდენტი ეჭვობს, მეტისმეტად გასუქდა.

ისე, თუ პერის ჰილტონს დავუჯერებთ, ჩვენც ისე გავსუქდებით, რომ ჯეი ლოს საცვლებიც აღარ ჩაგვეტევა. "დეილი სტარი" წერს, რომ ის ბურგერ-კინგის სარეკლამო სახე გამხდარა, ცხადია, ტყუილად არა, ამ საქმეში 1,2 მილიონ დოლარს მისცემენ. "მე მიყვარს ბურგერ-კინგი," - გალობს პერისი, რომელიც - შემიძლია, დავიფიცო, ამ სასწაულს თავის მახინჯ ძაღლსაც კი არ აჭმევს.

აი, ჩვენ კი შევჭამთ და, როგორც მოგახსენეთ, დავსივდებით. გასიება კი ძალიან ცუდია, ჭარბი არაფერი ვარგა, მკერდიც კი. პორნოვარსკვლავ ჯენა ჯეიმსონს, სხვა თუ არაფერი, ეს მაინც დაეჯერება. ის ახლა 30 წლისაა და უზარმაზარი მკერდი აქვს. ყოველთვის ასეთი მკერდი არ ჰქონია, ეს ხელოვნური სილამაზეა. ახლა კი ჯენა მიხვდა, რომ კეტი პრაისი და კარმენ ელექტრა სწორად მოიქცნენ და თავისი ძირითადი სიმდიდრის, ფუმფულა (ყოველ შემთხვევაში, ვიზუალურად მაინც) მკერდის ბუნებრივ ზომამდე დაპატარავებას აპირებენ.

...არადა, როგორ ვიფიცებოდი, ვარსკვლავებისგან არაფერი მიხარია-მეთქი?! ნახეთ, რამდენი სიხარულია! ახლა იმასღა ველი, როდის მომაწოდებენ უცხოელი კოლეგები ცხელ-ცხელ ინფორმაციას, რომ სიცოცხლე მთლად დღესასწაულად გადაგიქციოთ.

წამალი "სალხინო"

ქარიული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.